605/2 N 1637

ვეფხისტყაოსანი
ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 სექტემბერი პარასკევი 2011
№206 (13503) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საბჭოთა ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც: ყოჩაღ!

მაგრი წავაგეთ, ღირსება – არა

არადა, იყო წუთები...

8

Goodline
EINE KOMPETENZ UNTER DEN BESTEN
რეპორტაჟების სპონსორია
გერმანული ღუდი ვარშტაინერი
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ვაჟა სიმონიშვილი კლაიპედიდან

ახალი ქონკისტადორები

2:7

რა სხვა სამყარო ესპანეთი, ინდიელივით თუ დახვდები

2

სერხიო კანალესის ჯარიმა და მორიგი გოლი ჩვენს კარში

არჩილ გეგენავას ფოტო

4

საქართველოს ნაკრების ვარჯიში

ფოტო: ww.gff.ge

თამაში–შანსი

საქართველო-ლატვია 21 საათიდან

ქართული ფეხბურთი

U 21. ევრო 2013. შესარჩევი მატჩი

1.09. ქუთაისი. ტორპედო.
12 000 მაყურებელი

საქართველო	2
ესპანეთი	7

0:1 ისკო (4), 0:2 მორენო(11), 0:3 ისკო (23), 0:4 მორენო (28), 0:5 მორენო (29), 0:6 კანალესი (41), 1:6 მარტინესი (52.ს.კ), 1:7 ბარტრა (62), 2:7 კვეკვესკირი (88)

საქართველო	ესპანეთი
4-2-2-1-1	4-3-3
მაკარიძე	დე ხეა
აფაქიძე	გალო
კვირკველია	ბარტრა
კაკუბავა	ამატი
ჯიშკარიანი	პლანიასი
ქანტურია	რიგუ ვიდალი
თარხნიშვილი	კანალესი
კვეკვესკირი	მუნიაინი
შუყოლაძე	ილარამენდი
ძალამიძე	მორენო
მჭედლიძე	ისკო
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ო. გაგელია	ლ. მილია

საქართველო

46. ჯიშკარიანი - **იოსელიანი**
67. ძალამიძე - **ოქრიაშვილი**
75. ქანტურია - **ყაზაიშვილი**

სათადარიგოები: ზარქუა, ბრაჭული, ბეგლარიშვილი, ქობალია.

ესპანეთი

30. ამატი - **მარტინესი**
60. ილარამენდი - **პერესი**
66. ისკო - **ვასკესი**

სათადარიგოები: მაილო, ფერნანდესი, სერხიო რობერტო, ტელო

გაფრთხილება: აფაქიძე(55), იოსელიანი(61), ვასკესი(74)
არბიტრი: სტიუარტ ეტუელი (ინგლისი)

ესპანური კლასი და ჩვენი პირველი კლასი

გუშინ ხომ პირველი სექტემბერი იყო

რა უნდა ვთქვათ მატჩზე, რომელშიც 2:7 დავმარცხდით და რომლის პირველ ტაიმში ჩვენი ახალგაზრდები ესპანელებთან 0:6(!) განადგურდნენ. ძალიან ძნელია, შენი ქვეყნის ნაკრებს ასეთ დღეში რომ ხედავ, თორემ ვინც პატრიოტული მოტივი გვერდზე გადადო და თამაშს ცივი გონებით უყურა, ესპანელთა ბრწყინვალე თამაშით ნასიამოვნები დარჩა. სამწუხაროდ, ქუთაისში ფეხბურთი მხოლოდ ესპანელებმა ითამაშეს, ჩვენებს კი მათთან ბრძოლის და ღირსეულად დამარცხების უნარიც არ აღმოაჩნდათ. მართალია, ჩვენი გუშინდელი მეტოქე ევროპის მოქმედი ჩემპიონი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, მაგრამ ასეთ ჯოჯოხეთურ მარცხს ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. თუმცა, 2:7 რა მოსატანია: შესვენებამდე, 0:6-ისას, ჩვენი დემორალიზებული გუნდის შემხედვარე მაყურებელი იმას შიშობდა, სულაც ორნიშნა რიცხვით არ წაგვეგო...

ესპანელებმა აქცენტი სწრაფ გოლზე გააკეთეს და ქართველებს „მისალმებაც არ აცადეს“: **ისკომ** ჩვენი მცველების უნიათობით ისარგებლა, **როდრიგო მორენოს** მიერ დარტყმულ და **მაკარიძის** მიერ მოგერიებულ ბურთს დაამატა და ტრიბუნები მე-4 წუთზევე დაადუმა. სტუმრებმა უფრო აქტიურად განაგრძეს **გაბელიას** გუნდის შევიწროვება, ბურთს აკონტროლებდნენ და „ბარსელონას“ ყაიდაზე, მოკლე პასებითა და ინდივიდუალური გარღვევებით ჩვენს დაცვას სტატისტის როლში ამყოფებდნენ. ბრწყინვალედ მოთამაშე **მუნიაინს, კანალესის**, მორენოსა და **ისკოს** შეჩერების რესურსი არ ჩანდა. მიუხედავად ესპანელთა უპირატესობისა, ქართველებს მალევე შეეძლოთ გათანაბრება, **ჭანტურიას** პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენილ **მჭედლიძეს** შანსი რომ გამოეყენებინა. მე-11 წუთზე მორენომ ჩვენი მცველების ბედოვლათობით ისარგებლა და მეორეც გაგვიტანა, რასაც სულ მალე ისკოს ბრწყინვალე გოლიც მოჰყვა. ესპანელი კარგად გასცდა **კაკუბავას** და წინ გამოსულ მაკარიძეს ბურთი თავზე გადაუგდო — 3:0 ამის შემდეგ ჩვენი გუნდი მთლიანად მოიშალა. ესპანელებს რაც მოესურვებოდათ, იმას აკეთებდნენ. მათ ყველაფერი ძალიან იოლად გამოსდიოდათ. ხუთიოდე წუთში ტრიბუნებზე მყოფმა 100-მდე ესპანელმა გულშემატკივარმა კიდევ ერთი გოლი იზეიმა. მორენომ ყველაფერი უზადოდ შეასრულა და — 0:4. წუთიც არ იყო გასული, რომ „ბენფიკას“ თავდამსხმელმა ჰეთ თრიკი შეასრულა.

სამწუხაროდ, გულშემატკივრების ერთმა ნაწილმა მეხუთე გოლის შემდეგ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი თავისიანების ქომაგობაზე და ჯარიმის დასარტყმელად გამზადებულ **სერხიო კანალესს** კიდევ ერთი გოლის გატანისკენ მოუწოდა... ვალენსიელმაც, თითქოს მათი შეძახილი შეისმინაო, საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა და მაკარიძეს შანსი არ დაუტოვა. ცხადია, ჩვენი ახალგაზრდების გუშინდელი თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და გულშემატკივრებმაც თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, მაგრამ ასეთ საქციელს გამართლება მაინც არ აქვს.

მეორე ტაიმის დასაწყისში კიდევ რამდენჯერმე გადავრჩით და, ჩვენ რომ ვერაფერს გავხდით, თავად ესპანელებმა დაგვასაჩუქეს: **მარტინესმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ბარსელონელმა **ბარტრამ** თანაგუნდელის შეცდომა მალევე გამოასწორა და თავურით მეშვიდედ აიღო მაკარიძის კარი. მატჩის მიწურულს **კვეკვესკირმა** შესანიშნავი გოლი გაიტანა და ჩვენც იმით თუ ვინუგეშებთ თავს, რომ ამ მატჩში გოლები მხოლოდ ესპანელებს არ გაუტანიათ და საერთოდაც, მეორე ტაიმი ქართველების გამარჯვებით დასრულდა (2:1)... ოთხ დღეში ესპანელებთან ლუგოში მეორე მატჩი გველის და იმედია, იქ სულ სხვანაირ საქართველოს ნაკრებს ვიხილავთ.

პრესკონფერენცია

ოთარ გაგელია: *„ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ვარჯიშებზე ფეხბურთელებს ვაფრთხილებდი, ზურგს უკან კაცი არ გაგეპაროთ-მეთქი და პირველი და მეორე გოლებისას სწორედ ეს დაემართათ. უყურადღებობის გამო ორი ბურთი დებიუტშივე მივიღეთ, მესამე გოლის შემდეგ კი გუნდი საერთოდ მოიშალა. ესპანეთი ევროპის ჩემპიონია და ძნელია მათთან თამაში, მაგრამ ჩვენი სისუსტით ესპანელებს საქმე უფრო გავუადვილეთ. ზოგიერთმა ჩვენს დავალებებს საერთოდ ვერ გაართვა თავი. მწარე მარცხი ვინვნიეთ, მაგრამ ერთი თამაშით ყველაფერი არ მთავრდება. „არსენალმა“ „მანჩესტერთან“ 2:8 რომ წააგო, ფეხბურთის თამაშს უნდა დაანებოს თავი? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენს ფეხბურთელებს ესპანეთისნაირ გრანდებთან თამაში უჭირთ. ეს ფიასკო მათთვის კარგი გაკვეთილი იქნება. ზოგიერთი შეშინებული თამაშობდა, ფერი არ ედო სახეზე. ყველა მატჩში უნდა იბრძოლონ, უნდა მიეჩვიონ გრანდებთან თამაშს და ფეხბურთზე მეტი უნდა იფიქრონ. ზოგს ფეხბურთელი ჰგონია თავი, არადა, ჯერ არაფრისთვის მიუღწევია. მეორე შეხვედრისთვის ცვლილებები იქნება, მაგრამ ეროვნული ნაკრები არა ვართ, რომ 15 ფეხბურთელი გავუშვათ და სხვები გამოვიძახოთ. შესარჩევი ახლა დაიწყო და ასეთი მარცხის მიუხედავად, ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს.*

ლუის მილია: *„ევროპის მოქმედი ჩემპიონები ვართ და ქუთაისური შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ისევე, როგორც საქართველოსთვის, რომელმაც პირველ მატჩში სტუმრად ხორვატია დაამარცხა. რთული თამაშის მოლოდინში ვიყავი. სწრაფმა გოლებმა საქმე გაგვიადვილა და ლამაზი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩვენთვის გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ანგარიში. ვფიქრობ, ესპანური მატჩი უფრო დაძაბული და რთული იქნება. საქართველოს ნაკრებმა მეორე ტაიმში უკეთ ითამაშა და ჩვენ ამ გამარჯვების გამო მოდუნებისა და მეტოქის შეუფასებლობის უფლება არ გვაქვს“.*

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

არჩილ გეგენავას ფოტო

მეტოქე. ლატვია

ალექსანდრ სტარკოვსი: ჩვენი ფეხბურთის პროგრესში თქვენი წვლილიც არის

ლატვიის ნაკრებმა გუშინ, წესისამებრ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მატჩისწინა ვარჯიში ჩაატარა. მართალია, პრესკონფერენცია არ გამართულა, მაგრამ ბალტიელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვსმა ინტერვიუსთვის დრო დაგვითმო.

- რა მდგომარეობაა მატჩამდე ლატვიის ნაკრებში?

- იმედია, ხვალ საინტერესო შეხვედრა იქნება. ჩვენ სატურნირო მიზნები აღარ გაგვაჩნია, მაგრამ ის კი გვსურს, რომ კარგად და შედეგიანად ვითამაშოთ. თქვენები კი, ცხადია, მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეცდებიან.

- თქვენი ხელმძღვანელობით ლატვიის ნაკრები ყოველთვის პრაგმატულ და გამართულ ფეხბურთს აჩვენებდა. თუმცა ბოლო დროს გუნდის თამაში გაუფერულდა.

- საქმე ისაა, რომ ლატვიის ნაკრებში გადახალისების პროცესი მიმდინარეობს და ბევრი ახალგაზრდა მოვინვიეთ, თაობათა ცვლა კი ყოველთვის რთული პროცესია. ამ დროს წაგებაც ხშირია, მაგრამ ეს ნაბიჯი შეგნებულად გადავდგით. ძველი მოთამაშეებიდან მხოლოდ მარის ვერპაკოვსკისი დარჩა, ყველა დანარჩენი კი ახალი თაობის წარმომადგენელია. მათ ნაკრებში ჯერ ბევრი არაფრისთვის მიუღწევიათ, მაგრამ გავა დრო და მჯერა, წინა თაობაზე ნაკლებად არ ითამაშებენ. ოსტატობას კი სწორედ ისეთი თამაშებით დახვეწენ, თბილისში რომ გველის.

- ამ თაობაში ვის გამოარჩევდით?

- რამდენიმე საინტერესო მოთამაშეა, მაგალითად, ცაუნია, რომელიც ცსკა-მ აიყვანა.

- პოლონეთის ჩემპიონატის ბომბარდირ არტიომ რუდნევსის თამაში საბოლოოდ გამოირიცხა?

- სამწუხაროდ, ასეა, რუდნევსი ვერ ითამაშებს, დანარჩენები კი ჯანმრთელად არიან.

- ლატვიას თბილისში აქამდე არ წაუგია.

- ეს ფაქტი მოთამაშეებს თავდაჯერებას შემატებს. ქართველებს კი ძლიერი ინდივიდუალისტები გყავთ და ჩვენი მიზანია, მასპინძლებს ეს კოზირი ავართვათ.

- ნაკრების პარალელურად "ბაქისაც" ავარჯიშებთ. "ინტერთან" სკანდალური თამაშის ემოციები დღემდე გამოგყვათ?

- ფეხბურთი უემოციოდ წარმოუდგენელია, "ინტერმა" მოედანი დატოვა, მაგრამ აბსოლუტური ტყუილია, თითქოს კახა ცხადაძემ მე და ჩემს ასისტენტებს შეურაცხყოფა მოგვაყენა. არანაირი კონფლიქტი არ მოგვსვლია, კახა მსაჯებით იყო გამწარებული, ეს იყო და ეს. ჩვენ კი ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

- დღევანდელი საქართველოს ნაკრები ბევრად განსხვავდება იმ ძველისგან, რომელთანაც თბილისში არ აგებდით. ამ გუნდს როგორ დაახასიათებდით?

- ცხადია, ტექნიკური მოთამაშეები ისევ გყავთ, ამას კი თამაშის კარგი ორგანიზაცია და დისციპლინა დაემატა. ამ ორი კომპონენტის სინთეზი ძალიან ბევრს ნიშნავს. არადა, ადრე სათამაშო დისციპლინით არ გამოირჩეოდით.

- ქართველებიდან ვის გამოარჩევდით?

- დვალიშვილს, კობიაშვილს, კალაძეს. ჩვენს ბიჭებს მათზე დაკვირვება არ აწყენდათ. სხვათა შორის, ლატვიის ფეხბურთის პროგრესი იმ ქართველი ბიჭების დამსახურებაც არის, ბოლო 15 წელი ჩვენი ჩემპიონატის წამყვან კლუბებში რომ თამაშობდნენ. მათ ძალიან ბევრი შეგვძინეს მწვრთნელებსაც და მოთამაშეებსაც.

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სატრანსფერო ბაზარი

ევროპამ ქართველებს მაზანდა აუწია. განსაკუთრებით მეკარეებს

ჩვენი ყველაზე ძვირფასები: ლორია და ჩისკო

ვებგვერდი „ტრანსფერმარკტი" საფეხბურთო მოვლენებს დროულად და ადეკვატურად ეხმაურება. ევროთასებზე ჩვენი კლუბების არცთუ ნარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ქართველ ფეხბურთელთა ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით თბილისის „დინამოსა" და "ზესტაფონის" მოთამაშეებისა.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს ნაკრების მეკარეების **გიორგი ლორიასა და როინ კვასხვაძის** ამბავი – პირველი 450 000 ღირდა, ახლა – 800 000-ად აფასებენ, "ზესტაფონის" კიპერის ფასი კი 400 ათასით გაიზარდა და 700 ათასს უწია!

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ რუსეთის პრემიერლიგის მახაჭყალის "ანჟიში" მშვენიერი თამაშის წყალობით "თავი დაიფასა" **ნუკრი რევიშვილმაც,** რომლის „ნახტომიც" ასევე შთამბეჭდავია – 400 ათასის ნაცვლად ახლა 1 000 000 ევროდ ფასობს! შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველ მეკარეებს ასეთი მაღალი „მაზანდა" არასოდეს ჰქონიათ.

მათ გარდა, ევროტურნირების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა **ნიკა გელაშვილის, შოთა გრიგალაშვილის, ჯაბა დვალის, გიორგი რეხვიაშვილის, ნიკა კვეკვესკირის, ლევან კაკუბავასა** და **ირაკლი ქობალიას** ფასები.

თუმცა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შემცირდა დინამოელების **ხისკოს** (მილიონ ევროდ აფასებდნენ) და **მიკელ ალვაროს** (900.000) ფასები – პირველი ახლა 800 ათასად ფასობს, მეორე — 750 ათასად. ასე რომ, ეროვნულ ჩემპიონატში მილიონიანი მოთამაშე აღარ გვყავს.

გიორგი ლორია

ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელები

1-2. გიორგი ლორია, ჩისკო (ორივე — **„დინამო"**) 800 000

3. მიკელ ალვარო (**„დინამო"**) 750.000

4. როინ კვასხვაძე (**„ზესტაფონი"**) 700.000

5. ნიკა გელაშვილი (**„ზესტაფონი"**) 600.000

7. გუგა დაუშვილი (**„ზესტაფონი"**) 550.000

7-8. შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ხიდეშელი (ორივე — **"ზესტაფონი"**) 450.000

9-12. ჯაბა დვალი (**„ზესტაფონი"**), გიორგი რეხვიაშვილი, ნიკა კვეკვესკირი, ლევან კაკუბავა (**სამივე — „დინამო"**) – 400.000

აღსანიშნავია, რომ ქართული კლუბების ჯამურმა ფასმა ბოლო წლებში პირველად გადააჭარბა 30-მილიონიან ზღვარს. თბილისის "დინამოს" საკმაოდ მიუახლოვდა „ზესტაფონი", რომლის მოთამაშეთა ფასმაც მნიშვნელოვნად მოიმატა და 5.675.000 ევროს ნაცვლად ახლა 7.075.000-ია.

ქართული კლუბების მოთამაშეთა ჯამური ფასი კი ასე გამოიყურება:

კლუბი	მ.რ.	ს.ა.	გ.ს.ფ.	ფ.ს.ფ
დინამო	27	25.3	7.875.000	291.667
ზესტაფონი	26	24.8	7.075.000	272.115
მეტალურგი	23	25.3	3.850.000	167.391
ტორპედო	22	26.8	2.175.000	98.864
გაგრა	19	22.7	2.125.000	111.842
სპარტაკი	24	23.3	1.550.000	64.583
ვიტ ჯორჯია	22	21.7	1.425.000	64.773
გაია	24	21.8	1.250.000	52.083
კოლხეთი	26	24.2	1.025.000	39.423
დილა	24	26.1	900.000	37.500
მერანი	22	24.7	725.000	32.955
სიონი	29	24.1	575.000	19.828

სულ 30.550.000

მოთამაშეთა საშუალო ფასი 105.382 (**წინა თვეში - 95.780**)

■ თანხები მოცემულია ევროში

■ მ.რ. - მოთამაშეთა რაოდენობა, ს.ა. - საშუალო ასაკი; გ.ს.ფ. - გუნდის საერთო ფასი; ფ.ს.ფ. - ფეხბურთელთა საშუალო ფასი.

■ ბოლო სამ თვეში ქართველი ფეხბურთელების საშუალო ფასი გაიზარდა. თუ გასული სეზონის ბოლოს „ტრანსფერმარკტი" ჩვენებურებს 91.064 ევროდ აფასებდა, აგვისტოს დასაწყისში 95.780 ევრო გახდა, ახლა კი - 105.382.

■ ივნისის დასაწყისში ქართული კლუბების მოთამაშეთა ჯამური ფასი 21.400.000 ევრო იყო, აგვისტოს დასაწყისში - 27.910.000, ახლა კი 30.550.000.

■ მილიონზე მეტად კი ექვსის ნაცვლად უკვე ცხრა გუნდი ფასობს.

ბოლოს გავეცნოთ გუნდებში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელების სიას:

დინამო

ჩისკო - 800.000
გიორგი ლორია - 800.000
მიკელ ალვარო - 750.000

ზესტაფონი

როინ კვასხვაძე - 700.000
ნიკა გელაშვილი — 600.000
გუგა დაუშვილი - 550.000
შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ხიდეშელი - 450.000

მეტალურგი

ირაკლი მოდებაძე - 350.000
ლექსო კვახაძე, რევაზ გეწაძე - 325.000

ტორპედო

თენგიზ ჩიკვილაძე - 250.000
ვახტანგ კვარაცხელია - 175.000

ვიტ ჯორჯია

გესიკ ჩიმაკაძე, გურამ გურეშიძე - 125.000
გიორგი კორიფაძე - 100.000

სპარტაკი

გიორგი ციმაკურიძე - 250.000
თემურ შონია, ზვიად მეტრეველი, კოგა შალამბერიძე - 125.000

სიონი

დავით ლეგაშვილი, ვაჟა ძორიძე, ვილი ისიანი, გიორგი თარგამაძე, მიხეილ კოგერიძე, ლაშა კემუხტაშვილი, ვალერი ბოლქვაძე, გიორგი ძუცურუა - 50.000

გაია

ირაკლი ქოგალია — 250.000
ნიკა აფაძიძე - 125.000
ლუკა გუგუჩია - 100.000

კოლხეთი

გიორგი ცხადაია - 100.000
ლაშა გვალია, ლაშა ძეგაძე, დავით მეგრელიშვილი, გიგა კვერენჩხილაძე - 75.000

გაგრა

ოვონიკოკო სეუნი აგაიომო - 275.000
გიორგი გაგედავა - 225.000
ნიკა ჯიშკარიანი - 200.000

მერანი

თორნიკე კაკუშაძე, ვალერი იოგაშვილი - 75.000

დილა

ვალტერ ხორგუაშვილი, პავლე ხორგუაშვილი, დავით რაჟამაშვილი, გია თოდუა, ოლეგ გველესიანი, რომან ახალკაცი - 75.000

● ქართველების რუსული მიდი-მოდი

ჩვენებურები რუსულ ძირითადში

პლუსები, მინუსები და პერსპექტივები

რუსეთში სატრასნფერო ფანჯარა დაიხურა და ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ცვლილებაც მოხდა. ზაფხულამდე პრემიერლიგის კლუბების ძირითად გუნდებში 13 ქართველი თამაშობდა, ამჟამად მათი რიცხვი გაიზარდა.

პრემიერლიგაში გააგრძელებენ კარიერას **საბა კვერკველია** და **გიორგი ჩელებაძე** (პირველი ყაზანის "რუბინში" დუბლებიდან „დაანინაურეს", მეორე კი ვორონეჟის "ფაკელიდან" ოჯარით გადაიყვანეს), **ზურაბ არზიანი** "(თბილისის "დინამო") და **ზურაბ ცისკარიძე** (მონრეალის "იმპეკტი", კანადა).

სატრანსფერო ფანჯრის მოვლენა გახდა **ოთარ მარცვალაძის** გადასვლა "ვოლგადან" "კრასნოდარში" 2,6 მილიონ ევროდ. გულდასაწყვეტი იყო **ირაკლი კლიმიაშვილის** წასვლა მახაჭყალიდან: გასაგებია, რომ **რობერტო კარლოსის, ეტოოს, იური ჟირკოვის, დიეგო ტარდელისა** და სხვა არანაკლებ ვარსკვლავთა გადამბირებელ "ანჟიში" საქართველოს ჩემპიონატიდან წასულმა მოთამაშემ ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ უზბეკეთში, ტაშკენტის "პახტაკორში" გაშვება ვერ იყო სასიამოვნო ამბავი – იმედია, ეს დროებითია და ირაკლი თავის შესაძლებლობებს გამოავლენს.

ამერიკის 20-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ზურაბ ცისკარიძე** პერმის "ამკარმა" მარცხენა მცველად აიყვანა – ის ჩვენთვის უცნობი მოთამაშეა.

ქვემოთ შემოთავაზებულ ჩამონათვალში კვერკველიას პლუსი იმიტომ დავუწერეთ, რომ ზაფხულამდე დუბლშემადგენლობაში თამაშობდა და ახლა გადაიყვანეს ძირითად გუნდში. ამის გამო არ ვასახელებთ დუბლებში მოთამაშე **მიხეილ გორელიშვილს, ავთო ბრაჭულს, მერაბ ურიდიას** ("რუბინი"), **გიორგი ილურიძეს** ("ანჟი"), **დავით კოხიას** ("ვოლგა"), **თემურ ბუკიას, ირაკლი ჭეჟიას** (მოსკოვის "სპარტაკი"), **ირაკლი ლოგუას** (მოსკოვის "დინამო").

ზენიტი

იგორ ჩემინავა

ანჟი

ნუკრი რევიშვილი,
- ირაკლი კლიმიაშვილი

კრასნოდარი

ალეკო ამისულაშვილი
+ ოთარ მარცვალაძე

ვოლგა

გოგიტა გოგუა, გოჩა ხოჯავა, მათე ვაწაძე, ლაშა სალუქვაძე, გია გრიგალავა
- ოთარ მარცვალაძე, + ზურაბ არზიანი

სპარტაკი მოსკოვი

ჯანო ანანიძე

ამკარი

+ზურაბ ცისკარიძე

რუბინი

+ საბა კვერკველია, + გიორგი ჩელებაძე

სპარტაკი ნალჩიკი

დავით სირაძე

ტერეკი

ლევან გვაზავა

ბოლოს კიდევ ერთ ტრანსფერზე, რომელშიც ქართველი არ მონაწილეობდა, მაგრამ ჩვენიანს ეხება: ამ დღეებში დაინერა, "ანჟის" მეკარე **ნუკრი რევიშვილს** სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა მოსკოვის "დინამოდან" გადასული **ვლადიმერ გაბულოვის** სახითო. გაბულოვი დაღესტნელთა განაცხადში მართლაც შეიყვანეს, მაგრამ მოულოდნელად მორიგი გარიგება განხორციელდა და მოსკოვის ცსკა-ში აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ არმიელთა მეკარე **იგორ აკინფეევი** მოსკოვის "სპარტაკთან" მატჩისას დაშავდა და რუსეთის ნაკრების კარის დარაჯს სასწრაფოდ მოუძებნეს შემცვლელი. "ანჟი" კი საბოლოოდ ცსკა-ს მეორე მეკარე **ევგენი პომაზანს** დასჯერდა.

გვედრი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

ქართული ფეხბურთი

ევრო 2012 ლატვია-საქართველო

უჩვეულო სიტუაცია: შანსი დაგვრჩა

ჩვენ ვიყოჩაღოთ, ხორვატებს ვუძომაგოთ

თვეზე ცოტა მეტიც და 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დასრულდება; რაც მთავარია, თითოეულ ქართველ გულშემატკივარს აქამდე არარსებული მოლოდინი აქვს — საქართველოს ეროვნული ნაკრები ხომ კვლავაც ინარჩუნებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსს! ჰო, მსგავსი არც არასდროს მომხდარა, ის კი არა, 1994 წლიდან მოყოლებული, ჩვენი ნაკრებისათვის შესარჩევი ციკლი, ლამის იყო, სამი-ოთხი მატჩის მერე მთავრდებოდა! ანუ შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეები წარმატებულ სტარტს რომ აიღებდნენ, საქართველოს ნაკრები ამ დროს თამაშს-თამაშზე აგებდა; ახლა კი (უფრო ზუსტად, შარშანდლიდან მოყოლებული) მართლაც „უჩვეულო" სიტუაციაა: ნებავთ თეორიული დაარქვით, ნებავთ პრაქტიკული, პლეი ოფში მოხვედრის შანსი კვლავაც გვაქვს! თანაც, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ნაკრებმა ბოლო ორი ოფიციალური მატჩი (სტუმრად ისრაელთან და ხორვატიასთან) წააგო...

...საქართველოს ნაკრების შანსებზე ვსაუბრობთ და არ დაგვავიწყდეს, რომ პლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმიცა და მინიმუმიც დარჩენილი სამივე მატჩის მოგებაა. სხვანაირად მეორე ადგილზე გასვლის შანსი პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაზე; ჰო, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელად გვეჩვენება მოვლენების ისეთი განვითარება, რომ ჩვენი ჯგუფი უპირობო ფავორიტმა ხორვატიამ პირველობა სხვას დაუთმოს. ბოლოს და ბოლოს, ხორვატებს მალტასთან (სტუმრად) და ლატვიასთან (შინ) 6 ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეთ; თუმცა, **სლავენ ბილიჩის** გუნდმა „უფრო მეტიც უნდა მოინდომოს" და შემდეგ კვირაში შინ ისრაელიც დაამარცხოს, ხოლო ერთი თვის მერე კი სტუმრად, ბერძნებთან არ უნდა წააგოს! სამწუხაროდ, ჩვენი ნაკრების ზედიზედ ორმა მარცხმა ის „მოგვიტანა", რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ვეღარ ვიქნებით; ანუ, შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ პლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად დარჩენილ სამ შეხვედრაში აღებული 9 ქულაც არ გვეყოს. სწორედ ამის გამო ვართ დამოკიდებული „სხვებზე" და ხორვატების პირველ ადგილზე გასვლაც ამიტომ გვანყობს. ისე, რახან ნატვრაა, ბარემ ისიც ვისურვოთ, რომ ისრაელისა და საბერძნეთის დღევანდელი უპრინციპულესი დაპირისპირება... ფრედ დამთავრდეს! მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში ისრაელს 14 ქულა ექნება და ორ დარჩენილ შეხვედრაში (ხორვატებთან და მალტასთან) მხოლოდ 3 ქულა უნდა აიღოს; რაც შეეხება საბერძნეთის ნაკრებს, ელადელებმა მომდევნო ორ მატჩში (ლატვიასთან და ხორვატიასთან), ყველაზე ბევრი, მაქსიმუმი 3 ქულა უნდა აიღონ; თუ ყველაფერი „ჩვენი გათვლებით" წარიმართა, ბოლო ტურში სწორედ საქართველოსა და საბერძნეთის მატჩი გაარკვევს ამ ჯგუფში პლეი ოფის საგზურის მფლობელს...

ნავსი დღეს უნდა გატყდეს

საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით ჩვენს დღევანდელ მეტოქეს მოკრძალებული მიზნები აქვს — თუ რაიმე „გაუთვალისწინებელი" არ მოხდა, **ალექსანდრ სტარკოვსის** გუნდი შესარჩევ ციკლს მეხუთე, ანუ, ბოლოსწინა ადგილზე დაამთავრებს. ლატვიელებს დღეისათვის 4 ქულა აქვთ: ჯგუფის უპირობო აუტსაიდერს მალტას სტუმრად 2:0 მოუგეს, კიდევ ერთი ქულა კი შარშან შემოდგომაზე საქართველოსთან მოიპოვეს. არადა, რა მწარედ გვახსენდება 2011 წლის 12 ოქტომბრის მატჩის ბოლო წუთები; უფრო ზუსტად, პორტაგალიელი არბიტრის მიერ დამატებული დრო, როცა ლატვიელთა ბოლო იერიში ჩვენს კარში გატანილი გოლით დასრულდა: **ოსკარს კლავამ** მარჯვენა ფლანგიდან ბურთი ჩვენს საჯარიმოში ჩაკიდა, ტანმაღალმა **კრისტაპს გრებისმა** საჰაერო ორთაბრძოლაში ერთდროულად... სამ ქართველ ფეხბურთელს აჯობა და ყველაფერი კი იმ შეხვედრის ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილის, ახალგაზრდა ნახევარმცველის **ალექსანდრ ცაუნას** მართლაც ეფექტური და ზუსტი დარტყმით დამთავრდა! აი, ასე — დაცვაში მცირე მოდუნება (ნებავთ, კონცენტრაციის დაკარგვა)... ორ დაკარგულ ქულად დაგვიჯდა; არადა, 12 ოქტომბრის იმ წვიმიან საღამოს რიგიდან 3 ქულა რომ წამოგვეღო, 11 ქულით დღესაც მაინც მეოთხე ადგილზე ვიქნებოდით, მაგრამ პლეი ოფში მოხვედრის შანსი ოდნავ მეტი გვექნებოდა. სამწუხაროდ, ლატვიელთა დამარცხება ვერ შევძელით და ამ ქვეყნის ნაკრებთან კვლავაც აბსოლუტური თანაფარდობა დაგვრჩა! თავად განსაჯეთ: დღემდე ჩატარებული 6 მატჩიდან 2 ჩვენ მოვიგეთ, 2 ლატვიელებმა, 2 შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა; ის კი არა, ბურთების სხვაობაც ნათლად ასახავს თანაფარდობას: 8-8! სამწუხარო ის არის, რომ ლატვიელებთან არასდროს გაგვიმარჯვია ოფიციალურ მატჩში: 1 ნაგება და 2 ფრე გვაქვს და იმედია, ნავსი სწორედ დღეს გატყდება. არადა, ვერავინ იტყვის, რომ მიხეილ მესხის სახელობის განახლებულ-გაკოხტავებულ სტადიონზე დღეს რომელიმე ევროპულ გრანდს უნდა ვუმასპინძლოთ; თუმცა, წავიდა ის დრო, ლატვიურ ფეხბურთს სათვალავში არავინ რომ არ აგდებდა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს იქაური ერთადერთი „გრანდი", რიგის „დაუგავა" თუ თბილისის „დინამოსთან" „შორიახლოსაც" ვერ მივიდოდა, XXI საუკუნის დასაწყისში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ლატვიელებმა შეძლეს ის, რასაც ჩვენ ამდენი ხანია ველოდებით: ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზზეს! **ვიტალის ასტაფიევსი, ალექსანდრს კოლინკო, მარიან პახარსი, ანდრეის შტოლცერსი, ანდრეის რუბინსი, იურის ლაიზანსი, იგორს სტეპანოვსი, მარის ვერპაკოვსკისი,** - აი, ამ თაობამ შეძლო და ლატვიურ ფეხბურთს უდიდესი წარმატება მოუტანა; იმის შეხსენება კი ალბათ ზედმეტია, რომ ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მაშინაც **ალექსანდრ სტარკოვსი** გახლდათ, დღესდღეობითაც რომ მოძღვრავს თავისი ქვეყნის უპირველეს გუნდს და ამას გარდა, აზერბაიჯანული „ბაქის" თავკაციც არის; ლატვიის ნაკრების ახლანდელი თაობიდან კი, რაღა თქმა უნდა, ორი გამორჩეული ახალგაზრდა ფეხბურთელი უნდა ვახსენოთ: ზემოთ ნახსენები ალექსანდრ ცაუნა (ამა წლის იანვრიდან მოსკოვის სცსკა-ში რომ გადავიდა) და პოლონური „ლეხის" შემტევი **არტიომს რუდნევსი.**

თემურ ქეცბაიას „წლის მწვრთნელის" პრიზს გადასცემს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი

დიდი შემოგრუნება, ნდობა და... ალიარება!

ლატვია-საქართველოს შარშანდელი მატჩი სხვა მხრივაც განსაკუთრებული იყო: ჩვენი ნაკრები იმ შეხვედრაში თუ არ დამარცხდებოდა, არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგს უჩვენებდა! როგორც იცით, ის მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა და, პირველად თავის ისტორიაში, საქართველოს ნაკრებმა წელიწადი ნაუგებლად ჩაამთავრა! ჰო, აი ეს კი, მართლაც სასიამოვნო, ნებავთ უჩვეულო მოულოდნელობა იყო — მით უფრო, რამდენიმემატჩიანი ნაუგებელი სერია კი არა, კინკილა გამარჯვების (მეტოქეს მნიშვნელობა რომ არ ჰქონდა) მოპოვება გვენატრებოდა...

...**თემურ ქეცბაია** საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად 2009 წლის მიწურულს დაინიშნა; დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს ფეხბურთელის რანგში აღიარება არასდროს მოჰკლებია; თბილისის „დინამო", კვიპროსის „ანორთოსისი", ათენის აეკ-ი, ინგლისური „ნიუკასლი" და „ვულვერჰემპტონი", შოტლანდიური „დანდი" და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნული ნაკრები, — სადაც კი უთამაშია, ლამის ორი ათეული წლის განმავლობაში, ყველგან გამორჩეული გახლდათ და ასევე ყველგან ლიდერობაზე ჰქონდა პრეტენზია. მერე სამწვრთნელო კარიერა დაიწყო და აქაც შთამბეჭდავი შედეგი უჩვენა: პირველად კვიპროსული ფეხბურთის ისტორიაში, ამ ქვეყნის კლუბი „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა! მერე იყო ბევრად უფრო მაღალი დონე — ბერძნული „ოლიმპიაკოსი", სადაც კვლავაც განაგრძო წარმატებული სვლა: პირეოსული გრანდიც გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო იქიდან წამოსვლამ მოუნია. სხვათა შორის, ვიდრე ქეცბაია იყო. მთავარი მწვრთნელი, „ოლიმპიაკოსს" თამაში ხომ არ ჰქონდა წაგებული, უფრო მეტიც — საკუთარ კარში გოლი არ ჰქონდა გაშვებული!

... მშობლიური ქვეყნის ნაკრების განვრთნაზე უარს ნამდვილად ვერ იტყოდა, თანაც, იმის მიუხედავად, რომ ქეცბაიას ფსიქოლოგიურად დემორალიზებული გუნდი უნდა ჩაებარებინა; აბა, როგორი საქმეა, როცა საქართველოს ნაკრებს 15-მატჩიანი (!) მოუგებელი სერია ჰქონდა და იმის გარდა, რომ ჩვენს ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას დამარცხებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდა, თვითონ ფეხბურთელებისათვისაც ნაკრებში მოხვედრა-არმოხვედრა იყო სულერთი, თუ - გაუფასურებული...

ამის მერე რა და როგორ მოხდა, ბევრს აღარ ვისაუბრებთ: თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა 2011 წელი ნაუგებლად დაასრულა და დღესდღეობით კი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსს კვლავაც ვინარჩუნებთ. თანაც, ნაუგებელ სერიასა თუ შანსებზეც რომ არ ვილაპარაკოთ, ქეცბაიასა და მისი ხელმძღვანელობით მოსაპარეზე ფეხბურთელებს (დაწყებული ვეტერანებით — **კახი კალაძით, ლევან კობიაშვილით, ალექსანდრე იაშვილით, ზურაბ ხიზანიშვილით** და **18 წლის ჯანო ანანიძით** დამთავრებული) მადლობა მხოლოდ იმის გამოც უნდა გადავუხადოთ, რომ საქართველოს ნაკრებმა სტადიონზე გულშემატკივარი დააბრუნა! მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აი, ამის თქმა გვსურს: როგორც უნდა დამთავრდეს ეს შესარჩევი ციკლი, თემურ ქეცბაის მუშაობა დადებითად უნდა შეფასდეს! დაბოლოს, კიდევ ერთხელ გვინდა დავუბრუნდეთ ქეცბაიას მორიგ აღიარებას, გარკვეულ მიზეზთა გამო, ცოტა არ იყოს, რომ მიიჩქმალა. საგამომცემლო სახლი „სახე(ლ)ები" (ჩვენი კოლეგები, **ნანა აკობიძე** და **გია ჩადუნელი** რომ ხელმძღვანელობენ) ყოველწლიურად მასშტაბურ პრეზენტაციას აწყობს და სხვადასხვა ნომინაციაში „წლის ადამიანებს" აჯილდოებს. და აი, წელს პირველად მოხდა, ლაურეატთა შორის... მწვრთნელი რომ დასახელდა და რა მიხვედრა სჭირდება იმ ფაქტს, „საქართველოს 2010 წლის საუკეთესო მწვრთნელი" თემურ ქეცბაია იქნებოდა! „სახე(ლ)ების" მიერ ჩატარებულ „წლის ადამიანების" პრეზენტაციაზე თემურ ქეცბაია კვიპროსიდან საგანგებოდ ჩამოფრინდა და სასიამოვნოდ გაოცებულ-გახარებული, ვერაფრით ცდილობდა დაემალა მოზღვავებული ემოციები; მით უფრო, რომ იმ დღეს, 26 ივლისს, ისეთი სახელოვან ხელოვანთა ერთად წარმოჩნდა, **ლიანა ისაკაძე, კახი კავსაძე, თენგიზ არჩვაძე, გურამ დოჩანაშვილი** რომ არიან.

გია ტუხაშვილი

ლეგიონერი

უფრო ცაღლა უფრო კარგად

ირაკლი სირბილაძე ფინურ გზაგასაყარზე

ფინურ კლუბ "იაროს" თავდამსხმელი ირაკლი სირბილაძე მშვენიერ ფორმაშია და მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. მეტი კურიოზი რა გინდა - 28 წლის ფორვარდი ფინეთის ვეიკაუსლიგაში უფრო შედეგიანია, ვიდრე უფრო დაბალ ლიგაში იყო.

თავად განსაჯეთ: სირბილაძემ პირველი წრე რანგით მეორე ლიგის კპვ-ში ჩაატარა და 11 მატჩში მხოლოდ ერთხელ გაიტანა, ვეიკაუსლიგის "იაროში" გადასვლის შემდეგ კი შვიდ მატჩში შვიდი გოლი მიითვალა – ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი შედეგია!

ირაკლი სირბილაძეს ფინეთში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

- ფინეთის უმაღლეს ლიგაში წარმატებული დებიუტი გაქვს. რამ განაპირობა ეს - მხოლოდ მონდომებამ თუ გუნდიც ხელს გიწყობს?

- თავისთავად ცხადია, მოუნდომებლად არაფერი გამოვა, თუმცა სხვა სასიკეთო ფაქტორებიც იყო: ვარჯიში და შრომა არასოდეს დამზარებია, მწვრთნელმა და ფეხბურთელებმაც შემინწყვეს ხელი და გულშემატკივრებმაც, რომლებიც ძალიან თბილად დამხვდნენ. ჩემდა გასაკვირად, ხალხისგან დიდ სიყვარულს ვგრძნობ, ეს კი ჩემთვის დიდი სტიმულია. მეც ვცდილობ, ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩავატარო. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ჯერ სასურველ ფორმაში არ ვარ.

- შვიდ შეხვედრაში შვიდი გოლი ფორმაში არყოფნაა?!

- მე ხომ ვგრძნობ, რომ მეტი შემიძლია. მოსამზადებელი პერიოდი საერთოდ არ გამივლია.

- რატომ?

- მეკარე შემეჯახა და ცხვირი გამიტეხა. ამის გამო მთელი თვე დავისვენე და, ცხადია, ასეთ მდგომარეობაში გუნდს შეკრებაზე ვერ გავყევი, მოუმზადებელი გადავედი "იაროშიც" და სასურველ ფორმაში ვერანაირად ვერ ვიქნები.

- ასე თუ გააგრძელე, შესაძლოა, ბომბარდირებში უფრო დაწინაურდე.

- პირველ წრეში რომ გადავსულიყავი, შეიძლება, ასეც ყოფილიყო. მაგრამ ახლა ძნელი იქნება. პირველ ადგილზე მყოფ ტიმო ფურუჰოლმს 15 გოლი დაუგროვდა, ჩემპიონატის ბოლომდე კიდევ გაიტანს და სხვაობის აღმოფხვრა წარმოუდგენელი ჩანს. მაგრამ მე მაინც ბოლომდე ვიბრძოლებ, ვეცდები, რაც შეიძლება მეტი გავიტანო.

- ძველმა გუნდმა, კპვ-მ შენი ტრანსფერი "იაროს" მიჰყიდა თუ იჯარით გაგიშვა?

- ძველმა გუნდმა გამანათხოვრა, იჯარის ვადა კი უკვე დასრულდა და ჯერ არც ვიცი, სეზონის დასრულებამდე დარჩენილ ორ თვეს რომელ გუნდში ვითამაშებ.

- ეს როდის უნდა გაირკვეს?

- უახლოეს დღეებში. მე კი მინდა, სეზონი უმაღლესი დივიზიონის "იაროში" ჩავამთავრო, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. თუმცა კპვ-სთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს მიმთავრდება და მერე თავად გადავწყვეტ, სად ვითამაშებ.

- ფინეთში შენს თამაშზე როგორი გამოხმაურებებია?

- საკუთარ თავზე ვერ ვილაპარაკებ, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ უკმაყოფილოები ნამდვილად არ არიან.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი

არსენალის სატრანსფერო არტ-პერფორმანსი

საოცარია სატრანსფერო ბაზრობის ბოლო დღე, ისეთი მოულოდნელი რაღაცები ხდება, ადამიანს შეიძლება თმა ყალყზე დაუდგეს. ასე მაგალითად, განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ „არსენალი" „ევერტონისგან" ესპანელ ნახევარმცველ **მიკელ არტეტას** იყიდდა? ამაზე ხომ საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი.

საინტერესოა, რომ 31 აგვისტოს დილას, როდესაც „მეთოფეებმა" მერსისაიდელებს პირველად მიმართეს არტეტას შესახებ, „ევერტონმა" კატეგორიული უარით უპასუხა, მაგრამ თურმე თავად არტეტას დაუკარგავს მოსვენება — ფეხბურთელმა „გუდისონ პარკზე" შეფები არ მოასვენა და საბოლოოდ მიაღწია იმას, რომ ჩრდილოეთ ლონდონში გადაბარგდა. როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, ყველაფერი მათი დროით საღამოს 11 საათამდე მოესწრო. 29 წლის არტეტამ „მეთოფეებთან" ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ამბობენ, რომ „არსენალმა" თავიდან „ევერტონს" არტეტას სატრანსფერო კომბინაციის ნაწილად **ნიკლას ბენდტნერი** შესთავაზა, მაგრამ ლივერპულელებს ცივი უარი უთქვამთ - ამით „სანდერლენდმა" ისარგებლა და დანიელი ფორვარდი ერთი სეზონით იქირავა. საინტერესოა, რომ ოღონდ კი „ემირეიტ სთედიუმზე" გადასულიყო და არტეტამ კვირაში 10 ათასი ფუნტი მოიკლო.

„ევერტონის" თავკაცმა **დევიდ მოიესმა** თქვა: *„მიკელმა მაგრძნობინა, რომ „არსენალში" გადასვლა უნდოდა. მე, რასაკვირველია, ძალიან დამწყდა გული, ჩვენ დიდებული ფეხბურთელი დავკარგეთ, მაგრამ „არსენალი" ჩემპიონთა ლიგაში გამოდის, ეს კი ისეთი რამ არის, რომ უარს ვერაფრით ვეტყოდი".*



არტეტას ტრანსფერამდე რამდენიმე საათით ადრე კი „არსენალმა" კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტრანსფერი გააბერხა — „ჩელსისგან" ერთი სეზონით ებრაელი ნახევარმცველ-თავდამსხმელი, 31 წლის **იოსი ბენაიუნი** იქირავა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ემირეიტ სთედიუმზე" კონტრაქტებს ხელი კიდევ ორმა ახალწვეულმა, **პერ მერტეზაკერმა** და **ანდრე სანტოსმაც** 31 აგვისტოს მოაწერეს, შეიძლება ვთქვათ, რომ **არსენ ვენგერმა** სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს ოთხი ახალი ფეხბურთელი შეიმატა.

ბრიტანული გაზეთები ვარაუდობენ, რომ ახალი ფეხბურთელების დამატება „მეთოფეთა" გულშემატკივრებს გაახალისებს და გადაავიწყებს იმ კოშმარულ მარცხს, რომელიც მათმა გუნდმა გასულ კვირას „ოლდ ტრეფორდზე", „მანჩესტერ იუნაიტედისგან" ინვნია — 8:2.

კიდევ, მიმომხილველები წერენ, რომ არტეტასა და ბენაიუნის შერჩევა შემთხვევითი არ იყო - როგორც ჩანს, გუნდის სტილი რომ არ დარღვეულიყო და ახალი სისტემა არ ჰქონოდა გამოსაგონებელი, ვენგერმა **სესკ ფაბრეგასისა** და **სამირ ნასრის** მსგავსი მოთამაშეები შეიძინა.

ბენაიუნმა, სანამ ისრაელის ნაკრების შეკრებაზე გაემგზავრებოდა, „ტვიტერში" დაწერა: *„მე „არსენალთან" კონტრაქტს მოვაწერე ხელი და ძალიან ბედნიერი ვარ, თუმცა ჯერჯერობით ამ თემაზე ბევრს ვერ ვილაპარაკებ, რადგან ისრაელის ნაკრებს საბერძნეთთან აქვს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა და ჩემი გონება მხოლოდ ამაზე ფიქრით არის დაკავებული".*

ბენაიუნისა და არტეტას გადაბირებამდე კი ვენგერი დაცვის „რემონტით" იყო დაკავებული - ამიტომაც იყიდა მერტეზაკერი და ანდრე სანტოსი. 26 წლის მერტეზაკერმა, რომელსაც გერმანიის ნაკრებში არც მეტი, არც ნაკლები, 76 მატჩი აქვს ჩატარებული, „არსენალის" ოფიციალურ ვებგვერდზე დაწერა:

„ჩემთვის „არსენალში" გადასვლა ოცნების ახდენა და კარიერის საუცხოოდ გაგრძელების შანსია. პრემიერლიგაში ყოველთვის მიიზიდავდა დაძაბულობა. სიამოვნებით გავხდები ამ შეჯიბრების მონაწილე".

ვენგერმა კი მერტეზაკერის შესახებ ასე ბრძანა: *„ის გერმანიის ნაკრების ფეხბურთელია. მინდა ხაზი გავუსვა მის გამოცდილებასა და ოსტატობას. მერტეზაკერი შესანიშნავად თამაშობს როგორც თავით, ასევე ფეხით. ვფიქრობ, ის პრემიერლიგის ფეხბურთს კარგად შეეწყობა".*

● ლივერპული

ბელამის დაბრუნება პრემიერლიგაში

კრეიგ ბელამი პრემიერლიგის ფეხბურთს დაუბრუნდა — „ლივერპულს" შეუერთდა. ის, რომ მერსისაიდელები 32 წლის უელსელი ვარსკვალის გადაბირებაზე ფიქრობდნენ ინგლისური მას-მედიისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს კი მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და ხელი ხელსაც დაჭკრეს. საინტერესოდ წერს „დეილი მეილი" — იმ დღეს, როდესაც პრემიერლიგის კლუბები ბოლო ძალებსა და ფინანსებს იკრებდნენ, მწვრთნელები კი ვარჯიშებზე მისვლის ნაცვლად საიდუმლოდ იკარგებოდნენ, ბელამი მანქანაში ჩაჯდა, კარდიფიდან ლივერპულში ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარაო. შეგახსენებთ, რომ ბელამისთვის „ენფილდ როუდი" უცხო ადგილი არ არის, ის აქ 2006-07 წლებში თამაშობდა.

საინტერესოა, რომ „ლივერპულთან" მოლაპარაკებების მიუხედავად ბელამის გადაბირება ბოლოწამს „ტოტენჰემ ჰოთსპურმაც" სცადა, მაგრამ ლონდონელებს „ნითლებისთვის" ფეხბურთელის ხელიდან გამოგლეჯვა არ გამოუვიდათ და საბოლოოდ უელსელი „ლივერპულის" 39-ე ნომერი გახდა. ამიერიდან ბელამი „ენფილდზე" ორ წელიწადს გაატარებს და ლეგენდარულ შოტლანდიელ მწვრთნელსა და ყოფილ ფეხბურთელს, **კენი დალგლიშს** წმინდა ბრიტანული გუნდის აშენებაში დაეხმარება.

გავიხსენოთ ბელამის კარიერაში პირველი მერსისაიდული პერიოდი: ის „ლივერპულში" „ბლექბერნიდან" 2006 წელს 6,5 მილიონ ფუნტად გადავიდა, მაგრამ ერთ წელიწადში „ვესტ ჰემის" ფეხბურთელი გახდა. „ენფილდზე" გატარებული წელიწადის განმავლობაში უელსელმა 42 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა. გაუწონასწორებელი ტემპერამენტით ცნობილმა თავდამსხმელმა ამ გოლების გარდა თავი იმითაც გამოიჩინა, რომ პორტუგალიაში შეკრებაზე ყოფნის დროს ნორვეგიელ თანაგუნდელ **იონ არნე რიისეს** გოლფის ხელჯოხით გამოუდგა. რიისე, მოგეხსენებათ, დღეს „ფულჰემის" ფეხბურთელია.

„ვესტ ჰემში" გატარებული ორწლიანი პერიოდის შემდეგ ბელამი გამდიდრებულ „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა და სანამ ახალ მწვრთნელ **რობერტო მანჩინისთან** კონფლიქტი მოუვიდოდა თავს შესანიშნავად გრძნობდა, მაგრამ იტალიელთან მრავალი კამათისა და აყალ-მაყალის შემდეგ, ივჯარის წესით მშობლიურ კარდიფს დაუბრუნდა და „კარდიფ სიტიში" ითამაშა. „კარდიფ სიტიში" ბელამმ 34 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა.

რად უნდა თქმა, რომ **ედინ ჯეკოსა** და **სერხიო აგუეროს** ყიდვის შემდეგ ისტლენდელებს ბელამი აღარ სჭირდებოდათ. ლივერპულელთა თავკაცი დალგლიშიც, 31 აგვისტოს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე, სწორედ რომ დროულად გამოჩნდა თავისი წინადადებით.

● სტოკ სიტი

კრაუჩი და რეკორდი

„სტოკ სიტიმ" საკუთარი სატრანსფერო რეკორდი მოხსნა — ფეხბურთელებით ვაჭრობის ბოლო დღეს „ტოტენჰემ ჰოთსპურისგან" 10 მილიონ ფუნტად **პიტერ კრაუჩი**, ხოლო 8 მილიონად ჰონდურასელი **უილსონ პალასიოსი** იყიდა. კრაუჩი 30 წლის გახლავთ, პალასიოსი კი 27-ისაა. კრაუჩმა სტოკელთა თავკაც **ტონი პულისს** ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ოთხი წლით გადავიდა „სტოკ სიტიში" კიდევ ერთი ფეხბურთელი. **კემერონ ჯერომი** პულისმა 3,5 მილიონ ფუნტად „ბირმინგემისგან" შეიძინა.

ამბობენ, რომ კრაუჩი თავოდან „სტოკში" გადასვლაზე უარს ამბობდა, მაგრამ როდესაც მხარეები თანხებზე შეთანხმდნენ, ის ჩრდილოეთის გზას გაუდგა. მისმა სატრანსფერო თანხამ პულისის მიერ **კინუეინ ჯონსში** გადახდილი 8 მილიონი ფუნტი გადაჩრდილა. კრაუჩმა არც ის დამალა, რომ მის გადაწყვეტილებაზე დიდი როლი ითამაშა მისი ყოფილი თანაგუნდელის, **ჯონათან ვუდგეიტის** აგიტაციამ. სწორედ ვუდგეიტი მოუწოდებდა 201 სანტიმეტრი სიმაღლის ფორვარდს „სტოკ სიტიში" გადასვლისკენ.

„ვუდი საათში ერთხელ მირეკავდა და მიჩიჩინებდა, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა – მოყვა კრაუჩმა — ის „სტოკ სიტის" შესახებ მხოლოდ კარგ ამბებს მიყვებოდა და მეც გადავწყვიტე დამეჯერებინა მეგობრისთვის. ის მიამბობდა კლუბის ტრადიციებისა და მწვრთნელის შესახებ. ახლა უკვე ერთი სული მაქვს, როდის შევუდგები საქმეს. თან სასიხარულოა, რომ „სტოკ სიტიში" ბევრ ფეხბურთელს ვიცნობ. ბევრი მათგანი ადრე, ამა თუ იმ კლუბში ჩემი თანაგუნდელი იყო. რასაკვირველია, კარგია, რომ უილსონიც ჩემთან ერთად იქნება.

მნიშვნელოვანია, რომ „სტოკ სიტი" უკვე რამდენიმე სეზონია პრემიერლიგაში მყარად ინარჩუნებს ადგილს. დარწმუნებული ვარ, რომ კლუბს დიდი მომავალი აქვს. ვიცი, „სტოკს" ძალიან მფარველობს კლუბის თავმჯდომარე და გულშემატკივრებიც ერთგულებით გამოირჩევიან. თუ დავაკვირდებით, როგორ აქტიურობდა კლუბი სატრანსფერო ბაზარზე და როგორი ფეხბურთელები იყიდა, იოლად დავასკვნით, რომ აქაურებს სწორი გეზი აქვთ აღებული. გარდა ამისა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მწვრთნელმა ყველა ღონე იხმარა, რათა მე აქ გადმოვეყვანე. როდესაც ადამიანი ასეთ ნდობას ამჟღავნებს, რასაკვირველია, ვალდებული ხარ პატივი სცე და მოედანზე თავდადებითა და გოლებით დაუბრუნო. „სტოკ სიტის" შემადგენლობაში მომდევნო კვირებშივე მიწევს დიდ შეხვედრებში მონაწილეობა, რასაც მოუთმენლად ველი. ერთი სიტყვით, ჩემს კარიერაში ახალი და ძალიან საინტერესო ეტაპი იწყება".

პიტერ კრაუჩი შემდეგ კვირას, პრემიერლიგაში, თავის ყოფილ გუნდს, „ლივერპულს" უნდა შეხვდეს. გარდა ამისა „სტოკ სიტი" ევროლიგაშიც მონაწილეობს.

„გასულ სეზონში კარიერაში ძალიან სერიოზული გამოცდილება მივიღე, ეს ჩემპიონთა ლიგა გახლდათ. ვფიქრობ, სტოკელებს იქ მიღებული გამოცდილებით ევროლიგაში გამოვადგები".

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● გერმანიის ნაკრები

ახლა ამის დრო იყო?

კრიტიკულმა წიგნმა ლამის ძეგლიც გაბზარა

ავსტრიასთან მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** და ბუნდესგუნდის კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** ბევრი ისაუბრეს, თუ ცოტა, საბოლოოდ ისეთი სურათი შექმნეს, რომ იმ კრიტიკული წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, რომლითაც ლამმა საფეხბურთო გერმანიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, იოგი და ფილიპი შერიგებულები არიან. თუმცა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ ლიოვსა და ლამს შორის ყველაფერი კარგადაა.

ზოგადად, ლიოვი პრესკონფერენციას უშუალოდ თამაშის წინა დღეს ატარებს ხოლმე და ამ შემთხვევაში მისი ბუნდესმწვრთნელობის ისტორიაში პირველად მოხდა ისე, რომ იოგი საპრესკონფერენციო პოდიუმზე მატჩამდე ორი დღით ადრე ავიდა. თამამად უნდა ვთქვათ: იოგი იძულებული იყო, ასეთი გამონაკლისი დაეშვა. მაგრამ ეს ერთადერთი გამონაკლისი არ ყოფილა: სხვა დროს, ლიოვი პრესკონფერენციაზე ფეხბურთელის გვერდით ზის ხოლმე, ამჯერად კი, მასსა და ლამს შორის ერთი ცარიელი სკამი იდგა...

...მოკლედ, ბუნდესმწვრთნელი და მისი კაპიტანი: იმ დროს, როცა გერმანიის ნაკრებში სპორტული თვალსაზრისით ყველაფერი მართლა იდეალურადაა და ამ მხრივ გერმანიას არაერთი წამყვანი საფეხბურთო ქვეყანა შენატრის, მწვრთნელსა და კაპიტანს ამჯერად არასპორტულ, მეტად უსიამოვნო თემაზე მოუწიათ საუბარმა. 21-ე საუკუნეში, როცა ფეხბურთელებს „ფეისბუქსა“ თუ „ტვიტერზე“ 24 საათის განმავლობაში თავისუფლად მსჯელობა შეუძლიათ, საქმე ეხებოდა წიგნს, რომლის ავტორი ფილიპ ლამია და რომელმაც გერმანიაში უდიდესი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. წიგნში ფილიპმა ისეთები დაწერა, გერმანული ფეხბურთის არაერთ ავტორიტეტს დასწყვიტა გული – მათ შორის **რუდი ფიოლერს, ბერტი ფოგთსს** და ლიოვის უახლოეს მეგობარს, გერმანიის ნაკრების ყოფილ თავკაც **იურგენ კლინსმანსაც**. აღარაფერს ვამბობთ ბუნდესგუნდის ყოფილ კაპიტან **მიხაელ ბალაკზე** და მის მეგობარ, ასევე ნინა თაობის წარმომადგენელ **ტორსტენ ფრინგსზე**, რომლებიც თავად ლიოვსაც არ ეხატება გულზე.

ზოგადად, გერმანიის ნაკრების მწვრთნელობა მძიმე ხვედრია, რადგან გერმანელები ბუნდესმწვრთნელს ყოველთვის ძალიან კრიტიკულად უყურებენ. როცა კრიტიკული სიტუაციის დროს სირბილეს გამოიჩენს, სიმკაცრეს სთხოვენ და როცა მკაცრ განცხადებას აკეთებს, მეტი დიპლომატიისკენ მოუწოდებენ ხოლმე. ამჯერად ლიოვმა ოქროს შუალედი აირჩია და თქვა, ცხადია, ლამზე გაბრაზებული ვარ, მაგრამ არა იმდენად, რომ კაპიტნის სამკლავური ჩამოვართვაო. დიახ, ამაზეც იყო საუბარი...

როგორც მოსწავლე და მასწავლებელი

სხვა ფეხბურთელის შემთხვევაში ლიოვი სხვანაირად მოიქცეოდა, ფილიპ ლამის გარეშე კი ბუნდესგუნდი მართლაც წარმოუდგენელია. კაპიტნობის ჩამორთმევას კი, ორი აზრი არ არსებობს, მისი ნაკრებიდან წასვლაც მოჰყვებოდა. არადა, ლიოვი მართლა ძალიან ნაწყენი ჩანდა.

„არა მგონია, სწორი საქციელი იყოს ის, რომ ფეხბურთელი, რომელიც დღეს გერმანიის ნაკრების კაპიტანია, იმ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს აფასებს ღიად, რომლებიც ბუნდესგუნდს ადრე ემსახურებოდნენ. ჩემი აზრით, ეს არავის მოეწონებოდა და არც მე მომწონს, რაც ფილიპსაც გულახდილად ვუთხარი,“ - თქვა იოგიმ პრესკონფერენციაზე, ლამმა კი მისი ეს სიტყვები თავდახრილმა, უკომენტაროდ მიიღო – როგორც მოსწავლე მიიღებს ხოლმე მასწავლებლის შენიშვნას.

ბალაკისა და კურანის მაგალითები

იოახიმ ლიოვის ბუნდესმწვრთნელის კარიერაში რამდენიმე სკანდალური შემთხვევა იყო. 2008 წელს გერმანიის ნაკრების იმჟამინდელ კაპიტან მიხაელ ბალაკს ლიოვმა სწრაფად გასცა პასუხი და მის მეგობარ ტორსტენ ფრინგსსაც მალე მოაკეტინა. მოგვიანებით კი, იოგიმ ბალაკიცა და ფრინგსიც ნაკრებს ჩამოაშორა.

ყველაზე მკაცრი კი ლიოვი **კევინ კურანის** შემთხვევაში იყო, როცა თავდამსხმელს სტადიონიდან პირდაპირ სახლში წასვლა (თანაც, მატჩის დროს) არ აპატია და ნაკრებიდან სამუდამოდ მოკვეთა. სამაგიეროდ, იყო მეტად გასაოცარი ფაქტიც: ლიოვის ხანაში გერმანიის ნაკრებში ყველაზე უპატიებელი დანაშაული **ლუკას პოდოლსკის** აქვს ჩადენილი – ამ უკანასკნელმა კაპიტან მიხაელ ბალაკს მატჩის დროს სილა გააწნა! ლიოვმა მას ეს საქციელი ყველასათვის მოულოდნელად აპატია.

ენაგრძელი ლამი

აღსანიშნავია, რომ ლიოვი ლამს ადრეც დაუპირისპირდა – მართალია, არც ისე მედგრად, მაგრამ მაინც. მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალამდე (ესპანეთთან) ორი დღით ადრე ფილიპმა „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, მიხაელ ბალაკს კაპიტნის სამკლავურს აღარ დავუთმობ, ეს წოდება ძალიან მომწონსო. მაშინ ბალაკი ტრავმირებული გახლდათ და მუნდიალს ტოვებდა, ლამი კი სწორედ ამის გამო გახდა გერმანიის ნაკრების კაპიტანი, თორემ სხვა შემთხვევაში, სამხრეთ აფრიკაში ბუნდესგუნდს ბალაკი უკაპიტნებდა.

მართალია, ლიოვი ბალაკის მოშორებაზე მაშინაც ფიქრობდა, მაგრამ ესპანეთთან უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, დროებითი კაპიტნის ასეთი განცხადებები უარყოფითად შეაფასა და მაშინვე თქვა, ლამის საქციელი გუნდზე კარგად არ იმოქმედებს, ჩემი აზრით, თუ მაინც-დამაინც ასეთი განცხადების გაკეთება უნდოდა, ეს თამაშის შემდეგ უნდა ექნაო.

ლიოვი ნაწყენია

პრესკონფერენციაზე ლიოვი ლამზე აშკარად ნაწყენი ჩანდა და გამოჩნდა ისიც, რომ იოგიმ ფილიპთან დისტანცია დაიჭირა. იმ დროს, როცა გერმანიის ნაკრებს მართლაც შესაშური მდგომარეობა აქვს და სპორტული თვალსაზრისით ყველაფერი იდეალურად მიდის, ლიოვი არასაფეხბურთო თემების წინა პლანზე წამოწევას ცხადია, არ მიესალმება.

„ყველას ყველაფრის უფლება აქვს, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩემი აზრით, ფილიპ ლამს ასეთი წიგნი კარიერის დასრულების შემდეგ უნდა დაეწერა. მემუარებში ვისაც რა უნდა, ის წეროს, ახლა კი ამის დრო ნამდვილად არ იყო,“ - ასეთი იყო ლიოვის ბოლო სიტყვები და ფაქტია, რომ კიდევ ერთ არასწორ საქციელს იოგი ლამს აღარ აპატიებს.

● ვოლფსბურგი

ჰლებიც, კრისიც და მაგათი გაძღა!

11 წავიდა, 11 მოვიდა, ივარგებს მგლების აჯაფსანდალი?

ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ევროპაში ალბათ არც ერთ მწვრთნელსა თუ მენეჯერს არ უყიდია და გაუყიდია იმდენი ფეხბურთელი, რამდენიც **ფელიქს მაგათმა** იყიდა და გაყიდა. ზუსტი სტატისტიკური მონაცემი არ არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ „დესპოტ ფელიქსს“ ამ მხრივ კონკურენციას ვერც თვით „ჰალერმოს“ თავზეხელაღებული პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** გაუწევს. როგორც მოსალოდნელი იყო, სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს ფელიქსი ბაზარზე კიდევ ერთხელ გააქტიურდა და „ვოლფსბურგისთვის“ კიდევ ორი ახალი მოთამაშე შეიძინა. **ალიაქსანდრ ჰლების** ტრანსფერზე ჯერ კიდევ სამშაბათს ვწერდით და ბელარუსი ვოლფსბურგელი ოფიციალურად ოთხშაბათს გახდა. მასთან ერთად, მაგათმა „მგლებში“ „აინტრახტის“ ყოფილი მცველი **კრისიც** წაიყვანა.

30 წლის ჰლები „ვოლფსბურგში“ მინიმუმ 31 დეკემბრამდე ითამაშებს – მაგათმა ბელარუსი „ბარსელონადან“ ექვსთვიანი იჯარით აიყვანა. მართალია, ფელიქსი ჰლებს კარგად იცნობს (ადრე „შტუტგარტში“ წვრთნიდა), მაგრამ მის შესაძლებლობებში ბოლომდე მაინც არ არის დარწმუნებული, რადგან 2-3 წელია, ჰლებს ფეხბურთი მაღალ დონეზე არ უთამაშია – „შტუტგარტშიც“ იყო განათხოვრებული და „ბირმინგემშიც“, მაგრამ თავი ვერსად გამოიჩინა, „ბარსელონას“ კი ასეთი ფეხბურთელი მით უმეტეს არ სჭირდებოდა. ამიტომაცაა, მაგათმა ბელორუსს წარმატებაზე უკიდურესად დამოკიდებული კონტრაქტი რომ გაუფორმა.

„მიხარია, რომ „ვოლფსბურგში“ გადმოვიბირე ფეხბურთელი, რომელიც თავის დროზე ბუნდესლიგაში სწორედ მე გადმოვიყვანე და ჩემი დამსახურებაცაა ის, რომ ჯერ გერმანიაში ბრწყინავდა, მერე კი „არსენალსა“ და „ბარსელონაში“ დააგროვა გამოცდილება. პირადად მე ჰლების პოტენციალში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რაკი დიდი ხანია, მაღალ დონეზე ვერ თამაშობს, არენდა ამ ეტაპზე მხოლოდ ექვსთვიანია, მაგრამ თუ მოინდომებს და ყველაფერს დამიჯერებს, აუცილებლად ათამაშდება ისე, როგორც კარიერის საუკეთესო წლებში ასპარეზობდა და ასეთ შემთხვევაში აუცილებლად „ვოლფსბურგში“ დავტოვებ, - აცხადებს მაგათი და იქვე დასძენს, - *წესით, მას მარტოს შეუძლია თამაშების მოგება. იმედი მაქვს, რომ „ვოლფსბურგის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდება“.*

თავად ჰლები კი, რომელიც „ვოლფსბურგში“ 6-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, ამბობს: *„მიხარია, რომ ბუნდესლიგაში დავბრუნდი და თანაც ისეთ მწვრთნელთან, როგორიც ფელიქს მაგათია. ჩემი მთავარი მიზანი ახლა ფორმაში შესვლა და გუნდში თავის დამკვიდრებაა.“*

რაც შეეხება კრისს: მაგათმა ბრაზილიელ მცველსაც წარმატებაზე დამოკიდებული კონტრაქტი გაუფორმა, ოღონდ სეზონის ბოლომდე. კრისი უგუნდოდ იყო და „ვოლფსბურგში“ 22 აგვისტოდან ისინჯებოდა, მანამდე კი „აინტრახტის“ ღირსებას იცავდა, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში გავარდა. ბრაზილიელი „მგლებში“ 25-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

„კრისიც შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელსაც ცენტრალური მცველობის გარდა, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშიც ეხერხება. სახიფათოა სტანდარტული მდგომარეობების დროს. მის შემთხვევაშიც ვიმედოვნებ, რომ თავდაუზოგავად ივარჯიშებს. ასეთ შემთხვევაში მას აქვს შანსი, რომ „ვოლფსბურგის“ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახდეს,“ - ამბობს მაგათი.

აქვე შეგახსენებთ, რომ ფელიქსმა სატრანსფერო პერიოდიოს ბოლო დღეს ქირვეული ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო** მოიშორა – ამ უკანასკნელმა მადრიდის „ატლეტიკოს“ მიაშურა. მანამდე მაგათმა შემდეგი ფეხბურთელები გაუშვა: **პეტერ პეკარიკი** (ქაისერისპორში), **სიმონ კიაერი** (რომაში), **თუნჯაი სანლი** (ბოლტონში), **საშა რიტერი** (კიოლნში), **სისერო** (სან პაულოში), **ნასიმ ბენ-ხალიფა** (იანგ ბოიზში), **გრაფიტე** (ალ აჰლიში), **ფაბიან ჯონსონი** (ჰოფენჰაიმში), **ფაბიან კლოსი** (არმინიაში), **ქარიმ ზიანი** (ქაისერისპორში) და **დიუდონ მბოკანი** (მონაკოში).

სამაგიეროდ, „მგლების“ თავკაცმა ამ ზაფხულს ახალი სეზონისთვის 11 ახალი მოთამაშე დაიმატა. აი, ისინიც: **პატრიკ ოხსი** (აინტრახტიდან), **მატეუშ კლიხი** (კრაკოვიადან), **ჰასან სალიჰამიჯიჩი** (იუვენტუსიდან), **მარკო რუსი** (აინტრახტიდან), **კრისტიან ტრეში** (შტუტგარტიდან), **თომას ჰიტცლშპერგერი** (უკლუბოდ იყო), **ჰრვოიე ჩალე** (ტრაბზონსპორიდან), **სოტირიოს კირიაკოსი** (ლივერპულიდან), **კრისი** (აინტრახტიდან), **რასმუს იონსონი** (ჰელსინგბორგიდან) და ალიაქსანდრ ჰლები (ბარსელონადან).

● შალკე

ტეემუ პუკი ლევან ყენიას თანაგუნდელი გახდა

ეს პუკი ვინღა იყო?

ჰელსინკიდან ნაყიდ თავდამსხმელს გელზენკირხენში კარგად იცნობენ

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდის უკანასკნელ დღეს „შალკემ“ 21 წლის ფინელი თავდამსხმელი **ტეემუ პუკი** იყიდა და ცხადია, იკითხავთ, ეგ ვინღაა. ამ კითხვას მხოლოდ ის გულშემატკივრები არ დასვამენ, რომლებიც ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს თვალს დიდი გულისყურით ადევნებდნენ და თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ერთსღა დავძენთ: ტრანსფერს საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს.

საქმე იმაშია, რომ ტეემუ პუკი ის კაცია, გელზენკირხენულ კლუბს თავის ყოფილ გუნდ „ჰელსინკისთან“ ერთად კინაღამ უდიდესი სირცხვილი რომ აჭამა. გაგახსენდა? „შალკე“ „ჰელსინკის“ ევროპის ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე შეხვდა და კინაღამ გავარდა, პუკიმ კი **ლევან ყენიას** გუნდს ორივე მატჩის ჯამში სამი გოლი გაუტანა (ორი პირველ, ერთიც საპასუხო შეხვედრაში). როგორც ხედავთ, ფინეთის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი „შალკეს“ თავკაც **რალფ რანგნიკს** იმდენად მოეწონა, რომ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** მაშინვე მისი ყიდვა სთხოვა და პუკი დღეს უკვე „შალკეს“ ფეხბურთელია.

პუკი, რომელსაც ამ სეზონის 24 მატჩში 14 გოლი აქვს გატანილი, გელზენკირხენში ოთხშაბათს ჩაფრინდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და საღამოს სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. „შალკეს“ ბოსებმა წელინადში ნახევარი მილიონი დაუნიშნეს. „ბილდის“ ინფორმაციით, გელზენკირხენულმა კლუბმა „ჰელსინკის“ პუკის სანაცვლოდ 1.3 მილიონი ევრო გადაუხადა.

„ტეემუ პუკი ჩვენს კონცეფციაში იდეალურად ჯდება. „ჰელსინკისთან“ მატჩებში ეს ახალგაზრდა თავდამსხმელი იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ სიმართლე გითხრათ, დიდხანს არ გვიფიქრია, ფინელებს პირდაპირ მივმართეთ და მიხარია, რომ ტრანსფერი საკმაოდ იოლად შედგა,“ - ეს „შალკეს“ მენეჯერ ჰელდტის სიტყვებია.

პუკიმ ფეხბურთის თამაში ფინეთის პროვინციულ კლუბში, „კოოტეეპეეში“ ისწავლა, 2008-დან 2010 წლამდე კი ესპანეთში, „სევილიას“ ღირსებას იცავდა, მაგრამ ანდალუსიურ კლუბში თავი ვერ დაიმკვიდრა – მხოლოდ სარეზერვო გუნდში ასპარეზობდა. პრიმერადივიზიონში ის მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ 28 წუთი ათამაშეს. ფაქტია, რომ „შალკეში“ მისგან უფრო მეტს ელიან...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ინტერი

მისია შესრულებულია, მორატი კმაყოფილია

ფორლანს სარატეც მიჰყვა, ინტერი დაკომპლექტებულია

სამუელ ეტო'ს გაშვების შემდეგ, „ინტერის" ბატონ-პატრონი **მასიმო მორატი** თავდასხმაში მხოლოდ **დიეგო ფორლანის** ტრანსფერით რომ არ დაკმაყოფილდებოდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ ოთხშაბათის ნომერში ვწერდით. და აი, როგორც მოსალოდნელი იყო, „ნერაძური" სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს ბაზარზე კიდევ ერთხელ გააქტიურდა და წინა ხაზი უფრო მეტად გააძლიერა. ოთხშაბათს ვწერდით, რომ „ინტერი" ან **როდრიგო პალასიოს** (ჯენოადან) იყიდდა, ანაც **მაურო სარატეს** (ლაციოდან) და მილანელებმა საბოლოოდ ეს უკანასკნელი ჩაიგდეს ხელში.

24 წლის სარატე „ინტერში" არენდის წესით ითამაშებს და შეეცდება, ფორლანთან ერთად თავდასხმაში ისეთი ტანდემი შექმნას, რომელიც „ნერაძურის" „სკუდეტოს" დაუბრუნებს. არგენტინელმა ფეხბურთელმა „ინტერთან" ერთწლიან საიჯარო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და თუ მილანურ კლუბში კარგად ითამაშებს და ბოსებს თავს მოაწონებს, გაისად მორატი მის კონტრაქტს გამოისყიდის.

სარატე „ლაციოში" 2008 წლიდან თამაშობდა და თავის დროზე, რომაულ კლუბში არაბული „ალ საადიდან" გადაბარგდა. არგენტინელს მაშინ არავინ იცნობდა, დღეს კი საკმაოდ დაფასებული ფორვარდია. თუმცა მას „ლაციოს" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი მაგრად შეუმცირდა მას მერე, რაც „ლაციალემ" **მიროსლავ კლოზეს** და **ჯიბრილ სისეს** სახით ორი საკმაოდ მაღალი კლასის გოლეადორი შეიძინა. ჩვენი იტალიელი კოლეგების ინფორმაციით, ერთწლიანი არენდისთვის „ინტერი" ლაციოს 2.7 მილიონ ევროს გადაუხდის და თუ გაისად სარატეს საბოლოო შესყიდვა მოუნდება, მორატიმ რომაულ კლუბს კიდევ 15.5 მილიონი ევრო უნდა ჩაუთვალოს.

„მიხარია, რომ „ინტერის" ფეხბურთელი გავხდი. ვალიარებ: ამაზე დიდი ხანია ვოცნებობ. მეტსაც გეტყვით: ბოლო დღეებში თვითონ ვიბრძოდი იმისათვის, რომ „ინტერში" გადავსულიყავი. მილანურ გრანდში ჩემი არაერთი თანამემამულე თამაშობს, რის გამოც ამ კლუბში გადასვლა ორმაგად მიხარია," - განუცხადა სარატემ „გაძეტა დელო სპორტს".

„ლაციოს პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს ოთხშაბათს დილას დავურეკე და სატელეფონო საუბრის შემდეგ, სარატე ეგრევე მილანში წამოვიდა. მაურო ძალიან მაგარი ბიჭია, მე ის დიდი ხანია, მომწონს. უკვე შევხვდი და ვესაუბრე, „ინტერში" გადმოსვლით უბედნიერესია," - ეს მორატის სიტყვებია.

ფორლანი: ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშებ!

სარატეს ტრანსფერმა „ინტერის" ურუგვაელი ახალნვეული დიეგო ფორლანიც გაახარა, რომელიც თავის მხრივ „ნერაძურიში" გადასვლის გამო თავს უბედნიერეს ადამიანად გრძნობს. გუშინ ურუგვაელმა ჩვენს იტალიელ კოლეგებს საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მისცა, ჩვენ კი ყველაზე საინტერესო განცხადებებს გთავაზობთ:

„იტალიური თითქმის საერთოდ არ ვიცი, ამ ენას ბავშვობაში კი ვსწავლობდი, მაგრამ ყველაფერი დამავიწყდა, მაგრამ იმდენად იოლი და გასაგები ენაა, რომ დარწმუნებული ვარ, მალე ვისწავლი."

„უდიდეს გუნდში გადმოვედი, „ინტერი" სუპერგრანდია, სადაც არაერთ ლეგენდარულ ფეხბურთელს უთამაშია. დარწმუნებული ვარ, რომ აკლიმატიზაციას მალე გავივლი. მილანი გრანდიოზული ქალაქია, „ინტერს" კი ბრწყინვალე ფანები ჰყავს, რაშიც აეროპორტშივე დავრწმუნდი."

„მზად ვარ, ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო. როგორც მწვრთნელი მეტყვის, ისე მოვიქცევი. მაგალითად, ურუგვაის ნაკრებში უმეტესად გამთამაშებლის პოზიციაზე ვთამაშობ ხოლმე, რადგან კავანისა და სუარესის სახით შესანიშნავი ცენტრფორვარდები გვყავს."

მორატი: კარგად ვიმუშავეთ

„ინტერის" სატრანსფერო კამპანიით კლუბის პრეზიდენტი **მასიმო მორატი** კმაყოფილი დარჩა. შეგახსენებთ, რომ „ნერაძური" შემდეგმა ფეხბურთელებმა დატოვეს: **მარკო მატერაცი, დავიდე სანტონი, მაკდონალდ მარიგა, გორან პანდევი** და სამუელ ეტო'ო. სამაგიეროდ, მორატიმ შემდეგი მოთამაშეები გადაიბირა: **რიკი ალვარესი, ჯონათანი, ანდრეა პოლი,** დიეგო ფორლანი და მაურო სარატე.

„ვფიქრობ, ზაფხულში კარგად ვიმუშავეთ. ჩემი აზრით, შესანიშნავი შემადგენლობა გვყავს, რასაც არა როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც „ინტერის" ფანი ვამბობ. წესით, ყველა უნდა დამეთანხმოს, რომ „ინტერს" ახალ სეზონში ძალიან საინტერესო შემადგენლობა ეყოლება. ვფიქრობ, ყველა პოზიცია მაქსიმალურად დავაბალანსეთ და ახალ სეზონში ბრწყინვალე ფეხბურთის ჩვენება შეგვიძლია," - უთხრა მორატიმ „კორიერე დელო სპორტს".

დაბოლოს: ფორლანი „ინტერში" 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, სარატე კი 28-ნომრიანით.

გოტფრიდ ლენცი

● რომა

მირალემ პიანიჩი რომამ ლიონიდან 11 მილიონ ევროდ იყიდა

რომაც გაიმართა

გაგო, პიანიჩი და კიაერი, ლუის ენრიკე სეზონის სტარტს მოუთმენლად ელის

სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეებში „რომამაც" მაგრად იაქტიურა: **ფერნანდო გაგო** „რეალიდან", **მირალემ პიანიჩი** „ლიონიდან" და **სიმონ კიაერი** „ვოლფსბურგიდან" - თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჯალოროსიმ" ყველა მტკივნეული პოზიცია გააძლიერა ან დააბალანსა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რომაელთათვის ბოლო დღის უმთავრესი შენაძენი მაინც ფერნანდო გაგო იყო. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი (ალბისელესტეში 27 მატჩი აქვს ჩატარებული) „ჯალოროსიში" ერთნლიანი იჯარით გადაბარგდა. აღსანიშნავია, რომ გაგო „რეალის" მთავარი მწვრთნელის, **ჟოზე მოურინიოს** კონცეფციაში ვეღარ ჯდებოდა, რის გამოც მადრიდელებმა საკმაოდ გამოცდილი ნახევარმცველი იოლად დათმეს. 25 წლის გაგოს, რომელიც „რეალში" 2007 წელს, „ბოკა ხუნიორსიდან" გადავიდა, პრიმერადივიზიონში 90 მატჩი აქვს ჩატარებული (1 გოლი).

„ფერნანდო გაგო სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა. მის თამაშს დიდი ხანია ვაკვირდები და ვფიქრობ, რომ არგენტინელი „რეალში" ჯეროვნად ვერ დააფასეს. დარწმუნებული ვარ, რომ „რომაში" საკუთარ თავს იპოვის და ისე ათამაშდება, როგორც ეკადრება," - ეს რომაელთა თავკაც **ლუის ენრიკეს** სიტყვებია.

პიანიჩი ოთხი წლით

აი, 21 წლის ბოსნიელი ნახევარმცველი მირალემ პიანიჩი კი „რომამ" „ლიონიდან" 11 მილიონ ევროდ შეიძინა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. **ბოიაკ კრკიჩისა** (ბარსელონადან) და **მარტენ სტეკელენბურგის** (აიაქსიდან) შემდეგ, ახალგაზრდა გამთამაშებელი „ჯალოროსის" კიდევ ერთი ხმაურიანი შენაძენია. პიანიჩი „ლიონში" 2008 წლიდან თამაშობდა და მაშინ „ოლიმპიკში" „მეციდან" მოხვდა. ამ სამ წელიწადში მან „ლიონის" ფორმა საფრანგეთის ჩემპიონატის 116 შეხვედრაში მოირგო და გუნდს 15 გოლით შეენია. ნიჭიერი გამთამაშებელი ბოსნიის ნაკრებშიც შეუცვლელი ფიგურაა – ეროვნულ გუნდში მას 26 შეხვედრაში 3 გოლი აქვს გატანილი.

„პიანიჩის სახით კიდევ ერთი ახალგაზრდა, უნიჭიერესი ფეხბურთელი შევიძინეთ. აი, ახლა კი ნამდვილად კმაყოფილი ვარ და ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველი," - ამბობს ლუის ენრიკე.

ბორიელო დარჩა

თავდამსხმელი **მარკო ბორიელო** კი, რომელსაც „რომადან" აბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ, „ჯალოროსიში" დარჩა. ამ უკანასკნელს „მარსელსა" და პსჟ-ში ეპატიჟებოდნენ და ტრანსფერის წინააღმდეგნი არც რომაული კლუბის ხელმძღვანელები იყვნენ, მაგრამ „რომას" დატოვებაზე უარი თვითონ ფორვარდმა თქვა.

გოტფრიდ ლენცი

● ჩელსი

მეირელეში ბორეესის გზაზე

„ჩელსიმ" „ლივერპულს" კიდევ ერთი „ბოლო წამის ილეთი" ჩაუტარა — გეხსომებათ, იანვარში „ლურჯებმა" „წითლებისგან" **ფერნანდო ტორესი** ზედ სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინ იყიდეს. ასეთივე ისტორია განმეორდა 31 აგვისტოსაც: ლონდონის გუნდმა მერსისაიდელებს ბოლო წამს პორტუგალიელი **რაულ მეირელეში** წაართვა. ამბობენ, რომ 28 წლის ნახევარმცველმა თავად მიიტანა ლივერპულელთა ოფისში წერილობითი მოთხოვნა განთავისუფლების შესახებ.

მეირელეშის მონადინება, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ „ჩელსის" თავკაცი **ანდრე ვილაშ-ბოაში** მისი თანამემამულეა. ისინი ერთმანეთს იცნობენ — მეირელეშმა ვილაშ-ბოაშის ხელმძღვანელობით „პორტუში" ითამაშა, თუმცა ძალიან ცოტა ხანს. „ლივერპულის" ყოფილმა მოთამაშემ „ლურჯებთან" ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია, რომ ვილაშ-ბოაშს „ჩელსიში" კიდევ ერთი პორტუგალიელის მიყვანა უნდოდა. ლაპარაკია მარცხენა მცველ **ალვარო პერეირაზე,** მაგრამ დასავლეთლონდონელებმა „პორტუსთან" საღამოს 11 საათამდე მოლაპარაკება ვერ მოასწრეს.

მეირელეშის ამბავზე ამბობენ, რომ „ჩელსის" პირველ შეთავაზებას „ლივერპულმა" უარით უპასუხა, მაგრამ მერე, დღის განმავლობაში გაირკვა, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპური" 25 წლის ხორვატ ნახევარმცველ **ლუკა მოდრიჩს** ცოცხალი თავით არ თმობდა და დასავლეთლონდონელებმა უკან დაიხიეს — იმ თანხის გადახდას დათანხმდნენ, რომელსაც „ლივერპული" ითხოვდა.

საინტერესოა, რომ გასულ სეზონში ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ რაულ მეირელეში საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა, მაგრამ ლივერპულელთა თავკაცი, **კენი დალგლიში,** როგორც ჩანს, ასოციაციის წევრთა შეხედულებას არ ეთანხმება და ამიტომაც დართო პორტუგალიელს სხვაგან გადასვლის ნება.

ილია ბაბუნაშვილი



● მილანი

ფლამინის ნოჩერინო შეცვლის

„მილანმა" ტრავმირებულ **მატიუ ფლამინის** შემცვლელს „პალერმოში" მიაგნო – სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს „როსონერიმ" სიცილიური კლუბიდან 26 ნლის საყრდენი ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინო** გადაიბირა. ფეხბურთელმა, რომელიც „პალერმოს" სამი ნლის მანძილზე ემსახურა (122 მატჩი), ოთხშაბათს იტალიის მოქმედ ჩემპიონთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ახალი საყრდენის ყიდვა „მილანისთვის" მას მერე გახდა აუცილებელი, რაც ფლამინიმ საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო.

ნოჩერინო თავის დროზე იტალიურ ფეხბურთში ძალიან იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდა და „პალერმომდე" „იუვენტუსშიც" უთამაშია. იტალიის 21-წლამდელთა ნაკრებში მას ექვსი თამაში აქვს ჩატარებული და სხვათა შორის, ეროვნულ გუნდშიც ამდენივე შევხედრა აქვს გამართული. საბოლოო ჯამში, ნოჩერინო, რომელსაც ნლების წინ „ახალ ჯენარო გატუზოდ" მოიხსენიებდნენ, მაღალი დონის საყრდენად ვერ ჩამოყალიბდა, თუმცა ჯერ კიდევ აქვს დრო და შანსიც: 26 ნლის ასაკში „მილანში" მოხვედრა სწორედ ბრწყინვალე შანსია.

გოტფრიდ ლენცი

ანტონიო ნოჩერინო

Warsteiner EINE KÖNIGIN UNTER DEN BIEREN

რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

ევროპის ჩემპიონატი

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

კირილენკო: დღეს მოედანზე იყო ორი გუნდი, ნამდვილი გუნდი!

1 სექტემბერი

კლაიპედა, ლიტვა

საქართველო-რუსეთი 58:65

16:20, 11:20, 18:12, 13:13

4000 მაყურებელი



მსაჯები: ხუან არტეაგა (ესპანეთი), ტომას იასევიჩიუსი (ლიტვა), მურატ ბირიჩიკი (თურქეთი)

საქართველო	წთ	მ.ტ.	მ.ტ.%	2ქ	2ქ%	3ქ	3ქ%	1ქ	1ქ%	მ.შეგ.	მ.დაკ.	მ.სულ	პ	შ	ჩ	დ	ფ	ქ
4. გამყრელიძე	13	0/1	0.0	0/1	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0	0	0	1	0	1	0	4	0
*5. ვ. გოისა	10	0/0	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	1	1	2	0	1	0	0	1	0
*7. ფაჩულია	29	3/11	27.3	3/11	27.3	0/0	0.0	5/5	100.0	1	4	5	0	1	1	1	4	11
*8. ცინცაძე	25	1/2	50.0	1/1	100.0	0/1	0.0	0/0	0.0	0	1	1	3	3	0	0	1	2
9. შერმადინი	11	0/1	0.0	0/1	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	2	2	4	0	1	1	0	4	0
*11. მარკოიშვილი	31	7/12	58.3	3/5	60.0	4/7	57.1	3/3	100.0	1	2	3	1	3	2	0	4	21
12. ჯეინსი	22	3/9	33.3	2/5	40.0	1/4	25.0	0/0	0.0	1	5	6	1	2	0	0	1	7
*13. სანიკიძე	36	4/10	40.0	2/5	40.0	2/5	40.0	0/2	0.0	2	6	8	0	2	0	1	2	10
14. შენგელია	8	1/2	50.0	1/2	50.0	0/0	0.0	1/1	100.0	0	0	0	0	2	1	0	5	3
15. ცძიტიშვილი	15	1/4	25.0	1/2	50.0	0/2	0.0	2/2	100.0	0	1	1	1	2	0	0	0	4
გუნდი										0	1	1		2			0	
ჯამი		20/ 52	38.5	13/ 33	39.4	7/ 19	36.8	11/13	84.6	8	23	31	7	19	6	2	26	58

საქართველო	წთ	მ.ტ.	მ.ტ.%	2ქ	2ქ%	3ქ	3ქ%	1ქ	1ქ%	მ.შეგ.	მ.დაკ.	მ.სულ	პ	შ	ჩ	დ	ფ	ქ
4. ვორონცევიჩი	10	1/2	50.0	1/2	50.0	0/0	0.0	3/4	75.0	1	0	1	2	0	1	0	1	5
5. მოზგოვი	19	3/3	100.0	3/3	100.0	0/0	0.0	0/0	0.0	1	2	3	0	1	0	1	3	6
*6. ბიკოვი	27	0/2	0.0	0/1	0.0	0/1	0.0	2/2	100.0	1	2	3	4	1	1	0	2	2
7. ფრიდზონი	28	3/8	37.5	1/3	33.3	2/5	40.0	1/2	50.0	0	4	4	1	1	0	0	2	9
8. შვედი	18	2/7	28.6	2/6	33.3	0/1	0.0	3/4	75.0	1	4	5	3	4	0	1	4	7
*9. შაბალკინი	1	0/1	0.0	0/0	0.0	0/1	0.0	0/0	0.0	0	0	0	0	0	0	0	2	0
*10. ხრიპა	33	0/4	0.0	0/2	0.0	0/2	0.0	1/2	50.0	1	5	6	7	2	1	0	3	1
11. ანტონოვი	8	1/2	50.0	0/0	0.0	1/2	50.0	0/0	0.0	0	2	2	0	0	0	0	2	3
12. მონია	18	4/5	80.0	1/1	100.0	3/4	75.0	1/2	50.0	0	4	4	0	2	0	0	1	12
*14. პონკრაშოვი	6	0/3	0.0	0/1	0.0	0/2	0.0	0/0	0.0	0	0	0	0	1	0	0	0	0
*15. კირილენკო	31	9/15	60.0	9/14	64.3	0/1	0.0	2/7	28.6	2	2	4	0	0	3	0	2	20
გუნდი										1	0	1		3			0	
ჯამი		23/ 52	44.2	17/ 33	51.5	6/ 19	31.6	13/23	56.5	8	25	33	17	15	6	2	22	65

- მატჩის წინ ბიჭებს ვუთხარი, – ჯგუფში ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა საქართველოს ნაკრებთან გვაქვს, რადგან ეს გუნდი ჩვენთან ერთად მრმდევნო ეტაპზე გავა და იქ ქართველებთან ერთი მოგება დაბევებული გვექნება-მეთქი, - თქვა რუსეთის ნაკრების თავკაცმა **დევიდ ბლატმა.**

საქართველოს ნაკრების შესაძლებლობის უკეთეს შეფასებას ვერც ვინატრებდით. გუშინ ბლატიც, ქართველთა მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვიც,** ნაკრების კალათბურთელებიც და, რაც მთავარია, ქომაგიც დარწმუნდა, რომ მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა რეალურია. რუსები ჩემპიონატის დაწყებამდე აცხადებდნენ – ჩვენი მიზანი ოლიმპიადის საგზურის მოპოვებაა. რითი ვართ რუსებზე ნაკლებები? პასუხია: გამოცდილებით, რამაც გუშინ მატჩის ბედი გადაწყვიტა. არ გეგონოთ, საქართველოს ნაკრებისგან ფინალში გასვლასა და ოლიმპიადის ლიცენზიას ვითხოვთ, მთავარია, დავინახეთ გუნდის პოტენციალი.

...დავინახეთ: გუნდი. ნამატჩევს ანდრეი კირილენკომ თქვა – დღეს მოედანზე ორი გუნდი იდგა, ნამდვილი, შეკრული და მებრძოლი გუნდი! დევიდ ბლატმა დაამატა: წინა წლებში ქართველებს ყველაზე მეტად გუნდურ თამაშში უჭირდათ, დღეს კი ევრობასკეტის ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული გუნდი ჰყავთო.

...დავინახეთ: ინდივიდუალიზმითაც გამოვირჩევით. მოდი, ამის განმარტებისთვისაც დევიდ ბლატის სიტყვები მოვიშველიოთ:

- საქართველოს ნაკრებს ორი ლიდერი ჰყავს – ინდივიდუალურად გამორჩეულები **ვიქტორ სანიკიძე** და **ზაზა ფაჩულია.** გამოგიტყდებით, ზაზას ფანი ვარ. ჩვენი უმთავრესი ამოცანა სწორედ ფაჩულიასა და სანიკიძის განეიტრალება იყო და ეს შევძელით. თუმცა დიდი თავსატეხი გაგვიჩინა **მანუჩარ მარკოიშვილმა,** რომელიც ექსტრაკლასის კალათბურთელია. როგორც აღმოჩნდა, სწორი გათვლები გაგვიკეთებია – მანუმ ბევრი კი ჩაგვიგდო, მაგრამ თამაში ვერ მოიგო.

...დავინახეთ: დაცვა ქართველთა აქილევსის ქუსლი აღარ არის. მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე პერიოდის საწყის 6 წუთში NBA-ს ვარსკვლავი ანდრეი კირილენკო და მისი გუნდელები მეტად ენერგიულად უტევდნენ ქართველთა კალათს, ბურთის ჩაგდება ვერ მოახერხეს.

- მეტოქემ ზონური დაცვა დაგვიპირისპირა და თავისუფალი გზის პოვნა გაგვიჭირდა. ასეთ დროს თამაშის გახსნა სამქულიანებით შეიძლება, მაგრამ არ აღმოგვაჩნდა საამისო რესურსი, - აღნიშნა კირილენკომ. სწორედ აქ უნდა ვახსენოთ ერთი გვარი – **გამყრელიძე,** რომელიც მოედანზე პირველად მესამე პერიოდში გამოჩნდა და მეტოქის გამთამაშებლებს გასაქანი არ მისცა. გასაკვირი არ იყო, რომ ნამატჩევს ტელეეთერში ჩასართავად სწორედ გამყრელიძეს უხმეს. ლაშა იგორ კოკოშკოვის საიდუმლო იარაღი აღმოჩნდა.

- პირველ ტაიმში დაცვაში გაგვიჭირდა, მეორეში კი უფრო აგრესიულად, უფრო მწყობრად დავდექით, ხისტად, ძალისმიერად ვითამაშეთ და ამიტომაც შემოვაბრუნეთ თამაში, - აღნიშნა **მარკიზ ჰეინსმა.** მატჩი მართლაც შემოტრიალებული იყო – 14-ქულიანი ჩამორჩენა ქართველებმა ორამდე შეამცირეს (50:52). ამ ანგარიშზე ჩვენს გუნდს ზედიზედ ხუთი შეტევის განხორციელების შანსი მიეცა, მაგრამ არც რუსეთის დაცვა იყო უმოქმედოდ და ანგარიშის გათანაბრების შანსი ვერ გამოვიყენეთ.

- მატჩის ბოლოს ძალიან გაგვიჭირდა, ვუხმეთ გამოცდილებას, მობილიზებას, მონდომებას და საბოლოოდ მაინც გავიმარჯვეთ, - თქვა დევიდ ბლატმა, რომელიც პრესკონფერენციაზე შესანიშნავი განწყობით შემოვიდა.

- დღეს უფრო ძლიერმა და გამოცდილმა გუნდმა გაიმარჯვა. წაგების მიუხედავად, ჩემი შეგირდებით უკმაყოფილო არა ვარ. მათ მაქსიმუმი გააკეთეს და დიდი ჩამორჩენის მიუხედავად ბოლომდე იბრძოლეს. ცოტა რომ გაგვმართლებოდა, შესაძლოა მოგვეგო კიდეც, - ეს უკვე იგორ კოკოშკოვის სიტყვებია.

- საინტერესო თამაში გამოვიდა. ბევრი შეცდომა დავუშვით, რასაც რუსეთის დარი ძლიერი გუნდი არავის პატიობს. წინ რთული მატჩები გველის და თამაშს კიდევ უნდა მოვუმატოთ, - თქვა მანუჩარ მარკოიშვილმა.

დევიდ ბლატი კი ვილნიუსში შეხვედრის იმედით დაგვემშვიდობა. შეგახსენებთ, რომ მეორე ეტაპის მატჩები სწორედ ვილნიუსში გაიმართება. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს – ჯგუფიდან გასულები არა ვართ, ამისთვის დარჩენილი სამიდან ორი მატჩის მოგებაა საჭირო.

ვაჟა სიმონიშვილი

კლაიპედიდან

I პერიოდი

09:21 კირილენკო 2ქ (0:2)
08:50 მარკოიშვილი 3ქ (3:2)
08:11 მარკოიშვილი 3ქ (6:2)
05:58 ანტონოვი 3ქ (6:5)
05:11 ფრიდზონი 3ქ (6:8)
04:24 სანიკიძე 2ქ (8:8)
03:59 სანიკიძე 3ქ (11:8)
03:12 კირილენკო 2ქ (11:10)
02:44 კირილენკო 2ქ (11:12)
02:27 მარკოიშვილი 3ქ (14:12)
01:45 შვედი 2/2ქ (14:14)
00:48 მონია 3ქ (14:17)
00:31 ცინცაძე 2ქ (16:17)
00:03 ფრიდზონი 3ქ (16:20)

II პერიოდი

09:43 ფაჩულია 2ქ (18:20)
08:58 მოზგოვი 2ქ (18:22)
08:03 ცძიტიშვილი 2/2ქ (20:22)
07:47 შვედი 2ქ (20:24)
07:04 ფაჩულია 2ქ (22:24)
06:40 მონია 3ქ (22:27)
05:46 მონია 2ქ (22:29)
05:26 ცძიტიშვილი 2ქ (24:29)
05:09 მონია 3ქ (24:32)
04:07 კირილენკო 2/1ქ (24:33)
02:30 სანიკიძე 3ქ (27:33)
02:07 ფრიდზონი 1/2ქ (27:34)
01:33 კირილენკო 2ქ (27:36)
01:10 კირილენკო 2ქ (27:38)
00:31 შვედი 2ქ (27:40)

III პერიოდი

08:50 სანიკიძე 2ქ (29:40)
08:18 ფაჩულია 2+1ქ (32:40)
07:51 მოზგოვი 2ქ (32:42)
07:07 ფრიდზონი 2ქ (32:44)
06:40 კირილენკო 2ქ (32:46)
06:21 მარკოიშვილი 2ქ (34:46)
05:45 მარკოიშვილი 3/3 (37:46)
05:20 კირილენკო 2ქ (37:48)
03:20 შვედი 2/1 (37:49)
01:55 ჯეინსი 2ქ (39:49)
01:15 ჯეინსი 3ქ (42:49)
00:55 მონია 2/1 (42:50)
00:17 მოზგოვი 2ქ (42:52)
00:04 მარკოიშვილი 3ქ (45:52)

IV პერიოდი

09:19 მარკოიშვილი 2ქ (47:52)
07:17 შენგელია 2ქ (49:52)
07:17 შენგელია 1/1 (50:52)
03:50 ვორონცევიჩი 2/2 (50:54)
03:29 კირილენკო 2ქ (50:56)
02:56 ვორონცევიჩი 2ქ (50:58)
02:41 ფაჩულია 2/2 (52:58)
02:19 ჯეინსი 2ქ (54:58)
01:53 კირილენკო 2ქ (54:60)
01:53 კირილენკო 1/1 (54:61)
01:29 ფაჩულია 2/2 (56:61)
00:28 ვორონცევიჩი 2/2 (56:62)
00:22 მარკოიშვილი 2ქ (58:62)
00:19 კრიაპა 1/2 (58:63)
00:15 ბიკოვი 2/2 (58:65)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი 2011. ჯგუფური ეტაპი

გრანდეზმა გაისეირნეს

არის სამი ლიდერი

პირველ ტურში მძიმე ბრძოლების შემდეგ, ამჯერად A ჯგუფის ფავორიტებმა იოლი გასეირნება მოიწყეს და თითქმის გადაწყვიტეს შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხი.

პირენეულ დერბიში ესპანეთმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა პორტუგალია. **სკარიოლოს** გუნდს თამაშიდან ტყორცნების 50-პროცენტიანი სიზუსტე ჰქონდა, ამ მხრივ კი პორტუგალია მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა (40 პროცენტი). გარდა ამისა, ესპანეთმა ფარქვეშ ბრძოლაც მოიგო - 41:35.

ზედიზედ მეორე მატჩია ესპანელთა რიგებში ყველაზე შედეგიანია **პაუ გასოლი**. ამჯერად მან 20 ქულა ჩააგდო და რაც მთავარია, ფენომენალური სიზუსტე გამოავლინა: თამაშიდან ცხრა ტყორცნიდან რვა მოათავსა კალათში. პაუ განსაკუთრებით აქტიური მეორე მეოთხედში იყო - ამ ათწუთიულში „ლეიკერსის" ვარსკვლავმა 10 ქულა დააგროვა, რაც მეტოქისთვის საკონტროლო გასროლასავით იყო.

საცოდავი სანახავია ბრიტანელთა ლიდერი **ლუოლ დენგი**, რომელიც მარტო ებრძვის ევროპულ გრანდებს, მაგრამ სათანადო მხარდაჭერის გარეშე „ჩიკაგოს" ფორვარდის მონდომება წყალში იყრება. თურქეთთან მატჩის ბედი პრაქტიკულად საწყის ექვს წუთში გადაწყდა, როცა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა მეტოქეს მხოლოდ სამი ქულა ჩააგდებინა - 17:3. ამ პერიოდში თურქთა ლიდერი **ომერ ონანი** იყო, რომელმაც პირველ მეოთხედში ცხრა ქულა მიითვალა, მთლიანად გუნდმა კი ოთხი სამქულიანი მოათავსა კალათში. სულ გამარჯვებულმა გუნდმა 23-დან 10 სამქულიანი ჩააგდო, ბრიტანელთმა - 11-დან ერთი.

პოლონეთმა წინა ტურში დიდი ბრძოლა გაუმართა ესპანეთს და გუშინ, მასპინძლებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ძალა მხოლოდ პირველი მეოთხედში ეყო. ლიტვა 13:16-ს აგებდა, როცა ცხრა უპასუხო ქულა მიითვალა, საბოლოოდ კი 20:6 გაქცევა გამოუვიდა და მეტოქე დიდი მანძილით ჩამოიტოვა უკან.

სტატისტიკის მიხედვით, პოლონეთს შანსი არ ჰქონდა - ლიტვამ თამაშიდან 69 პროცენტის (52-დან 36) სიზუსტით ესროლა და პირწმინდად მოიგო ფარი: 41:19.

A ჯგუფი

პორტუგალია-ესპანეთი 73:87

16:26, 20:27, 16:24, 21:10

პ: ტავარეში (17+3 ჩაჭრა), მირანდა (13), ანდრადე (9+7 მოხსნა), ჟოაო სანტოსი (9), ევორა (6), გონკალვეში (6), ფონსეკა (4+5 მოხსნა), კოშტა (3), მინიავა (2), და სილვა (2).

ე: პ. გასოლი (20+5 მოხსნა), ნავარო (17+5 პასი+3 ჩაჭრა), რეიესი (10+5 მოხსნა), მ. გასოლი (10+9 მოხსნა), ფერნანდესი (9+6 პასი), კალდერონი (7), რუბიო (5), იბაკა (4), სადა (2), ლიუული (2), სან ემბტერიო (1).

ბრიტანეთი-თურქეთი 61:90

10:22, 16:22, 17:20, 18:26

ბ: დენგი (22+8 მოხსნა), ჯონსონი (10), ფრილენდი (7), რეინკინგი (6), ბოატენგი (4+7 მოხსნა), ვან ოსტრუმი (4), სალივანი (3), ლენზლი (3), ადეგბოიე (2).

თ: პრელჯიჩი (15), ონანი (14), სავაში (12), კანტერი (11+5 მოხსნა), თურქოგლუ (7), აშიქი (7+9 მოხსნა), აქირლი (6), არსლანი (5), თუნჩერი (5), ილიასოვა (4), გიულერი (2), თურქილმაზი (2).

ლიტვა-პოლონეთი 97:77

25:20, 28:18, 23:14, 21:25

ლ: კალნიეტისი (19+6 მოხსნა+6 პასი), სონგაილა (14), კაუკენასი (11), პოჩიუსი (10+4 პასი), იასაიტისი (8+4 მოხსნა), ისაიკავიჩუსი (8+4 პასი), დელინინკაიტისი (7+4 პასი), ვალანჩუნასი (7), ლავრინოვიჩი (6+9 მოხსნა), იანკუნასი (6), იავტოკასი (1+4 მოხსნა).

პ: კელატი (16+4 მოხსნა), ბერიშა (10), შეგჩიკი (10), ლაპეტა (8+6 მოხსნა), კოშარეკი (6+4 პასი), ვიშნევსკი (6), პამულა (6), ჰრიჩანიუკი (5), სკიბინევსკი (4), ლეონჩიკი (4), შჩეტკა (2).

	თ	მ	უ	ბ	ქ
1. თურქეთი	2	2	0	169-117	4
2. ლიტვა	2	2	0	177-146	4
3. ესპანეთი	2	2	0	170-151	4
4. პოლონეთი	2	0	2	155-180	2
5. პორტუგალია	2	0	2	129-166	2
6. ბრიტანეთი	2	0	2	130-170	2

იტალია ლონდონში ვერ წავა

ამ ჯგუფშიც გამოიკვეთა შემდეგ ეტაპზე გამსვლელი სამი გუნდი - თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, მეორე ჯგუფურ ეტაპზე სერბეთი, საფრანგეთი და გერმანია გადავლენ.

სერბეთმა იტალიის დამარცხების შემდეგ ლატვიაც მოინელა, თუმცა ამ მატჩის ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ. მეოთხე მეოთხედში იყო ერთი მომენტი, როცა ბალტიისპირელებს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ. სერბების უპირატესობა ხუთ ქულამდე დავიდა და **სავანოვიჩმა** ორი აცილებული საჯარიმოს შემდეგ შეტევაში მოხსნა ბურთი, პასი **მარკოვიჩს** მიაწოდა, რომელსაც სამქულიანი შეტევა გამოუვიდა - ორქულიანი ჩააგდო და ერთი საჯარიმოს შესრულების უფლებაც მოიპოვა - 78:70. ამის შემდეგ ლატვია განწირული იყო წასაგებად.

არადა, მატჩი ისე დაიწყო, რომ სერბეთს, წესით, პირველ ტაიმში უნდა გადაეწყვიტა თამაშის ბედი - პირველი მეოთხედის შემდეგ სხვაობა 16 ქულა იყო. მაგრამ ლატვიამ იმდენი მოახერხა, რომ დიდ შესვენებამდე სამი წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა - 29:29.

აღსანიშნავია ერთი საგულისხმო მომენტი: სერბეთმა გრძელი სათადარიგოთა სკამის ხარჯზე მოიპოვა უპირატესობა - ივკოვიჩის გუნდში 12-დან 11-მა კალათბურთელმა დააგროვა მინიმუმ ორი ქულა.

ევრობასკეტის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ საფრანგეთის ნაკრები, რადგან ბრწყინვალე ფორმაში არიან ამ გუნდის ლიდერები, პირველ რიგში კი, გამთამაშებელი **პარკერი**. „სან ანტონიოს" ვარსკვლავმა პირველ მატჩში მოპოვებულ 31 ქულას ამჯერად 21 დაუმატა, რასაც რვა შედეგიანი პასიც დაურთო თან. ყურადღების ღირსია **ბატუმის** ექვსი ჩაჭრა. თანდათან **ნოაც** მოუმატებს და საფრანგეთის შეჩერება არც ისე იოლი იქნება.

ფრანგებმა მეორე მეოთხედი ჩააგდეს, როცა ისრაელს 14-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილების საშუალება მისცეს. მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში 8:0 გაქცევის შემდეგ ფავორიტის უპირატესობა 17 ქულამდე (52:35) ავიდა და ამის შემდეგ მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. საფრანგეთმა 57 პროცენტის სიზუსტით ისროლა სამქულიანები (14-დან 8) და ორქულიანების 59 პროცენტი (39-დან 23) მოათავსა კალათში.

იტალიის ნაკრებმა ზედიზედ მეორე მატჩი წააგო და, როგორც ჩანს, გამოეთხოვა ოლიმპიადაზე გამგზავრების შანსს. გერმანიამ კი დაგვანახა, რომ ის ორი კაცის გუნდია: **ნოვიცკიმ** და **კამანმა** აპენინელთა წინააღმდეგ 38 ქულა (გუნდრი მონაგარის ზუსტად ნახევარი) და 29 მოხსნა დააგროვეს.

მატჩის დასრულებამდე დაახლოებით 4 წუთი რჩებოდა, როცა გერმანიის ერთქულიანი უპირატესობისას **ბარნიანმ** უმნიშვნელოვანესი ტყორცნა ააცილა, რასაც ნოვიცკის ზუსტი საშუალო სროლა მოჰყვა, შემდეგ **მანჩინელიმაც** ვერ ჩაადგო და **ბენცინგმა** ხუთი ქულით გაიყვანა წინ თავისი გუნდი - 60:55. როგორც აღმოჩნდა, ეს შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი იყო, რამაც გერმანიას საბოლოო უპირატესობა მოუტანა.

B ჯგუფი

ლატვია-სერბეთი 77:92

7:23, 26:15, 25:32, 19:22

ლ: ფრეიმანისი (19+8 მოხსნა), კუკსიქსი (16+5 მოხსნა), ბლუმსი (15), სტრელნიექსი (12), დ. ბერტანსი (10), ბეტრანსი (2), მეიერსი (2), იურეკიზუსი (1).

ს: კრსტიჩი (23), სავანოვიჩი (19+5 მოხსნა), პაუნიჩი (10), ტეოდოშიჩი (9+9 პასი), პეროვიჩი (9), ტეპიჩი (5+5 მოხსნა), კეშელი (5+6 მოხსნა), მაჩვანი (4), რაშიჩი (4), მარკოვიჩი (2+5 მოხსნა), ბიელიცა (2).

ისრაელი-საფრანგეთი 68:85

14:24, 21:18, 13:22, 20:21

ი: ელიიაჰუ (15), ჰალპერინი (15), ბლუ (14), მეკელი (9), კადირი (4), გრინი (3), ბუოშტეინი (3), ჰნინი (3), ნისიმი (2).

ს: პარკერი (21+8 პასი), ბატუმი (15+6 ჩაჭრა), ჟელაბალე (13), ნოა (9+9 მოხსნა), ტრაორე (8), დიაო (6+8 მოხსნა), სერაფინი (5+8 მოხსნა), დე კოლო (3), კაუდი (3), ჩიკამბუ (2).

გერმანია-იტალია 76:62

16:18, 20:12, 10:15, 30:17

გ: ნოვიცკი (21+12 მოხსნა), კამანი (17+17 მოხსნა), ბენცინგი (14), შაფარციკი (11+4 პასი), ჰერბერი (6+4 მოხსნა), ოლბრეხტი (4), შვეტჰელმი (3).

ი: გალინარი (17+11 მოხსნა), ბელინელი (15+5 მოხსნა+4 პასი), მანჩინელი (11), ბარნიანი (8+5 მოხსნა), ჰაკეტი (5), მორდენტე (4), კუზინი (2).

	თ	მ	უ	ბ	ქ
1. გერმანია	2	2	0	167-126	4
2. საფრანგეთი	2	2	0	174-146	4
3. სერბეთი	2	2	0	172-145	4
4. ლატვია	2	0	2	155-181	2
5. იტალია	2	0	2	130-156	1
6. ისრაელი	2	0	2	132-176	2

სენსაცია თუ კანონზომიერება?

ბოსნიამ პირველ გამარჯვებას მიაღწია ჯგუფურ ეტაპზე. პირველ ტურში ბერძნებთან წაგებულ შეხვედრაში ანტი-გმირად **ტელეტოვიჩი** მიიჩნიეს. თუ გახსოვთ, იმ შეხვედრაში ბოსნიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ბოლო ცხრა ტყორცნა ააცილა მიზანს, თუმცა ჩერნოგორიასთან გუშინდელ შეხვედრაში ტელეტოვიჩმა საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოახდინა. ბოლო მეოთხედში მისმა ოთხმა სამქულიანმა მნიშვნელოვანნილად განაპირობა ბოსნიელთა გამარჯვება.

სნაიპერული გმირობის გამო უნდა გამოვყოთ **დედოვიჩიც**, რომელმაც თამაშიდან შვიდჯერ ესროლა და ექვსჯერ ზუსტად, რასაც 5-5 მოხსნა და შედეგიანი პასი დაუმატა.

ბოსნიამ ჩერნოგორიის წინააღმდეგობა ზუსტი სამქულიანებით გატეხა - გამარჯვებულმა გუნდმა 15 შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში. თანაც, ჩერნოგორიელები წინა დღეს მაკედონიასთან ოვერტაიმში მოგებული შეხვედრის შემდეგ აშკარად გადაღლილება ჩანდნენ.

ფინეთმა პირველ ტურში ხორვატიის დამარცხების რეალური შანსი დაკარგა და გუშინ, საბერძნეთთან საბრძოლველად ვეღარ განეწყო. სკანდინავიელები პირველ ტაიმში ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდნენ ელინებს და პირველი ტაიმი საპატიო ცხრა ქულით წააგეს, მაგრამ მეორე ტაიმში ბრძოლა თითქმის არ ყოფილა და საბოლოოდ, ფავორიტის უპირატესობამ 20 ქულა შეადგინა.

ბერძნებს კარგად მისდიოდათ საშუალო ტყორცნები - პირველ 15 წუთში მოპოვებული 33 ქულიდან 30 სამწამიანის გარეშე ნასროლ ბურთებზე მოდიოდა. საუკეთესო მოთამაშედ კი **ბურუსისი** აღიარეს. ამ ფორვარდის ხუთი შეცდომა ორმაგმა დუბლმა გადაწონა - 19 ქულა და 10 მოხსნა.

მაკედონიის გუშინდელი მოგება ხორვატიასთან ბევრმა სენსაციად მონათლა, თუმცა ხორვატთა ფინეთთან წვალებას თუ გავიხსენებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გუნდი არ არის კარგად მზად ევრობასკეტისთვის. ეს მაკედონიის წინააღმდეგაც გამოჩნდა, როცა ხორვატიამ მესამე მეოთხედში მოპოვებული ათქულიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

C ჯგუფი

ბოსნია-ჩერნოგორია 94:86

25:19, 23:22, 19:27, 27:18

ბ: ტელეტოვიჩი (23), ჯედოვიჩი (19+5 მოხსნა+5 პასი), გორდიჩი (14+4 პასი), ვასილევიჩი (9+6 მოხსნა+4 პასი), კიკანოვიჩი (9), იკონიჩი (9), დომერკანტი (6), ბაირამოვიჩი (5).

ჩ: პეკოვიჩი (16+6 მოხსნა), კუკი (16+5 პასი), დაშიჩი (14+11 მოხსნა+7 პასი), დრაგიჩევიჩი (13), იერეტინი (12), ბიელიცა (6), ვუჩევიჩი (6+5 მოხსნა), შჩეპანოვიჩი (3).

ფინეთი-საბერძნეთი 61:81

14:20, 18:21, 12:16, 17:24

ფ: კოპონენი (21), ლი (13), ვირტანენი (6), სალინი (6), ჰაფი (5), მოტოლა (5), მუურინენი (2), რანიკო (1+4 პასი), კოტი (1), ნიკილა (1).

ს: ბურუსისი (19+10 მოხსნა), ცისისი (14), ფოცისი (9+7 მოხსნა), ბრამოსი (9), კუფოსი (7), კაიმაკოგლუ (6), კალატესი (6+4 პასი), ვასილიადისი (5), მავროეიდისი (2), პაპანიკოლაუ (2), სლუკასი (2).

მაკედონია-ხორვატია 78:76

21:18, 16:23, 23:21, 18:14

მ: მაკალები (19+5 პასი), ილიევსკი (18), ანტიჩი (15+5 მოხსნა), ანტიჩი (15+5 მოხსნა), გეჩევსკი (10+8 მოხსნა), სამარძისკი (8), ვ. სტოიანოვსკი (5+3 ჩაჭრა), დ. სტოიანოვსკი (2), ჩეკოვსკი (1).

დირკ ნოვიცკი

ხ: დრეიპერი (13+6 მოხსნა+6 პასი), მარკოტა (12), ბოგდანოვიჩი (11), სიმონი (10), ტომიჩი (10+7 მოხსნა), ზორიჩი (7), ტომაში (5), ბარაცი (4), პოპოვიჩი (3), ანდრიჩი (1).

	თ	მ	უ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	2	2	0	157-128	4
2. ხორვატია	2	1	1	160-157	3
3. ბოსნია	2	1	1	161-162	3
4. ჩერნოგორია	2	1	1	156-159	3
5. მაკედონია	2	1	1	143-146	3
6. ფინეთი	2	0	2	140-165	2

ყველაზე თანაბარი ჯგუფი

ბულგარეთისა და ბელგიის მატჩის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული იყო გუშინდელ სათამაშო დღეს. 40 წუთის განმავლობაში 12-ჯერ გათანაბრდა ანგარიში და 18-ჯერ შეიცვალა ლიდერი. შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი საფინალო სირენამდე წუთითა და 40 წამით ადრე დადგა, როცა ბელგია წინ იყო - 65:63. შეტევისთვის განკუთვნილი დროის ბოლო წამზე **ვიდენოვმა** არაზუსტად ისროლა, მაგრამ **დეივან ივანოვმა** მეტოქის ფარზე მოხსნა ბურთი და შეტევა ორი ქულით დასრულდა, ბელგიელების მორიგი იერიშისას კი იმავე ივანოვმა ჩაჭრა გააკეთა, რის შემდეგაც ბულგარელები საბოლოოდ გავიდნენ წინ.

არადა, მანამდე დეიანმა თამაშიდან ნასროლი ცხრა ბურთიდან ყველა ააცილა და მიუხედავად ამისა, მატჩის გმირად სწორედ ის მოინათლა.

თამაშის დასრულებამდე ორი წამი რჩებოდა და ბელგიამ მოასწრო სამქულიანის სროლა, მაგრამ ამ გუნდის ბომბარდირმა **ვან როსომმა** მოუმზადებელი შორეული ტყორცნა ააცილა და ბელგია ორიდან ორი წაგებით D ჯგუფის აუთსაიდერია.

ბულგარეთმა ზედიზედ 19 საჯარიმო ჩააგდო, სულ კი ჯარიმების 83 პროცენტი გამოიყენა. ბელგიელთა ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 67 პროცენტს შეადგენდა.

ზედიზედ მეორე მატჩია, ბულგარელთა ყველაზე შედეგიანი კალათბურთელია **როულენდი** - მისი მონაგარი 22 ქულა იყო.

კინაღამ სასწაული მოახდინა უკრაინის ნაკრებმა. რუსეთთან წაგების შემდეგ **ფრატელოს** გუნდს უკან დასახევი გზა პრაქტიკულად არ ჰქონდა და ყველაფერი გააკეთა გამარჯვების მოსაპოვებლად. არადა, სამი მეოთხედის შემდეგ უკრაინა უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა - 19 ქულით იყო ჩამორჩენილი. მაგრამ ბოლო მეოთხედში სლოვენიის ათმა შეცდომამ შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა. ბოლო წუთზე უკრაინა ხუთ ქულას აგებდა და შეტევას ამზადებდა, მაგრამ **კოლჩენკოს** ცუდი პასი **ოზბოლტმა** ჩაჭრა და **ზორან დრაგიჩს** ჩააგდებინა, რამაც უკრაინას მეტოქის დაწევის ყველანაირი შანსი მოუსპო.

ისე კი ჩვენს ჯგუფში მიმდინარე დაძაბული თამაშების შემხედვარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ყველაზე თანაბარი ქვეჯგუფია, სადაც დარჩენილ ტურებში შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

D ჯგუფი

ბულგარეთი-ბელგია 68:65

14:13, 18:20, 24:19, 12:13

ბულ: როულენდი (22), ვიდენოვი (17+8 მოხსნა), კ. ივანოვი (8), კოსტოვი (6), ვარბანოვი (4), დ. ივანოვი (3+6 მოხსნა), ზ. გეორგიევი (3), ა. გეორგიევი (3), ბანევი (2).

ბელ: ვან როსომი (17), ბეგინი (13), ვან დენ შპიგელი (12+8 მოხსნა), მოორსი (9), ტაბუ (8), მუია (3), ფეისონი (3).

უკრაინა-სლოვენია 64:68

12:18, 8:23, 18:16, 26:11

უ: ბერტი (12+5 პასი), ლიშჩუკი (9+5 მოხსნა), კოლჩენკო (7), ზაბირჩენკო (6), პუსტოზვონოვი (5), ლუკაშოვი (5), ლიპოვი (3), პეჩეროვი (2), კრავცოვი (1), ფესენკო (11).

ს: ბეგიჩი (14+7 მოხსნა), ლორბეკი (11), სმოდიში (9), ზ. დრაგიჩი (7+4 პასი), ს. უდრიხი (6), გ. დრაგიჩი (5), სლოკარი (5), ლაკოვიჩი (4+6 პასი), ოზბოლტი (4), მურიჩი (2+7 მოხსნა).

	თ	მ	უ	ბ	ქ
1. რუსეთი	2	2	0	138-122	4
2. სლოვენია	2	2	0	135-123	4
3. საქართველო	2	1	1	139-124	3
4. ბულგარეთი	2	1	1	127-132	3
5. უკრაინა	2	0	2	128-141	2
6. ბელგია	2	0	2	124-149	2

გია თვალაგეიშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მეტოქე

მანსუროვიც ქართველით გვებრძვის

ახლოვდება მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობა. ასპარეზობა 12-18 სექტემბერს სტამბოლში გაიმართება და თანდათან ირკვევა იმ მეტოქეთა ვინაობა, ვისთანაც ჩვენს ფალავნებს მოუწევთ პაექრობა ამ მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრებაში.

შეგახსენებთ, რომ სტამბოლში ლონდონის ოლიმპიადის საგზურებიც გათამაშდება, რომლებსაც წონაში 6-6 მოწინავე ფალავანი მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ლიცენზიის მოსაპოვებლად ათლეტმა, მინიმუმ, ბრინჯაოს მედლისთვის მაინც უნდა იჭიდაოს. ამ ახალი წესით გართულებულია ოლიმპიადაზე მოხვედრა - ადრე წონაში 8 კაცი იღებდა, აქედან ექვსი მაშინაც მედლისთვის მებრძოლი იყო, აი, დანარჩენ ორ იღბლიანში მოხვედრა კი ყველას შეეძლო, ვინც 2 წრეს მაინც გაივლიდა და დიდი ანგარიშითაც იმარჯვებდა. ახლა საგზურს მხოლოდ წარმატებული ჭიდაობა თუ მოგიტანს.

რატომღაც ისე ხდება, რომ წამყვანი გუნდებიდან ამ ეტაპზე შემადგენლობებს უმეტესად თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ასახელებენ და არა - ბერძენ-რომაელები. არადა, ჩემპიონატს უფრო ადრე ესენი იწყებენ. სტამბოლში წასაყვანი გუნდი ჯერ არც ჩვენი ბერძენ-რომაელების დამრიგებელ **ბეგი დარჩიას** დაუსახელებია - ისინი დუშეთში გადიან შეკრებას და უახლოეს დღეები გამოაცხადებს. სამაგიეროდ, გუნდი ოფიციალურად წარადგინა ჩვენმა ერთ-ერთმა სტრატეგიულმა მეტოქემ - აზერბაიჯანმა. იქაურთა თავკაცმა, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ფარიდ მანსუროვმა** ნაკრებში გარკვეული საკადრო ცვლილებები შეიტანა, რაც საკონტროლო შეხვედრებმა განაპირობა. **როვშან ბაირამოვი** (55), **ჰასან ალიევი** (60), **ვიტალი რაჰიმოვი** (66), **რაფიკ ჰუსეინოვი** (74), **სამან ტახმასიბი** (84), **შალვა გადაბაძე** (96), **მაქსიმ პროხოროვი** (120) - ასეთია მისი კრებული.

ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნოა, რომ გუნდში ისევ მოხვდა ჩვენი თანამემამულე გადაბაძე, თუმცა ის ჩვეული 84-დან ზედა წონაში სამუდამოდ განდევნა ირანელმა მსოფლიოს პრიზიორმა ტახმასიბიმ. ამ ორის გარდა, მანსუროვის ნაკრებში კიდევ ერთი ნატურალიზებული ფალავანია - პროხოროვი. აზერბაიჯანელებს რამდენადაც ძლიერი ფალავნები ჰყავთ მჩატე წონებში, იმდენად სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ ზედა წონებში და ამის გამოსწორებას სხვა ქვეყნებიდან გადაყვანილთა ხარჯზე აპირებენ, თუმცა გადაბაძეტახმასიბისგან განსხვავებით (თუმცა მათთვის მედალი ჯერ არც ირანელს მოუტანია, მაგრამ ის იმდენად ძლიერია, ადრე თუ გვიან, ამას აუცილებლად გააკეთებს), პროხოროვი რამდენად შეძლებს, ძნელი სათქმელია.

მოლოდინისამებრ, გუნდში კვლავაც მოხვდნენ ევროპის ნლევანდელი მესამე პრიზიორი **ჰასან ალიევი** (60) და ევროპის ნლევანდელი ჩემპიონი **რაფიკ ჰუსეინოვი** (74). ამ წონებიდან ჩვენს ნაკრებში 60-ში **რევაზ ლაშხს** განაღდებული აქვს ადგილი და, სავარაუდოდ, 74-მიც ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** იჭიდავებს, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია. კვირკველიასა და ჰუსეინოვის შესაძლო დაპირისპირებაზე ვერაფერს გეტყვით, აი, ლაშხსა და ალიევს შორის კი დიდი ომია მოსალოდნელი - აზერბაიჯანელს რევანშის სურვილი ამოძრავებს აპრილის დასაწყისში დორტმუნდში, ევროპის ნლევანდელი პირველობის ნახევარფინალში მარცხისთვის. არადა, მარცხს მიუწევველი ალიევისთვის მეტისმეტად მწარე ალიყური იყო - ამ მართლაც ტალანტ ფალავანს 2008 წლის ევროპის ახალგაზრდული პირველობიდან მოყოლებული, ნლევანდლამდე არც ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი არ ჰქონდა წაგებული. ამ პერიოდში მან ორჯერ მოიგო კონტინენტის პირველობა ახალგაზრდებში (მეორედ ეს თბილისში გააკეთა 2009-ში), ამავე ასაკში ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, რის შემდეგაც შარშან უფროსებში გადავიდა და იქ მოიგო ევროპა-მსოფლიო. საინტერესოა, რომ მან ზედიზედ ორი დუბლი გააკეთა - 2009-ში ახალგაზრდებში, 2010-ში - დიდებში. ასეთ წარმატებებს ფალავნები იშვიათად აღწევენ და რა გასაკვირია, დორტმუნდში თუ მორიგი ტრიუმფისთვის ჩავიდა, იქ კი ლაშხმა პირწმინდად დაჩაგრა. ეჭვიც არაა, ის საგანგებოდ ემზადება ჩვენს ევროპის ჩემპიონთან შესახვედრად.

ლამის ორწლიანი შესვენების შემდეგ აზერბაიჯანელთა ნაკრებს ისევ დაუბრუნდა ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, დედით ქართველი ბაირამოვი, რომელმაც უძნელესი კონკურენცია დაძლია - ახლახან ქალაქ გუბში დამთავრებულ შეკრებაზე საკონტროლო შეხვედრებში აჯობა ევროპის შარშანდელ ჩემპიონ **ელჩინ ალიევს** და ევროპის ნლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორ **ელდანიზ აზიზლის**. *„მე თანდათანობით შევდივარ იმ ფორმაში, რაც საჭიროა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით საჭიდაოდ. ფორმის პიკზე სტამბოლში ვიქნები, მაგრამ ახლავე შემიძლია განვაცხადო, რომ ყველაფერს გავაკეთებ მედლის და ლიცენზიის მოსაპოვებლად. ძალიან მინდა ოლიმპიადაზე გამოსვლა. მინდა, ჩემს თავსაც და სხვებსაც დავუმტკიცო, რომ ჩემპიონობა შემიძლია. ლონდონში 25 წლის ვიქნები - მშვენიერი ასაკია ოლიმპიური ჩემპიონობისთვის“*, - განაცხადა ბაირამოვმა. მსოფლიოზე მას ვერცხლის გარდა, ბრინჯაოც მოუპოვებია, რომელსაც 2009-ში დანიაში დაეუფლა. სტამბოლში მან თავის უმთავრეს კონკურენტებად რუსი **ზაურ მანკიევი** (ოლიმპიადაზე ამასთან წააგო ფინალი), ირანელი მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი **ჰამიდ სორიანი** და სომეხი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაოსა და ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **რომან ამოიანი** დაასახელა. ამოიანთან მოსალოდნელ დაპირისპირებას ბაირამოვმა ყველაზე პრინციპული უწოდა და გამოთქვა იმედი, რომ თავად მოიგებს ამ ბრძოლას. მათ მეტოქეობას უკვე გარკვეული ისტორიაც აქვს - პეკინის ოლიმპიადაზე აზერბაიჯანელმა ნახევარფინალში აჯობა, მაგრამ სომეხმა რევანში 2009-ში მსოფლიოზე იმავე ეტაპზე აუღო.

ირაკლი თავაძე

ქადრაკი

ჯობავამ პოლონელი ბარიერიც დაძლია

ხანტი-მანსიისკში მოჭადრაკე ვაუთა მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე რაუნდშიც წარმატებით ითამაშა გალელმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ**, რომელმაც ორი კლასიკური პარტიისგან შემდგარ მინიმატჩში პოლონელი **რადოსლავ ვოიტაშეკი** დაამარცხა. თამაშის კლასით ჩვენებური აშკარად სჯობს მეტოქეს, მაგრამ გუშინწინ თეთრებით პირველ პარტიაში აშკარა მარცხს გადაურჩა - მუდმივი ქიშით აიძულა პოლონელი, ზავზე მოეწერა ხელი. აი, გუშინდელ პარტიაში კი ჯობავამ შესანიშნავად ითამაშა, თუმცა ვოიტაშეკი თეთრებით დებიუტიდან მცირეოდენ უპირატესობას ფლობდა, 23-ე სვლიდან (ლxd4) კი ინიციატივა, ფაქტობრივად, ბაადურს გადააბარა. ქართველმა დიდოსტატმა 28-ე სვლიდან მყარად იგდო ხელთ თამაშის სადავეები. 35-ე სვლაზე მეტოქემ წინააღმდეგობა შეწყვიტა და ჩვენებურს გამარჯვება მიულოცა.

ჯობავა



ვოიტაშეკი

23. ლxd4 ეfb8 24. მd3 e5 25. ლxb2 ეxb2 26. მxb2 f4 27. მფg2 fxg3 28. მფxg3 (სუსტი სვლაა) ე4 დ9. f4 მh6 30. ეd5 ლf6 31. ეb1 (სუსტი სვლაა, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა ეb5) ლc3 32. მფf2 ლc2 33. ეdd1 მg4+ 34. მფe1 ლc3+ 35. ეd2 ლxe3 და თეთრები დანებდნენ.

ხვალ მესამე რაუნდში ჯობავა რუს **დმიტრი იაკოვენკოს** შეხვდება, რომელმაც ინდოელი პენდიალა ჰარიკრიშნა დაამარცხა - 1,5:0,5. გუშინ მესამე ეტაპის კიდევ 16 მონაწილე (ხაზგასმული) გამოვლინდა. 12 ორმატჩიანი პაექრობა ერთნაირი ანგარიშით - 1,5:0,5 დამთავრდა: **იუდით პოლგარი** (უნგრეთი)-სერგეი მოვსესიანი (სომხეთი), **ლენიერ დომინგესი** (კუბა)-ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა), **ფაბიანო კარუანა** (იტალია)-იური დროზდოვსკი (უკრაინა), **გატა კამსკი** (აშშ)-რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი), **ზახარ ეფიმენკო** (უკრაინა)-ფერენც ბერკეში (უნგრეთი), **ლე ქუანგ ლიემი** (ვიეტნამი)-ბორის გრაჩოვი (რუსეთი), **ვუგარ გაშიმოვი** (აზერბაიჯანი)-სერგეი აზაროვი (ბელარუსი), **ევგენი ტომაშევსკი** (რუსეთი)-დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი), **მირჩეა პარლიგრასი** (რუმინეთი)-ზოლტან ალმაში (უნგრეთი), **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა)-ევგენი ალექსეევი (რუსეთი), **ემილ სუტოვსკი** (ისრაელი)-ლორან ფრესინე (საფრანგეთი). **აბჰიჯეთ გუფთა** (ინდოეთი)-სამუელ შანკლენდი (აშშ), **ნიკიტა ვიტიუგოვი** (რუსეთი)-ანტონ კორობოვი (უკრაინა), **დავიდ ნავარა** (ჩეხეთი)-ალექსანდრ ონიშჩუკი (აშშ), მხოლოდ ორი ორთაბრძოლა დამთავრდა მშრალი ანგარიშით: **ალექსანდრ მოროზევიჩი** (რუსეთი)-ალექსანდრ ფიერი (ბრაზილია) 2:0, **ვლადიმირ პოტკინი** (რუსეთი)-ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 2:0. დანარჩენ გამარჯვებულებს დღევანდელი ტაიბრეიკები დაასახელებს.

ვაჟა დანელია

ფიდეს რჩეულნი

საპირველსექტემბროდ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ რჩეულ დიდოსტატთა და საერთაშორისო ოსტატთა განახლებული რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა, რომელშიც მოჭადრაკეთა ბოლო ორი თვის მონაგარიც აისახა. ვაჟთა საუკეთესო ასეულს 2823 პუნქტით კვლავ ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი უდგას სათავეში. მას ექვსი პუნქტით ჩამორჩება ინდოელი მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი. პირველ ათეულში შემდეგ მოდიან: ლევონ არონიანი (სომხეთი, 2807), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2791), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2772), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2768), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2765), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა, 2758), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2757) და გატა კამსკი (აშშ, 2756).

ვაჟთა პირველ ასეულში ერთადერთი ქართველი მოჭადრაკეა - გალელი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა**, რომელსაც 2712 პუნქტით 33-ე ადგილი უკავია.

ქალთა ასეულს უწინდებურად უნგრელი იუდით პოლგარი მენინავეობს, რომელმაც 2700-იანთა კლუბში შეაბიჯა. სამწუხაროდ, პოზიციები დათმო **ნანა ძაგნიძემ**, იგი ოთხი თვის წინათ მეოთხე იყო, ახლა კი ევროპის ჩემპიონ ვიქტორია ჩმილიტესთან ერთად მეათე-მეთერთმეტე ადგილებს ინაწილებს.

ქალთა პირველი ათეული ასეთია: იუდით პოლგარი (2701), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2600), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2578), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2560), კატერინა ლახნო (უკრაინა, 2554), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2545), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2536), იუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2536), ანტონეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2528), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2525). ასეულში, ნანას გარდა, ქართველთაგან კიდევ რამდენიმე დიდოსტატია: 16. **მაია ჩიბურდანიძე** (2500), 20. **ბელა ხოტენაშვილი** (2497), 33. **ლელა ჯავახიშვილი** (2464), 44. **ნინო ხურციძე** (2440), 45. **ანა მათნაძე** (2433), 49. **სოფიკო ხუხაშვილი** (2426), 62. **ნინო ბაციაშვილი** (2413), 63. **ნაზი პაიკიძე** (2412), 69. **სალომე მელია** (2396), 79. **თამარ წერეთელი** (2383), 93. **მაია ლომინეიშვილი** (2366), 97. **ნონა გაფრინდაშვილი** (2360), 98. **სოფიკო გურამიშვილი** (2359).

ვაჟა დანელია

ბოგბურთი

წინსვლა წყვილებში

მართალია, **ანა ტატიშვილმა** (85) „ამერიკის ღია პირველობის“ ერთეულთა თანრიგში პირველივე მატჩი დათმო, მაგრამ ის კვლავ ნიუ-იორკშია და წყვილთა ბადეში გამოდის. ქართველისა და სლოვენიელი **ანდრეა კლეპაჩის** დუეტმა მოულოდნელად დაამარცხა მე-10 ნომრად განთესილი ტაივანურ-ავსტრალიური (**იუნ-იან ჩანი, ანასტასია როდიონოვა**) გუნდი - 4:6, 6:4, 7:6 (9). როგორც ხედავთ, ყველაფერი ტაი ბრეიკში გადაწყდა, რომელიც ანდრეამ და ანამ 9:7 მოიგეს. მეორე წრეში ქართველი და სლოვენიელი ამერიკელებს დაუპირისპირდებიან. ოღონდ, **გლატჩისა** და **ჰემპტონის** წყვილს თუ **ბარტისა** და **ბარდეტისას**, ჯერ არ გარკვეულა. გამარჯვებულმა წყვილმა უკვე 10 ათასი დოლარი გაინაღდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. გაბაშვილი; 5. ბადმინტონი; 8. ფიფია; 9. ლოტო; 11. კილასონია; 14. ისარი; 15. კარატე; 16. გაბელია; 19. მოსეშვილი; 21. გო; 23. ძაგნიძე; 25. ბუი; 26. რუმბა; 27. ადამია; 28. ძალოსნობა; 29. ოდიკაძე.

შვეულად: 2. ასათიანი; 3. აზმაიფარაშვილი; 4. ვენა; 6. ოვოიანი; 7. იზორია; 10. ნიკე; 11. კეკელიძე; 12. ლერი; 13. სეტბოლი; 17. ჩელებაძე; 18. კოსტავა; 20. ლაკროსი; 22. სამბო; 24. გადრი.

მოტორმატიანე — 35 წლის წინათ

1976 წლის 3 სექტემბერი. მოსკოვი. სსრ კავშირის თასის ფინალი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) –“არარატი“ (ერევანი). მატჩი დასრულდა ქართველ ფეხბურთელთა ბრწყინვალე გამარჯვებით 3:0.

სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, გადაღებულია მატჩის შემდეგ თასთან ლუჟნიკების სტადიონის გასახდელში. მარცხნიდან: ჯამლეტ ხუხაშვილი, კახი ასათიანი, ნუგზარ ჯუღელი, ვახტანგ ჭელიძე, კონსტანტინე შანიძე, გივი აბრამიშვილი, ოთარ ნოზაძე (ლელოს“ ჟურნალისტი) და ოთარ გაგუა.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თვის მონაგარი

ესეც ივლისი!

*რუბრიკით „თვის მონაგარი“ „ლელო“ ტრადიციულად აქვეყნებს ქართულ სპორტში მიმდინარე მოვლენებს. ყოველთვიური ამონაკრებები კი ქრონოლოგიურად თავისებურ ისტორიას ქმნის. გულშემატკივარს ეს მოსწონს. „გულდასმით ვაგროვებ და ვინახავ „თვის მონაგარს“, რაც საშუალებას მაძლევს, ზუსტად გავიხსენო ამა თუ იმ მოვლენის თარიღი. არ ვიცი, მე გამომრჩა თუ არ გამოქვეყნებულა, არ მაქვს ივლისის მონაგრის ნუსხა. იქნებ დამეხმაროთ“ - ტელეფონით შეგვეხმიანა თბილისელი **ბექა ბაქრაძე.***

სამწუხაროდ, ივლისის მონაგარი, არ გამოქვეყნებულა. „მოვლენების შემკრებმა“ ნუკრი ნეფარიძემ არ დაიზარა და... 2011 წლის ქართული სპორტის ისტორიის ქრონიკებს ახლა, აგერ, ივლისიც შეავსებს...

1. კალათბურთი. ეროვნული ნაკრები ევრობასკეტისთვის მზადებას ოფიციალურად შეუდგა.

2. წყალბურთი. საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტუმრად ბრიტანეთთან 7:8 ნააგო, თუმცა პლეი ოფის საგზური მაინც მოიპოვა.

3. ჩოგბურთი. იტალიურ კუნეოში **ანა ტატიშვილმა** 100-ათასიანი ტურნირი მოიგო.

4. ჩოგბურთი. მსოფლიოს მოწინავე ასეულში კარიერაში პირველად შევიდა **ანა ტატიშვილი**.

6. რაგბი. „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიოს თასისთვის მზადება დაიწყეს.

7. ფეხბურთი. ევროპალიგის საკვალიფიკაციო მატჩებში „მეტალურგი“ 1:1 დაუზავდა „ბანანცს“, ხოლო „დინამომ“ სტუმრად 3:1 დაამარცხა „მილსამი“. ორივე ქართული კლუბი შემდეგ ეტაპზე გავიდა.

8. მშვილდოსნობა. ტურინში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობის გამო, საქართველომ ლონდონის ოლიმპიადის ერთი ლიცენზია მიიღო.

8. თავისუფალი ჭიდაობა. ბაქოს „ოქროს დიდ პრიზზე“ ქართველებმა 6 მედალი მოიპოვეს: **დავით ხუციშვილი** (ოქრო), **გიორგი ედიშერაშვილი, შალვა მუზიაშვილი** და **ელიზბარ ოდიკაძე** (ვერცხლი), **დავით ქერაშვილი** და **დავით მოძმანაშვილი** (ბრინჯაო).



10. მშვილდოსნობა. ტურინის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა **ქრისტინე ესებუამ**.

10. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბაქოს „ოქროს დიდ პრიზზე“ **რევაზ ჭელიძემ** ბრინჯაოს მედალი ირგუნა.

13. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონმა“ 3:0 დაამარცხა „დაჩია“.

14. ფეხბურთი. ევროპალიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „მეტალურგი“ 1:1 დაუზავდა „ირტიშს“, „გაგრამ“ სტუმრად 0:3 ნააგო „ანორთოსისთან“, ხოლო „დინამომ“ - უელსურ „ლიანელისთან“ - 1:2.

16-17. ქვიშის ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატს ბათუმმა უმასპინძლა.

20. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონი“ 0:2 დამარცხდა „დაჩიასთან“, თუმცა ორი მატჩის ჯამში შემდეგ ეტაპზე გავიდა.

21. ფეხბურთი. ევროპალიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამომ“ 5:0 გაანადგურა „ლიანელი“, „გაგრამ“ 2:0 მოუგო „ანორთოსისს“, ხოლო „მეტალურგმა“ „ირტიში“ 2:0 დაამარცხა. „დინამო“ და „მეტალურგი“ შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

24. სუმო. ივლისის ბაშო ელიტაში მოასპარეზე ორივე ქართველისთვის წარუმატებლად დასრულდა: **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი) და **თეიმურაზ ჯუელმა** (გაგამარუ) სუპერტურნირი უარყოფითი ბალანსით დაასრულეს.

24. ოლიმპიზმი. ტრაბზონში გაიხსნა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, საქართველო 22 სპორტსმენით წარსდგა.

25. კალათბურთი. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა B დივიზიონი მოიგო და გაისად ევროპის ჩემპიონატის ელიტაში იასპარეზებს. **თორნიკე შენგელია** ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

26. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო წრეში „ზესტაფონი“ 1:1 ეთამაშა ავსტრიულ „შტურმს“.

26-27. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბუქარესტში ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა 5 მედალი მოიპოვეს: **რევაზ ნადარეიშვილი** და **შოთა გოგისვანიძე** (ოქრო), **ზურაბ დათუნაშვილი** და **სანდრო დიხამინჯია** (ვერცხლი), **ქემალ ხარაბაძე** (ბრინჯაო).

28. ოლიმპიზმი. ტრაბზონში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე მძლეოსანმა **ლაშა ღულელაურმა** სამხტომში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ძიუდოისტმა **ბექა ღვინიაშვილმა** - ჩემპიონობა.

28. ფეხბურთი. ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „მეტალურგი“ შინ ფრანგულ „რენთან“ 2:5 დამარცხდა, თბილისის „დინამომ“ კი სტუმრად 4:1 მოუგო „რეიკიავიკს“.

30-31. თავისუფალი ჭიდაობა. ბუქარესტში ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემპიონები გახდნენ **ვლადიმერ ხინჩაგაშვილი** და **დავით მარსაგიშვილი, მამუკა კორძაიამ** და **თედორე ებანოიძემ** ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო დავით გალეგაშვილმა - ბრინჯაო.

31. კალათბურთი. საქართველოს ნაკრებმა ავსტრიასთან ამხანაგური მატჩი 54:72 ნააგო.

ნიკოლოზ ნეფარიძემ

● შეკითხვა ლელოს

შეკითხვა: ხშირად წერენ და ამბობენ, რომ ესა თუ ის სპორტსმენი ჩემპიონია. შეიძლება თუ არა ნებისმიერ შეჯიბრებაში გამარჯვებული ჩემპიონად იწოდებოდეს?

გიორგი საბანაძე
თბილისი

პასუხი: მოდით, ერთად გადავფურცლოთ „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, სადაც ვკითხულობთ - ჩემპიონ-ი (ინგ. Champion) - წოდებულება, რომელიც ენიჭება პირველობაზე გამართულ სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულს; ამ წოდებულების მქონე პირი, გუნდი.

თვით „ჩემპიონატი“ კი ასეა განმარტებული: სპორტის რაიმე სახეობაში რაიმე პირველობაზე გამართული შეჯიბრება, რომელმაც უნდა გამოავლინოს ჩემპიონი.

● ჩოგბურთი

ქართული ჩოგბურთის პრობლემების გადასახედიდან

ქართული ჩოგბურთის ქომაგებს საინტერესო ბატალიები ელით: 10 სექტემბერს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ქალთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყება 10 ათასი ამერიკული დოლარის საპრიზო ფონდით. ერთი კვირის შემდეგ მას ბათუმის ნავთობტერმინალის 25-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი ჩაენაცვლება. შემდეგ კი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის სამინისტროს, ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციისა და კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით თელავში 50-ათასიანი ტურნირი გაიმართება.

ლეილა მესხი

ზემოაღნიშნულ შეჯიბრებებსა და ქართულ ჩოგბურთში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხი:**

- დიდი ხანია, საქართველოში ქალთა საერთაშორისო ტურნირებს ვატარებთ და ამ ტრადიციას არც წლეულს ვუღალატებთ. ეს შეჯიბრებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი მოხარდი თაობისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც უსახსრობის გამო უცხოეთში გამგზავრებას ვერ ახერხებს. თამამად შემიძლია ვთქვა, სწორედ ამ ტურნირების დამსახურებაა, რომ დღეს ქალთა ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად ჯანსაღი კონკურენციაა.

ზედიზედ ორ ტურნირს თბილისი უმასპინძლებს სპორტის სამინისტროს, კომპანია „ბორჯომის“, ბათუმის ნავთობტერმინალისა და სხვა სპონსორების დახმარებით. შეჯიბრებებში ახალგაზრდა ჩოგბურთელებიც იასპარეზებენ, რაც მათ ოსტატობის ამაღლებასა და ფინანსურად ხელის გამართვაშიც დაეხმარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ თელავის ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათას დოლარამდე გავზარდეთ. გულშემატკივრებს დაძაბული ორთაბრძოლები ელით.

- ქალბატონო ლეილა, თქვენ ბრძანეთ, რომ ქალთა ნაკრებში მოსახვედრად კონკურენციაო, გუნდი კი ევრო-აფრიკული ზონის მე-2 ჯგუფს ვერ გასცდა.

- სამწუხაროდ უძლიერესი შემადგენლობით ვერ ვიასპარეზეთ თურქეთში, თუმცა იმ გუნდითაც შეგვეძლო პირველ ჯგუფში გადასვლა, მიზანთანაც ახლოს ვიყავით, მაგრამ ერთმა გეიმმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. არა უშავს, გაისად გაციცლებით ძლიერი ნაკრები გვყოლება და უფრო დიდი მიზანიც გვექნება.

- ანა ტატიშვილს რომ ეთამაშა?

- ანასაც ძალიან უნდოდა ფედერაციის თასზე ეთამაშა. იგი პატრიოტი გოგოა, რომელიც სამშობლოსთვის ყველაფერს გაიღებს. მაშინაც მზად იყო საასპარეზოდ, მაგრამ მისი დასვენება გადავწყვიტეთ, რადგან ხელი სტკიოდა და არ გვინდოდა, ტრავმა გამიზეზებოდა. ჩვენი გადაწყვეტილების სისწორე იქიდანაც ჩანს, რომ ანამ საუკეთესო ასეულში დაიმკვიდრა ადგილი და გვჯერა, წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე საფეხურით წაიწევს წინ, ლონდონის ოლიმპიადის საგზურსაც მოიპოვებს, რაც ქართველი ჩოგბურთელებისთვის დიდი სტიმული იქნება. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც ტატიშვილს ბოლო სამი წლის განმავლობაში 125 ათასი ლარით დაეხმარა. ქართველმა ჩოგბურთელმა ამ თანხით მწვრთნელის პრობლემის მოგვარება შეძლო. ვიცით, რომ მეტი თანადგომაა საჭირო, მაგრამ, როგორც ფედერაციას, ისე სახელმწიფოს ამ ეტაპზე ფინანსურად მეტი შესაძლებლობა არ აქვს.

აქვე მინდა გითხრათ ოქსანა კალაშნიკოვაზეც. სამწუხაროდ, ამ ნიჭიერ ჩოგბურთელს კარგა ხანია, ხერხემლის პრობლემა აწუხებს. თავადაც ხედავთ, რამდენიმე თვეა, კორტებზე არ გასულა. ნაკრებში მისი არყოფნაც ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო, ვიმედოვნებთ, რომ ისიც მალე ჩადგება მწყობრში და უწინდებურად ათამაშდება.

- ვაჟებზე რას იტყვით? აქ ეროვნული გუნდი, ფაქტობრივად, არ გვყავს...

- უფროსი თაობის წარმომადგენლებმა აქტიურ სპორტს თავი დაანებეს, ახალგაზრდებს კი ჯერჯერობით ძალა და გამოცდილება აკლიათ, ევროპელებს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ. სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში გიორგი ცივაძე, გიორგი ჯავახიშვილი, ალექსანდრე მეტრეველი ორ-სამ წელიწადში საერთაშორისო სარბიელზე ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის, ალბათ, ანგარიშგასაწევი მეტოქეები იქნებიან, კარგი გუნდიც გვეყოლება. უსახსრობის გამო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებს ვერ ვატარებთ. გაისად კი მათ აუცილებლად აღვადგენთ. თუმცა ეს სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული.

- არაფერი გითქვამთ ნიკოლოზ ბასილაშვილზე, რომელმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე ჩოგბურთელი დავკარგეთ. რა იღონეთ, რომ ეს არ მომხდარიყო?

- ამას წინათ ბასილაშვილის ინტერვიუ დაიბეჭდა პრესაში, სადაც იგი ამბობს, რომ სახელმწიფომ არაფერი გააკეთა მის შესანარჩუნებლად, რაც არ არის მართალი. სამი წლის წინათ, როცა მისი რუსეთში წასვლის საკითხი დადგა, მე და სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი მაშინდელ ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის მინისტრ ნიკა რურუას ვეწვიეთ და ეს საკითხი განვიხილეთ. ბასილაშვილის აგენტ მიხაილ გორინს შევთავაზეთ, რომ ნიკას წლიურად 70 ათას დოლარს გადავუხდიდით. აგენტის ურყევი პირობა ასეთი იყო - 150 ათასი დოლარი ყოველწლიურად, თან ოთხწლიანი კონტრაქტით. 16 წლის ყმაწვილისთვის ამხელა თანხის გადახდა რისკი იყო, თანაც სახელმწიფოს და ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციას სათანადო საშუალება არ ჰქონდა. ამის თაობაზე ბასილაშვილის მამასაც ვესაუბრეთ. მან კი გვითხრა, კონტრაქტით აგენტზე ვართ დამოკიდებული და ერთპიროვნულად ვერაფერს გადავწყვეტთო.

ნიკა ბასილაშვილი ჩვენს ხელში გაიზარდა, კარგი ყმაწვილია. წარმატებას ვუსურვებთ. ვიმედოვნებთ, რომ იგი კვლავ დაუბრუნდება საქართველოს ნაკრებს და საერთაშორისო სარბიელზეც სამშობლოს სახელით იასპარეზებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ***გია ნაცვლიშვილი:***

„ლეილა მესხის მეშვეობით ჩვენც გვქონდა ურთიერთობა ნიკოლოზ ბასილაშვილის აგენტთან და მამასთან. ის შევთავაზეთ, რისი შესაძლებლობაც სახელმწიფოს გააჩნდა. სამწუხაროდ, ჩვენთან ვაჭრობა და რუსების თვალში მაზანდის აწევა გადაწყვიტეს. ბუნებრივია, ამგვარ მოთხოვნას ვერ დავთანხმდებოდით.

საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ არა მარტო ბასილაშვილს, არამედ უცხოეთში მცხოვრებ ყველა ქართველ სპორტსმენს, რომლებშიც პერსპექტივას ვხედავდით, არაერთხელ დავუკავშირდით. ზოგი დაგვემალა, ზოგმა ულტიმატუმი, ზოგმაც ისეთი მოთხოვნები წამოგვიყენა, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ სახელოვან ათლეტთა პირობებს ბევრად აღემატება. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამგვარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ცხადია, ვერ შევძლებთ“.

- ქალბატონო ლეილა, ბაზებზეც მინდა გკითხოთ: მტკვრის სანაპიროზე „დინამოს“ კორტები დაინგრა...

- სანაცვლოდ ორთაჭალაში საცურაო აუზ „ოლიმპიკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე შესანიშნავი საჩოგბურთო კომპლექსი შენდება 3 დახურული და 6 ღია კორტით, რომელიც ოქტომბერში საზეიმოდ გაიხსნება. სამომავლოდ გათვალისწინებულია, აქაურობას კიდევ რამდენიმე კორტი შეემატოს. ასე რომ, შესანიშნავი ბაზა გვექნება.

- მაგრამ, ამბობენ, ქარიანი ადგილიაო.

- ამ თემაზე ჩვენც გვქონდა სერიოზული მსჯელობა. ნებისმიერ ქვეყანაში კორტები დღეს ქალაქგარეთ შენდება და ქარის პრობლემა ყველას აწუხებს, მაგრამ ჩოგბურთელებისთვის ეს არ არის შემაფერხებელი, რადგან ისინი ნებისმიერ ამინდს შეჩვეული არიან. ზღვისპირა კორტებზე, თუნდაც მაიამიში, ქარი ქრის, ცხადია, ზომიერი, მაგრამ დღემდე არავის მოსვლია აზრად, ეს ბაზა აქ რატომ ააშენესო.

ერთიც მინდა დავძინო: სულ მალე „მზიურში“ დაიწყება კიდევ ერთი საჩოგბურთო კომპლექსის მშენებლობა 4 დახურული და 8 ღია კორტით, რომელიც გაისად დამთავრდება. ზემოაღნიშნული ბაზების ამოქმედებით უამრავ ახალგაზრდას მოვიზიდავთ და ქართული ჩოგბურთის პოტენციალიც აუცილებლად გაიზრდება.

ჩოგბურთის ეროვნულმა ფედერაციამ შეიმუშავა სპორტის ამ სახეობის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს - ჩოგბურთის ინფრასტრუქტურის განვითარებას რეგიონებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში... მჯერა, რომ სახელმწიფოს თანადგომით მის განხორციელებას შევძლებთ.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მეტოქეები

შეხედეთ საქართველოს, ისინი უკვე პროფესიონალები არიან

მარტინ ჯონსონი

მსოფლიოს თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდები ახალ ზელანდიაში რიგრიგობით ჩადიან. საქართველოს ნაკრების მეტოქე ჯგუფურ ტურნირში ინგლისის ეროვნული გუნდი უკვე მეორე დღეა ოქლენდში იმყოფება. „პომებმა" განტვირთვის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ციოდა, იახტებით გაისეირნეს. მოგვიანებით კი ინგლისელთა თავკაცმა მარტინ ჯონსონმა პრესკონფერენცია გამართა.

„დიახ, ჩვენ უკვე ახალ ზელანდიაში ვართ, მსოფლიოს მთელი სარაგბო ოჯახი აქ არის. წინ დიდი ბრძოლები გველის. შესანიშნავი დახვედრა მოგვიწყვეს. ძალზედ მოხიბლულები ვართ.

მასპინძლებს, ცხადია, გამარჯვების დიდი შანსი აქვთ, ნურავინ იფიქრებს, რომ სამი ერის გათამაშებაში განცდილი ორი მარცხი მათ ფავორიტთა სიიდან წაშლის. ისინი შინ თამაშობენ და მიუხედავად იმისა, რომ ეს გარკვეული უპირატესობაა, ამასთან საკმაოდ მძიმე ტვირთია. შინ რომ თამაშობ, შენგან ყველა გამარჯვებას ელოდება, ეს არ შეიძლება ფსიქოლოგიურად არ გთრგუნავდეს, მაგრამ მი ზანი იმდენად სასურველია, რომ ამად ღირს.

დაივინყეთ, რაც აქამდე ხდებოდა - ვინ ვისთან წააგო და რატომ? ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. ეს მსოფლიოს თასის გათამაშებაა, სადაც აბსოლუტურად ყველას თანაბარი სასტარტო პირობები აქვს. ყველა თამაში ცალკე აღებული, უნიკალურია და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, მეტოქესთან როდის წააგე ან მოიგე.

არ მგონია, რომ რაგბიში განსაკუთრებით განსხვავებული სტილით მოთამაშე გუნდები არსებობდნენ. ამიტომ, ვფიქრობ, იმის თქმა, მსოფლიოს თასს რომელი სტილის რაგბის მიმდევარი გუნდი მოიგებს, უაზრობაა. მოიგებს ის, ვინც ყველანაირ ზეწოლას გაუძლებს, ვინც უკეთ იქნება ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მომზადებული.

მსოფლიოს თასზე ასპარეზობა სულ უფრო და უფრო რთული ხდება. გუნდები ვითარდებიან, იზრდებიან, ოსტატობა ემატებათ. აქ სუსტი გუნდები არ არიან. შეხედეთ საქართველოს ნაკრებს, მას უკვე ჰყავს რამდენიმე მაღალი კლასის პროფესიონალი მოთამაშე და შეუძლია ნებისმიერ მეტოქეს წინააღმდეგობა გაუწიოს.

ჩვენ აუცილებლად ჩავალთ ქრაისჩერჩში. რომ არა მინისძვრა, რომელმაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ქალაქი მნიშვნელოვნად დაა ზარალა, იქ ორი მატჩი უნდა გაგვემართა. ჩვენი სტუმრობით გვინდა, როგორღაც მხარი დავუჭიროთ, ვუთანაგრძნოთ ქრაისჩერჩელებს

გუნდში ექვსი ტრავმირებული მოთამაშე გვყავს, თუმცა იმედი მაქვს, არგენტინის ნაკრებთან 10 სექტემბრის პირველი თამაშისთვის ყველა მათგანი შეძლებს გამოჯანმრთელებას.



ტომ ვუდი

*ნაკრების კაპიტანმა ლუის მუდიმ ფეხი უელსის ნაკრებთან მატჩში დაიშავა, მისი რეაბილიტაციის პროცესი კარგად მიმდინარეობს. ახალ ზელანდიაში ჩამოვიყვანეთ ცხრა ნომერი ბენ იანგ ზი, რომელმაც მძიმე ოპერაცია გადაიტანა და მალე თამაშს დაიწყებს. **ტომ ვუდი** და ნიკი ისთერი ბოლო ტესტმატჩში ირლანდიის ნაკრებთან არ ვათამაშეთ, რადგან მიკრო ტრავმების გართულებას მოვერიდეთ. ბოლო შეხვედრაში დაშავდნენ ასევე მარკ კუეტო და მაიკ თინდოლი, თუმცა საშიში არაფერია და მსოფლიოს თასის გათამაშებაში სტარტ ზევე ჩაებმებიან." - თქვა მარტინ ჯონსონმა.*

*ამასობაში კი საკმაოდ პესიმისტური განცხადება გააკეთა 2003 წლის მსოფლიოს თასის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, მარტინ ჯონსონის ყოფილმა თანაგუნდელმა **ლოურენს დალალიომ.** მას მიაჩნია, რომ ინგლისის ნაკრები მსოფლიოს თასის მოსაგებად მზად არ არის.*

„გულზე ხელი დავიდოთ, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ალალად ვთქვათ, ინგლისის ნაკრები ახალ ზელანდიაში ფავორიტი არ არის. ის არც პირველი და არც მეორე ნომერი გუნდია.

რას უნდა ველოდოთ ჩვენი ნაკრებისგან ამ მსოფლიოს თასზე? თუ ბიჭები შეძლებენ და ნახევარფინალში გააღწევენ, ეს კარგი იქნება. ვფიქრობ, თვითონ მოთამაშეები და ქომაგთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ აზრს იზიარებს. შესაბამისად, მიღწეულითაც გაიხარებენ.

ცხადია, ამით ბედნიერი ვერ იქნება მარტინ ჯონსონი, მაგრამ ინგლისს დღესდღეობით მეტი არ შეუძლია. რა იქნება ამ მსოფლიოს თასის შემდეგ? გვეყოლება უკეთესი გუნდი? - დიახ, რა თქმა უნდა. მოთამაშეთა აბსოლუტური უმრავლესობა მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმზე პირველად ასპარეზობს, მათთვის ახალ ზელანდიაში გამართული ბატალიები უდიდესი გამოცდილება იქნება. რაც სამომავლოდ ბრწყინვალე სამსახურს გაუწევს.

მერწმუნეთ, პირადი გამოცდილებიდან ვიცი. 1999 წელს ძალიან გვინდოდა მსოფლიოს თასის მოგება, მაგრამ ჯერ მზად არ ვიყავით, ოთხი წლის შემდეგ კი ავსტრალიაში გუნდი უკვე მომწიფებული იყო ტრიუმფისთვის. ასეა ახლაც. ეს ნაკრების პირველობისთვის მზად არ არის. 2015 წლის მსოფლიოს თასზე კი, რომელიც ინგლისში გაიმართება პომები უმთავრესი ფავორიტები იქნებიან და დარწმუნებული ვარ, ვებ ელისის თასს ინგლისიდან არავის გაატანენ.

ბევრი ლაპარაკობს, ჩემი და მარტინ ჯონსონის ურთიერთობების დაძაბვაზე, რომ თითქოს მარტინი საგრძნობლად გამოიცვალა. ეს სიმართლე არ არის. ჯონსონს გამარჯვებულის სული აქვს, მისი მენტალიტეტი წაგებას ვერაფრით ეგუება. ის მწვრთნელია და, როგორც ყველაფერში, აქაც საუკეთესო უნდა რომ იყოს. შესაბამისად, საკმაოდ მძლავრი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაა მოქცეული და ფრთხილობს, მკვეთრ, გადამჭრელ გადაწყვეტილებებს არ იღებს. ეს არის და ეს. რამდენად მართებულია მისი სამწვრთნელო ფილოსოფია, ახალ ზელანდიაში, მალე გამოჩნდება" - თქვა ლოურენს დალალიომ.

ინგლისური რაგბის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დალალიო, ბოლო ხანს ინგლისის ნაკრების თავკაცს და მის შტაბს ხშირად აკრიტიკებს. ძნელი სათქმელია, რითაა გამოწვეული მისი ასეთი აქტიურობა, თუმცა, გამორიცხული არ არის, ლოურენსი „პომების" მესაჭეობას უმიზნებდეს, რათა ოთხი წლის შემდეგ, შინაურ კედლებში, ვებ ელისის თასის შინ დატოვებას შეეცადოს.

● ნომინანტი

ქართლი ბეილი
და ჯონ ილზი

ჯონ ილზის მედალი ქართლი ბეილს

ავსტრალიის ნაკრების ფულბეკი **ქართლი ბეილი** ლეგენდარული „ვოლაბის" **ჯონ ილზის** სახელობის მედლის მფლობელი გახდა. ეს მედალი 2002 წლიდან სეზონის საუკეთესო ავსტრალიელ მორაგბეს გადაეცემა. მის გამოვლენაში კი თვითონ ავსტრალიის ნაკრების მოთამაშეები მონაწილეობენ. ისინი საუკეთესოდ ერთმანეთს ასახელებენ.

წლევანდელი გამოკითხვის შედეგად ყველაზე მეტი - 127 ქულა სწორედ ბეილმა მიიღო. მან ხუთი ქულით გაუსწრო **სტივენ მურს**, რომელიც შარშანდელ სეზონშიც მეორე იყო. 2010 წლის საუკეთესო ავსტრალიელი მორაგბე **დევიდ პოკოქი** კი 100 ქულით მესამე ადგილს დასჯერდა. მას ოთხი ქულით ჩამორჩა გუნდის ახალი კაპიტანი **ჯეიმზ ჰორვილი.**

აღსანიშნავია, რომ **ვილი გენიამ**, რომელიც ბოლო ორ შეხვედრაში აშკარად საუკეთესო იყო, 78 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა და **ადამ ეშლი-კუპერს, დიგბი იოანს, ჯეიმზ ოკონორს, დრიუ მიტჩელსა** და **ქუადე კუპერს** გაასწრო.

აღსანიშნავია, რომ „ვოლაბების" ყოფილი მესამეხაზელი **ჯორჯ სმითი** ერთადერთია, რომელსაც ჯონ ილზის მედალი ორჯერ ერგო.

გამოკითხვის შედეგი

1. ქართლი ბეილი - 127 ქულა, 2. სტივენ მური - 122, 3. დევიდ პოკოქი - 100, 4. ჯეიმზ ჰორვილი - 96, 5. ვილი გენია - 78, 6. ადამ ეშლი-კუპერი - 74, 7. დიგბი იოანი - 73, 8. დრიუ მიტჩელი - 66, 9. პეტ მაკკები - 56, 10. ჯეიმზ ოკონორი - 55.

ყველა გამარჯვებული

ჯორჯ სმითი (2), ფილ ვოგი, დევიდ ლაიონზი, ჯერემი პაული, კრის ლათემი, ნათან შარპი, მეთ გიტო, დევიდ პოკოქი.

● მსოფლიოს თასი

მსოფლიოს თასმა ახალი საზღვრები გადალახა

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდება. ეს გასაკვირი არცაა, რადგან მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმს, პლანეტაზე არსებულ ყველა სპორტულ ღონისძიებებში თავისი მნიშვნელობით, ოლიმპიური თამაშებისა და ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, მესამე ადგილი უჭირავს.

სარაგბო ბატალიების ხილვის სურვილი სულ უფრო მეტ ადამიანს უჩნდება და ახლახან IRB-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მსოფლიოს თასის გათამაშების ყველა, 48 მატჩის ნახვის საშუალება ანტარქტიდაზე ექსპედიციაში მყოფ მეცნიერებსაც ექნებათ.

არქტიკის შოტლანდიურ ბაზაზე, სადაც 13 ახალზელანდიელი, ავსტრალიელები და ირლანდიელები ცხოვრებენ, მსოფლიოს თასის მატჩებს პირველად იხილავენ.

„მოხარულნი ვართ, რომ ვახერხებთ ანტარქტიდაზე მცხოვრები ქომაგებისთვის რაგბის მატჩების ტრანსლაციას. ისინი ამ ტელერეპორტაჟების საშუალებით მსოფლიო რაგბის თანამეგობრობას შეუერთდებიან" - თქვა IRB-ს *პრეზიდენტმა* **ბერნარ ლაპასემ.**

„ჩვენი ექსპედიცია და მე ზობელი ამერიკული სადგურის მაკ მერდოს მცხოვრებნი, მოუთმენლად ველით მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებას. ვფიქრობთ, ახალ ზელანდიაში უშელავათო ბრძოლები წარიმართება, რაც რაგბის მეტ ხიბლს ანიჭებს" - დასძინა ანტარქტიდაზე ახალი ზელანდიის ექსპედიციის ხელმძღვანელმა **მაი მაჰონიმ.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

● მსოფლიოს თასი

ირლანდიის ნაკრები ქვინზთაუნში ჩავიდა. ამ ქალაქს 5 სექტემბერს საქართველოს ნაკრებიც ესტუმრება

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012 საკვალიფიკაციო მატჩების წინ

ქამი ევროპული ჭეშმარიტებისა

პირველი გერმანია იქნება?

A ჯგუფი

აზერბაიჯანი-ბელგია	20:00
თურქეთი-ყაზახეთი	21:00
გერმანია-ავსტრია	22:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	7	7	0	0	22-3	21
2. ბელგია	7	3	2	2	15-10	11
3. თურქეთი	6	3	1	2	9-7	10
4. ავსტრია	6	2	1	3	10-10	7
5. აზერბაიჯანი	6	1	0	5	5-18	3
6. ყაზახეთი	6	1	0	5	2-15	3

B ჯგუფი

რუსეთი-მაკედონია	20:00
ანდორა-სომხეთი	20:00
ირლანდია-სლოვაკეთი	22:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ირლანდია	6	4	1	1	11-6	13
2. რუსეთი	6	4	1	1	9-4	13
3. სლოვაკეთი	6	4	1	1	6-4	13
4. სომხეთი	6	2	2	2	10-7	8
5. მაკედონია	6	1	1	4	5-8	4
6. ანდორა	6	0	0	6	1-13	0

C ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია-სერბეთი	22:45
სლოვენია-ესტონეთი	22:45
ფარერეები-იტალია	22:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იტალია	6	5	1	0	14-1	16
2. სლოვენია	7	3	2	2	9-4	11
3. ჩრდ. ირლანდია	6	2	3	1	7-3	9
4. სერბეთი	6	2	2	2	8-9	8
5. ესტონეთი	7	2	1	4	7-11	7
6. ფარერები	8	1	1	6	5-22	4

D ჯგუფი

ბელარუსი-ბოსნია	21:30
ლუქსემბურგი-რუმინეთი	21:30
ალბანეთი-საფრანგეთი	23:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	6	4	1	1	9-2	13
2. ბელარუსი	7	3	3	1	6-2	12
3. ბოსნია	6	3	1	2	8-7	10
4. რუმინეთი	6	2	2	2	6-2	8
5. ალბანეთი	6	2	2	2	4-6	8
6. ლუქსემბურგი	7	0	1	6	1-13	1

E ჯგუფი

ფინეთი-მოლდოვა	19:30
უნგრეთი-შვედეთი	21:45
ჰოლანდია-სან მარინო	22:30

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰოლანდია	6	6	0	0	21-5	18
2. შვედეთი	6	5	0	1	20-6	15
3. უნგრეთი	7	4	0	3	18-13	12
4. ფინეთი	6	2	0	4	11-11	6
5. მოლდოვა	6	2	0	4	7-9	6
6. სან მარინო	7	0	0	7	0-33	0

F ჯგუფი

ისრაელი-საბერძნეთი	17:05
საქართველო-ლატვია	21:00
მალტა-ხორვატია	21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	6	4	2	0	8-3	14
2. ხორვატია	6	4	1	1	10-3	13
3. ისრაელი	7	4	1	2	10-7	13
4. საქართველო	7	2	3	2	5-5	9
5. ლატვია	6	1	1	4	5-9	4
6. მალტა	6	0	0	6	2-13	0

G ჯგუფი

ბულგარეთი-ინგლისი	22:15
უელსი-ჩერნოგორია	22:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინგლისი	5	3	2	0	11-3	11
2. ჩერნოგორია	5	3	2	0	4-1	11
3. შვეიცარია	5	1	2	2	7-7	5
4. ბულგარეთი	5	1	2	2	2-6	5
5. უელსი	4	0	0	4	1-8	0

H ჯგუფი

ნორვეგია-ისლანდია	22:00
კვიპროსი-პორტუგალია	22:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუგალია	5	3	1	1	11-7	10
2. დანია	5	3	1	1	4-3	10
3. ნორვეგია	5	3	1	1	6-4	10
4. კვიპროსი	4	0	2	2	5-8	2
5. ისლანდია	5	0	1	4	2-8	1

I ჯგუფი

ლიტვა-ლიხტენშტაინი	19:00
შოტლანდია-ჩეხეთი	ხვალ, 18:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესპანეთი	5	5	0	0	15-5	15
2. ჩეხეთი	5	3	0	2	6-3	9
3. შოტლანდია	4	1	1	2	4-5	4
4. ლიტვა	5	1	1	3	3-8	4
5. ლიხტენშტაინი	5	1	0	4	3-10	3

ბომბარდირები:

8 - კლაას-იან ჰუნტელაარი (ჰოლანდია), **მიროსლავ კლოზე** (გერმანია).
6 - **მიკაელ ფორსელი** (ფინეთი).
5 - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი), **რობი კინი** (ირლანდია).
4 - **ადამ სალაი** (უნგრეთი), **ტომ მატავეჟი** (სლოვენია), **მარიო გომესი** (გერმანია), **იოსი ბენაიუნი** (ისრაელი), **მარვინ ოგუნჯიმი** (ბელგია), **დირკ კუიტი** (ჰოლანდია), **დავიდ ვილია** (ესპანეთი), **ნიკო კრანჩარი** (ხორვატია), **დერდეი რუდოლფი** (უნგრეთი).

სპორტულ სამყაროში არსად ისე არ ამართლებს გამონათქვამი - წინილებს შემოდგომით ითვლიანო - როგორც ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ციკლში. მართლაც, სწორედ ამ შემოდგომით გამოვლინდება ის 14 ნაკრები, რომლებიც გაისად პოლონეთ-უკრაინაში იასპარეზებენ. 9 ჯგუფის გამარჯვებულს, ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი შეუერთდება, შემდეგ კი პლეი ოფში გამარჯვებული 4 გუნდი.

დღეს თბილისის გარდა კიდევ 20 ევროპულ ქალაქში მორიგი საკვალიფიკაციო ბატალიები გაიმართება (ერთი მატჩი ხვალაა), რომელთა შემდეგაც, დიდი შანსია, ევრო-2012-ის ფინალური ეტაპის პირველი საგზურის მფლობელი ოფიციალურად გაირკვეს (ბუნებრივია, თანამასპინძლებს ეს საგზურები გარანტირებული აქვთ). ლაპარაკია გერმანიის ნაკრებზე, რომელიც A ჯგუფის ბინადარია და 7 თამაშიდან 7 მოგებით ერთპიროვნულად ლიდერობს.



სნორედ ამ ჯგუფით დავიწყებთ, თუმცა გერმანია-ავსტრიის პერიპეტიებზე სხვა გვერდზეც ნაიკითხავდით. მოკლედ, საკმარისია **იოახიმ ლიოვის** გუნდმა მოუგოს ყაზახეთს, და გერმანიის ნაკრები პოლონეთ-უკრაინის საგზურს დღესვე მოიპოვებს. თუმცა იმაში, რომ ეს გუნდი საგზურს ადრე თუ გვიან შესწვდება, ეჭვიც არ გვეპარება.

მოკლედ, ამ ჯგუფში რეალურად მეორე ადგილისთვის მიდის ომი, თურქებმა შინ არ უნდა ნაიბორძიკონ, თავის მხრივ, ბელგიამ „ოქროს“ სამი ქულა უნდა წაიღოს ბაქოდან. აზერბაიჯანმა ამ შესარჩევში ერთი სენსაცია უკვე „გამოაცხო“, როცა თურქეთი დაამარცხა, მეორე სენსაცია კი **ჟორჟ ლეეკენსის** გუნდისთვის დამლუპველი იქნება. ბრიუსელში ამ გუნდების დაპირისპირებაში ბრძოლა მხოლოდ დასაწყისში იყო, როცა აზერბაიჯანი **რუსლან აბიშოვის** გოლის წყალობით დანინაურდა, მერე და მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - 4:1 ბელგიის სასარგებლოდ. ბელგიელებს ტრავმების გამო მცველები - **დანიელ ვან ბუიტენი** და **ტომას ვერმაელენი** აკლიათ.

თურქულ ფეხბურთში ერთი დიდი არეულობაა - სკანდალის გამო ჩემპიონატი ჯერ ვერ დაიწყო. მასპინძლებს არ ეყოლება „რეალის“ წყვილი, **ჰამით ალთინთოპი** და **ნური შაჰინი**, თუმცა ყაზახეთს დარჩენილებიც უნდა ეყონ.

B ჯგუფში დიდი ბრძოლაა. სამეულს - ირლანდიას, რუსეთსა და სლოვაკეთს 13-13 ქულა აქვთ. აქ ცენტრალური დუბლინური მატჩია, სადაც **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდი სლოვაკეთს მასპინძლობს. იტალიელ სპეციალისტს გამოჯანმრთელებული ვარსკვლავი **ეიდენ მაკგიდი** დაუბრუნდა. სამაგიეროდ, ირლანდიელებს **კით ფეჰეი** დააკლდა. *„დუბლინში თამაში ძალიან ძნელია, მაგრამ მე გამოცდილი ფეხბურთელების იმედი მაქვს, რომლებიც სიმშვიდეს შეინარჩუნებენ“*, - განაცხადა სტუმართა თავკაცმა ვლადიმირ ვეისმა. რუსებს „ლუჟნიკიზე“ მაკედონიასთან წაფორხილების უფლება არ აქვთ. ამ ჯგუფში შანსი ჯერ სომხებსაც არ დაუკარგავთ, რომლებიც აუტსაიდერ ანდორას სტუმრობენ.

C ჯგუფში იტალიის ნაკრების მეტოქეებს მხოლოდ თეორიული შანსებიღა თუ შერჩათ, რაც კიდევ უფრო შემცირდება, თუკი „სკუადრა აძურა“ ჩრდილოეთში კუთვნილ ადგილს მიუჩენს ფარერის კუნძულების ნაკრებს. სხვათა შორის, ეს შეიძლება იოლი არ აღმოჩნდეს - ყოველ შემთხვევაში, 2007 წელს იტალიამ მხოლოდ 2:1 მოიგო ტორსჰავნში **ფილიპო ინძაგის** დუბლის წყალობით. იტალიას ჯილარდინო დაუბრუნდა და მატრი დაემტვრა, ხოლო ჯუზეპე როსი გვიან შეუერთდა, რადგან მის „ვილიარეალს“ ესპანეთის ჩემპიონატში მატჩი ჰქონდა.

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩებია ბელფასტსა და ლუბლიანაში, სადაც იტალიელთა მდევრები რეალურად მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ. ბანსაკუთრებით კრიტიკული მდგომარეობა სერბებს აქვთ, თუკი **ვლადიმირ პეტროვიჩის** გუნდი ბრიტანეთში დამარცხდება, ევრო-2012 უნდა დაივიწყოს. *„ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ამ ციკლს წარმატებით ჩავამთავრებთ“*, - გულს არ იტეხს პეტროვიჩი, რომლის გუნდის კაპიტანი **დეიან სტანკოვიჩი** ნაკრებში 99-ე მატჩს ატარებს.

D ჯგუფში ფრანგებს არცთუ დიდი ჰანდიკაპი აქვთ და მათ ძალზე რთული მატჩი ელით ტირანაში. **ლორან ბლანს** დაცვის ცენტრი აღელვებს - **ფილიპ მექსეს** და **მამადუ სახოს** ტრავმები აწუხებთ, ხოლო „ვალენსიას“ დაცვის ბურჯი **ადილ რამი** დისკვალიფიცირებულია. წინ ბლანს **ფრანკ რიბერი** უბრუნდება, რომელიც ჩილესთან ამხანაგურ მატჩში არ იყო.

ბელარუსისა და ბოსნიის ნაკრებები ერთმანეთს პირველად ხვდებიან, ორივე გუნდი ევრო-2012-ის საგზურისთვის იბრძვის. მასპინძლები ფრანგებს ხომ მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან (თუმცა მატჩით მეტი აქვთ გამართული). ეს ნაკრები კიდევ იმიტომ არის ჩვენთვის საინტერესო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეა.

შემდეგი ჯგუფი - აქაც ერთი გამორჩეული ფავორიტია - ჰოლანდიის ნაკრები, რომელიც მთელ კონტინენტზე უსუსტეს ნაკრებს, სან მარინოს მასპინძლობს. ალბათ, **ბერტ ვან მარვიიკის** გუნდი მე-7 თამაშსაც მოიგებს ზედიზედ. თუმცა მწვრთნელი მაინც განიცდის **არიენ რობენისა** და **იბრაჰიმ აფელაის** არყოფნას.

შვედეთი ჰოლანდიის მდევარია, ხოლო მისი დღევანდელი მეტოქე უნგრეთი გააფრთებით იბრძვის პლეი ოფის საგზურისთვის. **ერიკ ჰამრენს** „ოლიმპიაკოსის“ ვეტერანი მცველი **ოლოფ მელბერგი** დაუშავდა. ის კი შეუცვლელი ცენტრალური მცველია სკანდინავთა შემადგენლობაში. მწვრთნელმა მელბერგი **რასმუს ელმით** შეცვალა. უნგრელებს ერთი დებიუტანტი ეყოლებათ - „მაინცელი“ **ზოლტან შტიებერი**. მასპინძლებს არ ეყოლებათ ლიდერი - **ბალაშ ჟუჟაკი**, რომელმაც „ანჟის“ მატჩში ლავინი გაიტეხა და სამ თვემდე მოუწევს დასვენება.

ჩვენი ჯგუფი - საქართველო-ლატვიის მატჩზე სხვა გვერდებზეც ნაიკითხავთ. ვიტყვით, რომ ჩვენმა გუნდმა უნდა დაიბრუნოს პლეი ოფში გასვლის შანსი, ამისთვის კი ბალტიელთა დამარცხებაა საჭირო. მაშინ, როცა ხორვატები ჯგუფის აუტსაიდერებს სტუმრობენ, ლიდერი საბერძნეთი აღთქმულ მინაზე მძიმე მატჩის გასამართავად ჩადის. შეგახსენებთ, რომ ებრაელთა ლიდერმა ორი დღის წინ კლუბი შეიცვალა - **იოსი ბენაიუნი** „ჩელსიდან“ „არსენალში“ გადავიდა.

G ჯგუფს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს - ერთი მოსალოდნელია, რომ ინგლისი იქნებოდა, აი, ჩერნოგორიელთა წინსვლას კი ნაკლებად ელოდა ვინმე. ორივე ლიდერი სტუმრად თამაშობს, **კაპელოს** გუნდი ბულგარეთს სტუმრობს, სადაც მასპინძლებს ბოლო შანსი აქვთ, ევროსაგზურისთვის გაიბრძოლონ. შეგახსენებთ, რომ ბულგარელებს გერმანული ფეხბურთის ლეგენდა, **ლოთარ მათეუსი** წვრთნის. სხვათა შორის, ბულგარელებს ამ ციკლში ჯერ შინ გოლი არ გაუტანიათ. ინგლისელებს სამი დებიუტანტი ჰყავთ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სამი ახალგაზრდა: **ფილ ჯონსი, ტომ კლეევერლი** და **კრის სმოლინგი**. ისინი ისე ათამაშდნენ, რომ მათი იგნორირება აღარ შეიძლებოდა. შეიძლება ყოფილიყო მეოთხე მანჩესტერელიც, მაგრამ **დენი უილბეკმა** „არსენალთან“ ისტორიულ მატჩში ფეხი დაიშავა.

ჩერნოგორია უქულო უელსს ესტუმრება, თუმცა არა გვგონია, სამი ქულა ბრიტანეთიდან იოლად წამოიღოს.

H ჯგუფი ძალიან საინტერესო გამოდგა - 5-გუნდიან ტურნირში სამს, პორტუგალიას, ნორვეგიასა და დანიას 10-10 ქულა აქვთ. პორტუგალია კვიპროსს ეწვევა, თუმცა გუნდში სიტუაცია აირია - „რეალის“ მცველმა **რიკარდო კარვალიომ** გადაწყვიტა ნაკრების შეკრების დატოვება, შემდეგ კი საერთაშორისო კარიერის დასრულებაც გამოაცხადა. ზუსტად ერთი წლის წინ, პორტუგალიაში ამ გუნდებმა საოცარი მატჩი შემოგვთავაზეს, **რომელიც 4:4** დასრულდა!

დანია ისვენებს, ხოლო ნორვეგიელები შინ ისლანდიელებს ხვდებიან. ასე რომ, ვიკინგებს გალიდერების შესანიშნავი შანსი აქვთ. „ულევაალზე“ ნორვეგიას **მორტენ პედერსენი** არ ეყოლება, ეს კი დიდი დანაკლისია. მით უფრო, რომ საეჭვოა **იონ არნე რიისს** თამაშიც.

დაბოლოს, I ჯგუფი, სადაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ესპანეთის ნაკრების სრული ჰეგემონიაა - „ფურია როხა“ დღეს ისვენებს. ლიტვის ნაკრები კი კაუნასში აუტსაიდერ ლიხტენშტაინს მასპინძლობს. ხვალ ერთი შეხვედრაა, „ჰემპდენ პარკზე“ შოტლანდიის ნაკრები და ჩეხეთს შეხვდება, ეს შოტლანდიელთა უკანასკნელი შანსია.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

უცხოური ფეხბურთი

● ჩაშლილი ტრანსფერი



სნეიდერი: თავი უკვე მანჩესტერ იუნაიტედში მეგონა

ჰოლანდიელი ვარსკვლავი **ვესლი სნედერი** აღიარებს, რომ ეგონა, ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადვიდოდა. მეორე მხრივ მას „ინტერში“ დარჩენაც ძალიან ახარებს — მას მერე, რაც **სამუელ ეტო'ო** მახაჩყალის „ანჟაში“ გადავიდა, ნათელი გახდა, რომ მილანელებს ფული აღარ სჭირდებათ. არადა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონსაც** უნდოდა 27 წლის შემტევი ნახევარმცველის გადაბირება. მოკლედ, ჩაიხლართა და ჩაიხლართა ყველაფერი, საბოლოოდ კი „ინტერის“ უფროსობამ გამოაცხადა, რომ „ანჟის“ გვარიანი თანხა გამოართვა და სხვა საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვაზე ხელი აიღო.

„არ დაგიმალავთ, აშკარად მეგონა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ კონტრაქტი არ ამცდებოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ „ოლდ ტრეფორდ ზე“ უნდა გადავსულიყავი. ამ საკითხ ზე კონსულტაციები მიმდინარეობდა. „ინტერს“ უნდოდა ორიდან ერთი გაეყიდა - მე ან სამუელ ეტო'ო. უფრო მომზადებული ჩემი ტრანსფერი ჩანდა, მაგრამ საბოლოოდ ისეთი კომბინაცია დაჯდა, რომ ეტო'ო გაუშვეს, მე კი მილანში დავრჩი.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია და, რასაკვირველია, იქ გადასვლა კარიერის შესანიშნავი გაგრძელება იქნებოდა, მაგრამ „ინტერში“ დარჩენა კიდევ უფრო გამიხარდა, რადგან იტალიაში ცხოვრებას დავეჩვიე და აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. სწორად გამიგეთ, სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თავს შესანიშნავად ვერ ვიგრძნობდი. უბრალოდ, ჩემმა ოჯახმა „ინტერის“ კლუბის გამოცვლა აუცილებელი სულაც არ იყო“.

მოგეხსენებათ, რამდენჯერაც კი პრესასა თუ ტელევიზიაში ამ თემას შეეხებოდნენ, იმდენჯერ ახსენებდნენ ჰოლანდიელის ვეებერთელა ხელფასს. ამბობდნენ, რომ ჰოლანდიელის „ინტერიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის მთავარი დაბრკოლება სწორედ მისი გასამრჯელო გახლდათ. თანხა, რომელსაც იხდიდა „ინტერი“ „იუნაიტედისთვის“ თითქოსდა ძნელი გადასახდელი იყო.

სნეიდერმა თქვა, რომ ხელფასი სულაც არ იყო ის, რამაც მისი პრემიერლიგაში გადასვლა ჩაშალა: „პირადად ჩემს დამოკიდებულებას მოგახსენებთ. ჩემთვის ეს ფინანსური საკითხი სულაც არ იყო. მით უმეტეს არ ვცდილობდი გასამრჯელოს გაზრდას. ერთი სიტყვით, აქ, იტალიაში ყველაფერი მაკმაყოფილებს. იტალიურ ცხოვრების წესსა და საყოფაცხოვრებო კულტურას შესანიშნავად შეეგუე. ყველაფერი კარგად არის“.

ილია ბაბუნაშვილი

● ევერტონი

რეალიდან ევერტონში მიმავალი დრენტე

როისტონ დრენტე დარწმუნებულია, რომ პრემიერლიგას კარგად შეეწყობა და „ევერტონს“ წარმატებებში დაეხმარება. 24 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი მადრიდის „რეალმა“ მერსისაიდელებს, ერთი სეზონით, სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს მიაქირავა. შეგახსენებთ, რომ დრენტემ „რეალის“ ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ბოლო სეზონი „ერკულესში“ გაატარა.

„ევერტონის“ ვებსაიტისთვის მიცემულ ინტერვიუში დრენტემ განაცხადა:

„ვფიქრობ, ის სტილი, რომლითაც მე ვთამაშობ, ინგლისურია. ტექნიკურიც ვარ და შრომისმოყვარეც. პრემიერლიგის ყაიდის შეჯიბრება ზუსტად საჩემო უნდა იყოს. ესპანეთშიც ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ იქაური სტილი მაინც ნელია. ერთი სიტყვით, ინგლისში გაცილებით სწრაფი ფეხბურთი უყვართ და ეს უფრო უნდა მომერგოს''.

„ფეიენოორდის“ ყოფილი ფეხბურთელი „რეალში“ თავს კარგად ვეღარ გრძნობდა და მართალია, ნაჩქარევი ტრანსფერის შეთანხმება აშკარად სანერვიულო იყო, საბოლოო შედეგთ ძალიან კმაყოფილი დარჩა. დრენტემ დასძინა:

„მართალია, ჩემი „ევერტონში“ გადასვლის ამბავი ბოლო დღეს გადანყდა, მაგრამ რაც მოხდა, ნამდვილად კარგი იყო. მეც გახარებული ვარ და ჩემი ოჯახიც. ვფიქრობ, „ევერტონს“ ძალიან გამოვადგები. „გუდისონ პარკ ზე“ კარგი გუნდი ჰყავთ და აქ თამაში ჩემი მომავლისთვის შესანიშნავია. ბოლო ერთი თვე „რეალში“ საშინელი მქონდა. ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი, თამაშით კი არ მათამაშებდნენ. ასეთი ყოფა ფეხბურთელისთვის დამთრგუნველია“.

ილია ბაბუნაშვილი

● კვირის ფრაზები და გმირები

მატა მოედანს ბრწყინვალედ ხედავს

„ჩელსის“ ვეტერანმა **ფრენკ ლამპარდმა** განაცხადა, რომ გუნდის ახალწვეული, 23 წლის ესპანელი **ხუან მატა** ბრწყინვალედ ხედავს მოედანს. „ლამპსმა“ კლუბის ოფიციალურ საიტს განუცხადა: *„მშვენიერია, როდესაც გუნდში ახალწვეული მოდის, ის ახალ მუხტს გძენს.* ***ხუან მატა*** *ბრწყინვალე მოთამაშეა - იგი მოედანს ჩინებულად ხედავს და ბურთის კონტროლიც უმაღლეს დონეზე აქვს განვითარებული. რაც შეეხება რომელუ ლუკაკუს, ის ვარჯიშებზე ძალიან მონდომებულია, რაც ძალიან გვახარებს. ჩვენ ახალგაზრდულ გუნდს ვაშენებთ. რასაკვირველია, გამოცდილებას ვერ იყიდი, მაგრამ ახალგაზრდების და გამოცდილი ფეხბურთელების ნაზავით შესანიშნავი გუნდი გამოგვივა“.*

საუკეთესო მატჩი

მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** თავისი შეგირდები შეაქო „კაიზერსლაუტერნთან“ (3:0) მოგებული შეხვედრის შემდეგ: *„ჩემი აზრით, ამ სეზონში ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი გახლდათ - უბრალოდ, ჩვენ საგოლე მომენტების რეალიზაცია უნდა განვავითაროთ. „კაიზერსლაუტერნის“ სტუმრად დამარცხება, თან სამი ბურთის სხვაობით — ადვილი ნამდვილად არ გახლავთ. მე მაინც მივიჩნევ, რომ მომატება კიდევ შეგვიძლია“.*

არ უნდა მოვდუნდეთ!

ერთი კვირის წინ უეფას მიერ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა, „ბარსელონას“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ლიონელ მესიმ** „ვილიარეალთან“ (5:0) შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ასეთი რამ განაცხადა: *„ჩვენ უკვე მერამდენედ ვაჩვენეთ, რომ ყველაფერი ნესრიგში გვაქვს. მთავარი — მოტივაციის არდაკლება და ამ ტემპში თამაშის გაგრძელებაა. ახალი ფეხბურთელების წვლილი „ვილიარეალთან“ მოგებაში საკმაოდ დიდია. სესკ ფაბრეგასმა ძალიან კარგად უნყის, თუ რას ნიშნავს თამაშობდე „ბარსელონაში“.*

ჯვირის სენსაცია

8:2! აი, ასეთ ანგარიშს ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა მიუხედავად იმისა, რომ ახლა „მანჩესტერ იუნაიტედი“ „არსენალზე“ გაცილებით ძლიერია. **უეინ რუნიმ** ჰეთ-თრიკი შეასრულა და 150-გოლიან ზლურბლსაც გადააბიჯა — 152 გოლი აქვს მას „იუნაიტედის“ შემადგენლობაში შეგდებული. „არსენალმა“ მეტოქისგან 8 გოლი ბოლოს 1896 წელს გაუშვა — 115-ნლიანი პაუზის შემდეგ კი „მანჩესტერმა“ მინასთან გაასნორა „მეთოფეები“. თავის მხრივ, „მანკუნიანელებმა“ ბოლოს მეტოქეს 8 გოლი 1999 ნელს გაუტანეს.

ჯვირის გმირები

კვირის გმირებად კი მეორე მანჩესტერულ კლუბს „მანჩესტერ სიტის“ ვასახელებთ, რომელთაც გასვლაზე, „უაით ჰარტ ლეინზე“ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ მინასთან გაასწორეს — მოუგეს რა 5:1. ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა **სამირ ნასრის**, რომელიც „არსენალიდან“ გადავიდა ისტლენდელებში — მან სამი საგოლე პასი გააკეთა, ორი **ედინ ჯეკოს**, ხოლო ერთი **სერხიო აგუეროს** მიანოდა. თავის მხრივ, ჯეკოც ზლაპრულ ფორმაში შევიდა, არადა, შარშან ყველა უკირკიტებდა.

გიორგი ფულარიანი

● ტრანსფერები

ესპანური მიდი-მოდი

ბოლო დღეებში განხორციელებული ტრანსფერები

თარიღი	ფეხბურთელი	საიდან	სად	თანხა
20 აგვ.	დანიელ გუისა	ფენერბაჰჩე	ხეტაფე	თავ. აგენტი
21 აგვ.	ჰასან იეგდა	გენფიკა	გრანადა	თავ. აგენტი
21 აგვ.	ხუან მატა	ვალენსია	ჩელსი	28 მლნ.
22 აგვ.	ბორხა ფერნანდესი	ხეტაფე	დეპორტივო	ივჯარა
22 აგვ.	რუბენ პერესი	დეპორტივო	ატლეტიკო	ივჯარიდან დაბრ.
22 აგვ.	რუბენ პერესი	ატლეტიკო	ხეტაფე	ივჯარა
22 აგვ.	ხუან კუერო	ვალეკანო	კორდობა	ივჯარა
23 აგვ.	ანაიც არბილია	სალამანკა	ერკულესი	თავ. აგენტი
23 აგვ.	ხული	ვალეკანო	ასტერასი	ივჯარა
24 აგვ.	როლან ლამა	ლე მანი	ოსასუნა	1 მლნ.
24 აგვ.	დანიელ პაჩეკო	ლივერპული	ატლეტიკო	თავ. აგენტი
24 აგვ.	დანიელ პაჩეკო	ატლეტიკო	ვალეკანო	ივჯარა
24 აგვ.	კეირისონი	ბარსელონა	კრუზეირო	ივჯარა
25 აგვ.	პიცი	ბრაგა	ატლეტიკო	ივჯარა
25 აგვ.	დიეგო ფორლანი	ატლეტიკო	ინტერი	5 მლნ
25 აგვ.	პაბლო ოსვალდო	ესპანიოლი	რომა	15 მლნ.
25 აგვ.	პაბლო ბარერა	ვესტ ჰემი	სარაგოსა	ივჯარა
25 აგვ.	არუნაკონე	სევილია	ლევანტე	ივჯარა
25 აგვ.	რაულ ტამუდო	სოსიედადი	ვალეკანო	თავ. აგენტი
26 აგვ.	ალბერტ კრუსატი	ალმერია	უიგანი	2 მლნ.
26 აგვ.	პაპე დიახატე	დინამო კ.	გრანადა	4,5 მლნ.
26 აგვ.	ბორხა ვიგერა	სოსიედადი	ხიმნასტიკი	ივჯარა
27 აგვ.	ტაუფიკ გუარჩი	ტეკოსი	ესპანიოლი	ივჯარა
28 აგვ.	ფრან მერიდა	ატლეტიკო	ბრაგა	ივჯარა
29 აგვ.	ვლადიმირ ვეისი	მან. სიტი	ესპანიოლი	ივჯარა
29 აგვ.	ურკო ვერა	ბილბაო	ერკულესი	თავ. აგენტი
29 აგვ.	ხორხე ბარსია	სპორტინგი	მურსი	თავ. აგენტი
29 აგვ.	როკე სანტა კრუსი	მან. სიტი	ბეტისი	ივჯარა
30 აგვ.	დუშკო ტოშიჩი	ცრვენა	ბეტისი	1 მლნ. ევრო
30 აგვ.	ფაბიან ორეელანა	უდინეზე	გრანადა	თავ. აგენტი
30 აგვ.	როლრი	ბეტისი	გვადალახარა	ივჯარა
30 აგვ.	ფრანკო ხარა	გენფიკა	გრანადა	ივჯარა
30 აგვ.	ვიქტორ რუისი	ნაპოლი	ვალენსია	8 მლნ.
30 აგვ.	პაბლო ორგანისი	ბილბაო	ოლიმპიაკოსი	ივჯარა
30 აგვ.	საულ ბერხონი	ბარსელონა ბ	ალკორკონი	ივჯარა
30 აგვ.	ანტონიო ბარაგანი	ვალიადოლიდი	ვალენსია	1,8 მლნ.
30 აგვ.	არსუ	ბეტისი	ხიმნასტიკი	თავ. აგენტი
30 აგვ.	ელიას მენდეში	ატლეტიკო	სპორტინგი ლ.	8,8 მლნ.
30 აგვ.	პედრო ლეონი	რეალი	ხეტაფე	ივჯარა
30 აგვ.	ფაბიან ვარგასი	ალმერია	აეკ	თავ. აგენტი
30 აგვ.	მუჰამადუ დავო	სევილია	ლიონი	1 მლნ.
30 აგვ.	ალექსანდროს ციოლისი	სიენა	რასინგი	თავ. აგენტი
30 აგვ.	დავიდ ტრეზეგე	ერკულესი	ბანიასი	თავ. აგენტი
31 აგვ.	რაულ ბრავო	ოლიმპიაკოსი	ვალეკანო	თავ. აგენტი
31 აგვ.	რაიან ჰარაერი	ბეტისი	გვადალახარა	თავ. აგენტი
31 აგვ.	რობერტო ბატრესი	ატლეტიკო ბ.	ალკორიანო	თავ. აგენტი
31 აგვ.	იკეჩუკვუ უჩე	სარაგოსა	ვილიარეალი	4 მლნ.
31 აგვ.	იკეჩუკვუ უჩე	ვილიარეალი	გრანადა	ივჯარა
31 აგვ.	ალიაძანდრ ჰლები	ბარსელონა	ვოლფსბურგი	ივჯარა
31 აგვ.	ფერნანდო გაგო	რეალი	რომა	ივჯარა
31 აგვ.	რუპერი	ოსასუნა	ელჩე	ივჯარა
31 აგვ.	როისტონ დრენტე	რეალი	ევერტონი	თავ. აგენტი
31 აგვ.	დიეგო რიბასი	ვოლფსბურგი	ატლეტიკო	ივჯარა
31 აგვ.	ადრიან კუევასი	ხერესი	ვალენსია ბ	თავ. აგენტი
31 აგვ.	მოისეს ურტადო	ოლიმპიაკოსი	გრანადა	ივჯარა
31 აგვ.	ალბერტ დალმაუ	ბარსელონა ბ.	ვალენსია	თავ. აგენტი
31 აგვ.	ლეანდრო კაბრერა	ატლეტიკო	ნუმანსია	ივჯარა
31 აგვ.	ბერნარდო ესპინოსა	სევილია	რასინგი	ივჯარა
31 აგვ.	ტონი დოგლასი	სარაგოსა	ხერესი	ივჯარა
31 აგვ.	ალბერტო ესკასი	ხეტაფე	ერკულესი	ივჯარა
31 აგვ.	ვიქტორ ლაგუარდია	სარაგოსა	ლას პალმასი	ივჯარა
31 აგვ.	კოფი რომარიკი	სევილია	ესპანიოლი	ივჯარა
31 აგვ.	ჟულიო ალვეზი	ატლეტიკო	გეიმეთაში	თავ. აგენტი
31 აგვ.	ლუის გარსია	ესპანიოლი	სარაგოსა	1 მლნ.
31 აგვ.	ფერნან კორომინასი	ესპანიოლი	ხირონა	თავ. აგენტი
31 აგვ.	ჯონათან დე გუზმანი	მალიორკა	ვილიარეალი	8 მლნ.
31 აგვ.	ბორხა გონსალესი	ატლეტიკო	მურსია	ივჯარა
31 აგვ.	ვალტერ პანდიანი	ოსასუნა	ესპანიოლი	თავ. აგენტი
31 აგვ.	ელდერ პოშტიგა	სპორტინგი ლ.	სარაგოსა	1 მლნ.
31 აგვ.	ფერნანდო ტი

● კალათბურთი. ახალი ამბები

მორიგი უშედეგო შეხვედრა


ტონი პარკერი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ და მოთამაშეთა პროფკავშირმა ნიუ-იორკში ექვსაათიანი მოლაპარაკება გამართეს. ეს იყო პირველი ივნისის შემდეგ მეორე სრულფასოვანი შეხვედრა.

პროფკავშირის პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა** განაცხადა, რომ მის გუნდს პოზიცია არ შეუცვლია. გარდა ამისა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვეტერანმა მცველმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ორივე მხარე გრძნობს გადაწყვეტილების სწრაფად მიღების აუცილებლობას.

„ვფიქრობ, ყველასთვის გასაგებია, რომ თუ ვერ მოვილაპარაკებთ, თითოეული მხარე ძალიან ბევრს დაკარგავს, მაგრამ რაც უფრო ახლოსაა პირველი ოქტომბერი, მით ნაკლებია ჩემპიონატის დროულად დაწყების შანსი. ამიტომაც ჩვენ ყველა - მოთამაშეები და ჩინოვნიკები ვალდებულნი ვართ კონსენსუსისთვის აუცილებელი გზები ვიპოვოთ. უნდა გავაგრძელოთ მოლაპარაკებები, შევწყვიტოთ ლაპარაკი ერთმანეთზე და ველაპარაკოთ ერთმანეთს", - ამბობს ფიშერი.

მაგრამ პროფკავშირების შეფს არ ეთანხმება NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი**, რომელიც ამბობს, რომ მათ არანაირი დედლაინი არ აქვთ და მხოლოდ მოლაპარაკების გაგრძელებაზე ფიქრობენ.

■ ■ ■

„სან ანტონიო სპურსის" ვარსკვლავმა **ტონი პარკერმა** გაარკვია, თუ სად ითამაშებს ლოკაუტის პერიოდში. ოქტომბრის დასაწყისიდან გამთამაშებელი საფრანგეთის „ვილერბანში" ჩაირიცხება.

პარკერმა ამის შესახებ თავად განუცხადა ჟურნალისტებს. მისი თქმით, სანამ NBA-ში სეზონი არ დაიწყება, ის ფრანგულ ლიგაში ითამაშებს. თუ ოკეანის გაღმა ჩემპიონატი იანვარშიც არ დაიწყო, ამ შემთხვევაში პარკერი მზად არის განაგრძოს კონტრაქტი „სან ანტონიოსთან" და „ვილერბანთან" გააფორმოს სრულფასოვანი ხელშეკრულება.

■ ■ ■

„შარლოტ ბობკეტსის" ფორვარდი **კორი მაგეტი** გუშინ საბერძნეთში ჩავიდა ადგილობრივ პაოკ-თან მოლაპარაკებების დასასრულებლად. კალათბურთელი ლოკაუტის პერიოდში სწორედ ამ კლუბში აპირებს თამაშს.

„მოხარული ვარ აქ ჩამოსვლით. როცა ჩემმა მენეჯერმა საბერძნეთში თამაშის პერსპექტივაზე მითხრა, მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს კარგი ვარიანტი იქნებოდა. მინდა გავიცნო მწვრთნელი, ვნახო დარბაზი, ქალაქი და შემდეგ მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას", - განაცხადა მაგეტიმ პაოკ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2013

UNDER 21

გერმანია-სან მარინო	7:0
ლიტვა-შვედეთი	0:1
მალტა-სლოვენია	1:4
ესტონეთი-შვეიცარია	0:0
მოლდოვა-პორტუგალია	0:2
ირლანდია-უნგრეთი	2:1
ისლანდია-ბელგია	2:1
ინგლისი-აზერბაიჯანი	6:0
ლუქსემბურგი-ავსტრია	1:4
ბულგარეთი-ჰოლანდია	0:1

ამხანაგური მატჩები

ბილი-თუნი	1:4
გრონინგენი-ლიერსი	1:1

საფრანგეთი

ლიგის თასი

ლანსი-ევიანი	1:0

დანის თასი

ბლოხუსი-ორჰუსი	2:5

ჩეხეთის თასი

ისკრა-სპარტა	1:7

რუსეთი

II დივიზიონი

ლუჩ ენერგია-ტორპედო	0:1
სკა ენერგია-ნ. ნოვგოროდი	1:1
ხიმკი-ჩერნომორეცი	2:1
კამაზ-ენისეი	2:0
მორდოვია-სიბირი	1:0
ალანია-ფენერბაღჩა	2:1
გაზპრომი-შინიკი	1:1
ტორპედო-ურალი	0:1
ბალტიკა-გაზოვიკი	0:0

კალათბურთი

ამერიკის ჩემპიონატი

პარაგვაი-პანამა	86:89
კუბა-ვენესუელა	69:106

ჩოგბურთი

აშშ-ის ღია

კაცები

ლოდრა-**ანდერსონი**	1:6, 2:6, 2:6
შტეპანეკი-**მონაკო**	4:6, 1:6, 0:6
ტიპსარევიჩი-პეტცშნერი	6:0, 6:3, 3:6, 6:3
ბერდიხი-ფონინი	7:5, 6:0, 6:0
ჰაასი-ფალა	7:6, 6:1, 7:5
ფედერერი-სელა	6:3, 6:2, 6:2
გრანოლერსი-კუკუშკინი	7:5, 6:3, 6:4
ცონგა-ბუბკა	6:3, 7:5, 6:2
ჩილიჩი-ტომიჩი	6:1, 6:0, 6:2
მონფილსი-**ფერერო**	6:7, 7:5, 7:6, 4:6, 4:6

ქალები

კანეპი-**სოლერი**	4:6, 2:6
ჰალეპი-**სუარეს ნავარო**	6:3, 2:6, 2:6
ლუჩიჩი-**სკიავონე**	1:6, 1:6
კორნე-**ვინჩი**	2:6, 3:6
დოკიჩი-იანკოვიჩი	6:3, 6:4
პავლიუჩენკოვა-მარტიჩი	6:4, 2:6, 6:4
პეტკოვიჩი-ჟენგი	3:6, 6:3, 6:3
ბარტელი-**სხეპერსი**	4:6, 5:7
პარმენტიე-**ამანმურადოვა**	3:6, 5:7
ს. უილიამსი-კრაიჩეკი	6:0, 6:1
კუზნეცოვა-ბალტაჩა	6:4, 6:3
ჩეტკოვსკა-ივანოვიჩი	გადაიდო

● TV პროგრამა

2 სექტემბერი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური. ეინდჰოვენი-ექსელსიორი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური. ტულუზა-პსჟ.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. IV ტური. რასინგი-არსენალი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტური. ფლუმინენსე-ბოტაფოგო.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. II ტურის წინ.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:40 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ავსტრია (LIVE).
00:45 ინგლისის ჩემპიონატი. III ტური. მანჩესტერ იუნაიტედი-არსენალი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური. ლილი-მარსელი.
11:50 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ნიუ ორლეანი.
13:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. კუბა-იაპონია. შვეიცარია.
15:30 ბადმინტონი. მსოფლიო თასი. ლონდონი. ინგლისი.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. მანჩესტრე სიტი-სუონსი.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. მონტეპასკი-ეფესს პილსენი.
21:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
22:10 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. სტად ფრანსე-კლერმონი.
23:50 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ნიუ ორლეანი.

I არხი

20:50 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. საქართველო-ლატვია (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:40 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ავსტრია (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:40 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ფარერები-იტალია (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

19:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

22:40 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. კვიროსი-პორტუგალია (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

19:00 ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

16:10 ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ესპანეთი-ინგლისი. ლიტვა (LIVE).
18:40 ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლატვია-იტალია. ლიტვა (LIVE).
21:55 ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლიტვა-თურქეთი. ლიტვა (LIVE).
03:30 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ვაშინგტონი (LIVE).

SPORT+

22:40 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ირლანდია-სლოვაკეთი (LIVE).

EUROSPORT

07:30 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IV დღე. ნიუ იორკი (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ვუელტა. XIII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
13:45 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).
21:15 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).
04:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).

EUROSPORT-2

19:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).
21:45 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).
02:15 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღ. ნიუ იორკი (LIVE).
05:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).

● მძლეოსნობა

ამერიკა წინ გაიჭრა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ტეგუში მსოფლიოს პირველობა განახლდა. გუშინ, გათამაშდა მედლების ექვსი კომპლექტი და დღე ამერიკელი მძლეოსნების ტრიუმფით დასრულდა. მათ ოქროს სამი მედალი მოიპოვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში წინ გაიჭრნენ.

ამერიკის ნაკრებმა პირველი ოქრო მამაკაცებს შორის სიმაღლეზე ხტომაში მოიპოვა. არადა, ბოლო წლებია, ეს დისციპლინა რუსების გახდა და ამ ქვეყანას აქ ბევრი ძლიერი წარმომადგენელი ჰყავს. მაგრამ რუსეთის ნაკრებს გეგმა ჩაუშალა სეზონის ლიდერმა **ჯესი უილიამსმა**.

ოქროს მედლის ბედი 2.35 მეტრზე გადაწყდა, რომელიც ამერიკელმა პირველივე ცდაზე აიღო, რუსმა **ალექსეი დმიტრიკმა** - მეორეზე. დანარჩენები - 2.32 მეტრზე შეჩერდნენ. მათგან ყველაზე ნაკლები ცდა ბაჰამის კუნძულების წარმომადგენელს **ტრევორ ბარის** ჰქონდა და ბრინჯაოს მედალიც მას ერგო. რაც შეეხება გამარჯვებულს, ვერც უილიამსმა და ვერც დმიტრუკმა 2.37 მეტრი ვერ დაძლიეს და ჩემპიონად ამერიკელი გამოცხადდა.

3000 მეტრზე სტიპლჩეზში ფავორიტად პეკინის ოლიმპიური ჩემპიონი, კენიელი **ბრიმინ კიპროპ კიპრუტუმ** მიიჩნეოდა, მაგრამ მან გამარჯვება ვერ შეძლო. სტარტის შემდეგ არც ერთი მძლეოსანი არ აქტიურობდა და მჭიდრო ჯგუფი ბოლო წრემდე შენარჩუნდა. აქ კი გაიბრნყინა მეორე კენიელმა - **ეზეკილ კემბლიმ**. მან საფინიშო სპურტმი ბოლოსწინა მოსახვევში დაიწყო და წამში ჩამოიცილა ყველა კონკურენტი. კიპრუტომ ან დააგვიანა პასუხი თანამემამულის შეტევაზე ან უბრალოდ ძალა არ ჰქონდა კონკურენციის გასაწევად.

მამაკაცებს შორის კიდევ ერთ ფინალში - 400 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვება ბრიტანელმა **დევიდ გრინმა** მოიპოვა. იგივე დისციპლინაში ქალებმაც გაარკვიეს უძლიერესი. აქ ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა ამერიკელმა **ლაშინდა დემუსმა**, თანაც შთამბეჭდავი დროით, რომელიც სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია.

ქალებს შორის სამხტომში უკრაინელმა **ოლგა სალადუხამ** პირველივე ცდაზე შეასრულა საჩემპიონო ნახტომი და შემდეგ მას ვერავინ დაეწია. მთავარმა ფავორიტმა და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, კუბელმა **იარგერის სავინიმ** ტრავმა მიიღო და ხტომის სექტორი მესამე ცდიდან მიატოვა.

დღის ბოლო ფინალში, ქალებს შორის 1500 მეტრზე სირბილში სენსაცია მოხდა. ამერიკელ **ჯენიფერ სიმპსონს** არავინ ასახელებდა ფავორიტად, მაგრამ სწორედ მან გადაკვეთა პირველმა ფინიშის ხაზი.

კაცები

400 მ/თარჯრბენი

1. **დევიდ გრინი** (ბრიტ) - 48,26; 2. **ხავიერ კულსონი** (პ-რიკო) - 48,44; 3. **ელ ჯეი ვან ზილი** (ს. აფრ) - 48,80...

3000 მ/სტიპლჩეზი

1. **ეზეკილ კემბოი** (კენ) - 8.14,85; 2. **ბრიმინ კიპროპი** (კენ) - 8.16,05; 3. **მაჰედინ მეპისი-ბანაბადი** (საფ) - 8.16,09...

სიმაღლე

1. **ჯესი უილიამსი** (აშშ) - 2,35; 2. **ალექსეი დმიტრიკი** (რუს) - 2,35; 3. **ტრევორ ბარი** (ბაჰ კ-ები) - 2,32...

ქალები

400 მ/თარჯრბენი

1. **ლაშინდა დემუსი** (აშშ) - 52,47; 2. **მელანი უოლკერი** (იამ) - 52,73; 3. **ნატალია ანტიუხი** (რუს) - 53,85...

1500 მ

1. **ჯენიფერ ბარინგერ სიმპსონი** (აშშ) - 4.05,40; 2. **პანა ინგლანდი** (ბრიტ) - 4.05,68; 3. **ნატალია როდრიგესი** (ესპ) - 4.05,87...

სამხტომი

1. **ოლგა სალადუხა** (უკრ) - 14,94; 2. **ოლგა რიპაკოვა** (ყაზ) - 14,89; 3. **კატერინ იბარგუენი** (კოლ) - 14,84...

მედლების ჩათვლა

	ო	ვ	ბ	ს
1. აშშ	7	4	1	12
2. რუსეთი	4	3	5	12
3. კენია	4	3	3	10
4. ბრიტანეთი	1	3	1	5
5. გერმანია	1	2	1	4
6-7. იამაიკა	1	2	0	2
6-7. ჩინეთი	1	2	0	3
8. ეთიოპია	1	0	1	2
9-15. ბოტსვანა	1	0	0	1
9-15. ბრაზილია	1	0	0	1
9-15. გრენადა	1	0	0	1
9-15. იაპონია	1	0	0	1
9-15. ზელანდია	1	0	0	1
9-15. პოლონეთი	1	0	0	1
9-15. უკრაინა	1	0	0	1
16. კუბა	0	1	2	3
17-23. ბელარუსი	0	1	0	1
17-23. ესტონეთი	0	1	0	1
17-23. უნგრეთი	0	1	0	1
17-23. ყაზახეთი	0	1	0	1
17-23. პუერტო რიკო	0	1	0	1
17-23. სუდანი	0	1	0	1
17-23. ტუნისი	0	1	0	1
24-25. კოლუმბია	0	0	2	2
24-25. საფრანგეთი	0	0	2	2
26-34. ბაჰამის კ-ები	0	0	1	1
26-34. ბელგია	0	0	1	1
26-34. ირანი	0	0	1	1
26-34. ლატვია	0	0	1	1
26-34. სენტ კიტსი	0	0	1	1
26-34. ნორვეგია	0	0	1	1
26-34. ს. აფრიკა	0	0	1	1
26-34. ესპანეთი	0	0	1	1
26-34. ტრინიდადი	0	0	1	1

● ჰოკეი

მესამე ტრაგედია ლიგაში

კანადელი ჰოკეისტი **უეიდ ბილაკი**, რომელიც ჰოკეის ეროვნულ ლიგაში „კოლორადოს", „კალგარის", „ტორონტოს", „ფლორიდასა" და „ნეშვილის" ღირსებას იცავდა, 31 აგვისტოს ტორონტოში საკუთარი სახლში მკვდარი იპოვეს. ბილაკი, რომელმაც 2011 წლის მარტში დაასრულა კარიერა, 36 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯერჯერობით არ გამოცხადებულა სიკვდილის მიზეზი. 30 აგვისტოს ბილაკი ყოფილმა ჰოკეისტმა **ტროი კალერმა** ნახა. მისი თქმით, უეიდი ბარში მეგობრებთან ერთად იყო და იქიდან გამოსულს სიმთვრალე არ ეტყობოდა.

ბილაკმა NHL-ში 549 მატჩი ჩაატარა, 33 ქულა და 1263 საჯარიმო წუთი დააგროვა. ვებგვერდ hockeyfights.com-ის ინფორმაციით, ჰოკეისტმა კარიერაში 136-ჯერ იჩხუბა ყინულზე. 2011-12 წლების სეზონში ბილაკს „ნეშვილის" მატჩებზე ტელერეპორტიორად უნდა ემუშავა.

ბილაკი NHL-ის მესამე მოთამაშეა, ვინც ბოლო თვეებში გარდაიცვალა. აგვისტოში საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს „ვინიპეგის" 27 წლის ჰოკეისტი **რიკ რიპიენი**. მაისში გარდაიცვალა „ნიუ იორკ რეინჯერსის" ყოფილი მოთამაშე **დერეკ ბუგარდი**, რომელიც 28 წლის იყო.

■ ■ ■

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „ბოსტონის" ერთ-ერთი ლიდერი **მარკ სავარი** მალე დაასრულებს კარიერას. „ბრუინზის" გენერალური მენეჯერის **პიტერ ჩიარელის** თქმით, ჯერ ლაპარაკია მომავალი სეზონის გამოტოვებაზე. რაც შეეხება დიდი სპორტიდან წასვლას, ეს საკითხი მოგვიანებით გაირკვევა, თუმცა გენერალური მენეჯერი ამ შემთხვევაშიც ნეგატიურად არის განწყობილი.

„ბოსტონის" ფორვარდმა ბოლო წელიწად-ნახევარში ორჯერ მიიღო ტვინის შერყევა, რამაც სავალალო შედეგამდე მიიყვანა. შეგახსენებთ, რომ 34 წლის სავარს „დათვებთან" ექვსწლიანი ხელშეკრულება აკავშირებდა, რომლის მიხედვითაც მისი ყოველწლიური ხელფასი 4 მილიონი დოლარი იყო.

NHL-ში ფორვარდმა 832 მატჩი ჩაატარა და 728 ქულა (215+513) დააგროვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

უეიდ ბილაკი

ჩოგბურთი

ანა ისევ გოლფისტთანაა

ისევ ერთად არიან

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, სერბი **ანა ივანოვიჩი** და ავსტრალიელი გოლფისტი **ადამ სკოტი** კვლავ ერთად არიან. როგორც Women's Tennis Blog იტყობინება, ადამი ივანოვიჩის გუნდთან ერთად იმყოფებოდა ტრიბუნაზე ამერიკის ღია პირველობის პირველი წრის მატჩის დროს.

„ძალიან სასიამოვნო იყო, რომ ის ჩემს მხარდასაჭერად მოვიდა. დღეს ჩვენ უბრალოდ ბედნიერები ვართ და დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს“, - განაცხადა ივანოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ივანოვიჩი და სკოტი 2009 წლის დასაწყისიდან მოყოლებული დაახლოებით წელიწად-ნახევარი ხვდებოდნენ ერთმანეთს.

დღეს ასევე პოპულარულია მსოფლიოს ამჟამინდელი პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკისა** და ირლანდიელი გოლფისტის **რორი მაკილროის** წყვილი.

ფორმულა 1

2012 წელი თურქეთის გარეშე

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ კენჭისყრის შედეგად დაამტკიცა **ბერნი ექლსტოუნის** მიერ შეთავაზებული 2012 წლის ჩემპიონატის კალენდრის ბოლო ვარიანტი.

მომავალ სეზონში არ გაიმართება თურქეთის გრან-პრი. გარდა ამისა, წინასწარი ვერსიისგან განსხვავებით, განრიგში რამდენიმე ცვლილება მოხდა: თუ ადრე ჩემპიონატი ბაჰრეინის გრან-პრით იწყებოდა, ამჯერად ეს ეტაპი აპრილში გადაიტანეს. ამერიკის გრან-პრი - ევროპისგან განსხვავებით, ნოემბერში. სეზონი 18-მარტს ავსტრალიის რბოლით დაიწყება და 25 ნოემბერს ბრაზილიის გრან-პრით დასრულდება. შვიდჯერ ეტაპებს შორის ერთკვირიანი ინტერვალი იქნება და ამის ხარჯზე საზაფხულო არდადეგების სიგრძე ერთი კვირით გაიზრდება - 29 ივლისს დაიწყება და 2 სექტემბერს დასრულდება. სულ ნავარაუდებია 20 ეტაპის ჩატარება.

თუმცა ფედერაციის მიერ მიღებული კალენდარი ასევე წინასწარია და მას მსოფლიოს საბჭო საბოლოოდ 2012 წლის თებერვალში დაამტკიცებს.

18 მარტი - ავსტრალია
25 მარტი - მალაიზია
15 აპრილი - ჩინეთი
22 აპრილი - ბაჰრეინი
13 მაისი - ესპანეთი
27 მაისი - მონაკო
10 ივნისი - კანადა
24 ივნისი - ევროპა
8 ივლისი - ბრიტანეთი
22 ივლისი - გერმანია
29 ივლისი - უნგრეთი
2 სექტემბერი - ბელგია
9 სექტემბერი - იტალია
23 სექტემბერი - სინგაპური
7 ოქტომბერი - იაპონია
14 ოქტომბერი - კორეა
28 ოქტომბერი - ინდოეთი
4 ნოემბერი - აბუ დაბი
18 ნოემბერი - აშშ
25 ნოემბერი - ბრაზილია

ამბები

ოლიმპიზმი

ლას-ვეგასს ოლიმპიადა უნდა

ქალაქ ლას-ვეგასის ადმინისტრაციამ ოფიციალური წერილი გაგზავნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფისში, რომელშიც გამოთქმულია 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობის სურვილი.

მაგრამ აშშ-ის ამ ქალაქის პერსპექტივები მეტად ბუნდოვანია. როგორც უკვე ვწერდით, ამერიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე დაადასტურა, რომ არ აპირებს რომელიმე ქალაქის მხარდაჭერას 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში, ეს კი მომავალი არჩევნების აუცილებელი პირობაა.

ფორმულა 1

რენო პოლანდიაში მიდის?

სინტერესო ჭორი გავრცელდა ჰოლანდიიდან. ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, 52 წლის **მარსელ ბუკ-ჰორნი** სერიოზულად არის დაინტერესებული „ლოტუს-რენოს“ შეძენით. მეწარმემ, რომლის კაპიტალი 2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული, უკვე გამართა წინასწარი მოლაპარაკებები „რენოს“ თანამფლობელ **ჟერარ ლოპესთან**.

ბუკჰორნი დიდი ხანია ავტოსპორტთან არის დაკავშირებული - ის რამდენიმე ჰოლანდიელი პილოტის გამოსვლებს აფინანსებს, ხოლო ქვეყნის მთავარი იმედი **- გიდო ვან დერ გარდე** ბიზნესმენის სიძე გახლავთ. ვან დერ გარდე წელს წარმატებით გამოდის GP2-ის სერიაში, გასული წლის ზამთარში კი ის ბოლო მომენტამდე აცხადებდა პრეტენზიას „ვირჯინის“ საპრიზო პილოტის ადგილზე, მაგრამ მას **ჟერომ დ'ამბროზიო** ამჯობინეს.

ჩოგბურთი

გაუდიომ ჩოგბურთი დაგოვა

როლან გაროსის 2004 წლის ჩემპიონმა, არგენტინელმა **გასტონ გაუდიომ** 32 წლის ასაკში გადაწყვიტა კარიერის დასრულება.

„ჩოგბურთში აღარ დავბრუნდები. დიდი ხანი არ ვლაპარაკობდი ამის შესახებ, რადგან ჩემთვის რთული იყო სპორტის საყვარელ სახეობასთან განშორება. ჩემს კარიერაში ბევრი სასიხარულო და ნაღვლიანი მომენტი ყოფილა, მაგრამ ახლა დადგა ამ გვერდის გადაფურცვლისა და ახალი საქმის დაწყების დრო“, - განაცხადა გაუდიომ არგენტინულ გამოცემა la Nacion-თან ინტერვიუში.

კარიერის განმავლობაში გაუდიომ ერთეულებში რვა და წყვილებში სამი ტიტული მოიპოვა და კორტზე ჯამში 6 066 156 დოლარი გამოიმუშავა. პროფესიულ ტურში ბოლო მატჩი გაუდიომ 2010 წელს კიტცბუელის გრუნტის ტურნირზე ჩაატარა, სადაც ორ სეტში წააგო ესპანელ პაბლო ანდუხართან - 0:6, 2:6.

აშშ-ის ღია პირველობა

ფავორიტები უბრძოლველად აგებენ

...

ამერიკის ღია პირველობაზე მამაკაცებმა პირველი წრე დაასრულეს. მესამე სათამაშო დღეს ფავორიტთაგან საწყისი მატჩები ჩაატარეს ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** და არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**.

მიურეის მხოლოდ პირველ სეტში ჰქონდა პრობლემები ინდოელი **სომდევ დევარმანის** წინააღმდეგ. 70-წუთიან პარტიაში ბრიტანელს 2:4 დეფიციტის გაბათილებამ მოუწია და სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო. მეორე და მესამე პარტიებში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ენდი შემდეგ წრეში გავიდა, სადაც ბოლო დროს კარგ ფორმაში შესული ჰოლანდიელი **რობინ ჰაასე** ელოდება, რომელმაც 90 წუთში გაანადგურა პორტუგალიელი **რუი მაშადო**.

მიურეის დევარმანის წინააღმდეგ საკმაოდ ბევრი - 44 ორმაგი შეცდომა ჰქონდა, თუმცა აღსანიშნავია მისი 41 „ვინერსი“ და რვა ეისი.

დელ პოტრო 2009 წელს ტიტულის მოგების შემდეგ პირველად გამოჩნდა „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე და ძალიან იოლად გაიარა იტალიელი ვეტერანის **ფილიპო ვოლანდრის** ბარიერი - 6:3, 6:1, 6:1. არგენტინელს ამისთვის 88 წუთი დასჭირდა. დელ პოტრომ საკუთარ მონოდებაზე მხოლოდ 11 ქულა დათმო და 18 ეისი გააკეთა, რაც მის კარგ მზადყოფნაზე მიუთითებს.

ერთადერთი მოულოდნელი შედეგი იყო ტურნირის მეათე ნომრის **ნიკოლას ალმაგროს** წაგება ფრანგ **ჟულიან ბენეტოსთან**. ესპანელმა ეს მარცხი საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, რადგან 13-დან მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და 41 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ფავორიტთაგანაც იყო ერთი დანაკლისი, თუმცა შვედი **რობინ სიოდერლინგი** კორტზე გაუსვლელად გამოეთიშა ბრძოლას. სკანდინავიელს პირველ წრეში ირლანდიელი **ლუკ სორენსენის** წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ ტრავმის გამო უარი თქვა ბრძოლაზე.

რაც შეეხება დღის ყველაზე დიდ სენსაციას, ის წყვილთა თანრიგში მოხდა. ამერიკელმა ძმებმა **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა** 2001 წლის შემდეგ პირველად წააგეს „დიდი სლემის“ პირველი წრე. ტყუპის ძლევა **ივო კარლოვიჩისა** და **ფრენკ მოზერის** დუეტმა შეძლო, არადა, ეს წყვილი მხოლოდ მეორე ტურნირს თამაშობს.

I წრე

როჟერიო დუტრა და სილვა (ბრა)-ლუკ სორენსენი (ირლ) 6:0, 3:6, 6:4, 1:0 სორენსენის უარი; **ალექს ბოგომოლოვი (აშშ)**-სტივ ჯონსონი (აშშ) 4:6, 4:6, 6:3, 7:6(3), 6:3; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-ჟოაო სოუზა (ბრა) 6:3, 6:4, 6:7(5), 6:1; **ჯონ ისნერი (აშშ, 28)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 7:6(2), 7:6(11), 2:6, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 18)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:3, 6:1, 6:1; **დიეგო ხუნკეირა (არგ)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 6:2 ბეკის უარი; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:3, 1:6, 7:6(1), 4:6, 7:6(4); **ჟილ სიმონი (საფ, 12)**-რიკარდო მელო (ბრა) 3:6, 6:3, 6:4, 3:6, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 25)**-ტაცუმა იტო (იაპ) 6:2, 6:4, 6:4; **ვასეკ პოსპიშილი (კან)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 6:1, 6:2, 6:1; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-რუი მაშადო (პორ) 6:0, 6:4, 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 7:6(5), 6:2, 6:3; **ენდი როდიკი (აშშ, 21)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:2, 6:4, 4:6, 7:5; **ჯეკ სოკი (აშშ)**-მარკ ფიკელი (საფ) 6:4, 6:3, 1:6, 6:4; **დენის ისტომინი (უზბ)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 3:6, 7:5, 6:4, 7:6(4); **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10) 6:2, 6:4, 6:3.

ირინა ფალკონი

ქალებს შორის კი მოულოდნელი შედეგები ისევ ფიქსირდება. თუმცა 19 წლის ამერიკელი **კრისტინა მაკჰეილისგან** წარმატებული თამაში აღარ გვიკვირს. გვახსოვს, რომ ცინციანატის სუპერტურნირში კრისტინამ ორ სეტში მოუგო **კაროლინ ვოზნიაცკის**, ახლა კი ასევე ორ პარტიაში სძლია ფრანგ **მარიონ ბარტოლის**. ბარტოლი ახლოს იყო პირველ სეტში გამარჯვებასთან, როცა 5:3-ს იგებდა, მაგრამ მაკჰეილმა საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა და იქიდან მოყოლებული კორტის ბატონ-პატრონი გახდა. შემოკლებული გეიმი მან 7:2 მოიგო, მეორე სეტი კი - 6:2.

აღსანიშნავია კიდევ ორი განთესილის გამოვარდნა. ტურნირის მე-12 ნომერმა **აგნიეშკა რადვანსკამ** გერმანელ **ანჟელიკ კერბერთან** წააგო, **დომინიკა ცუბილკოვა** კი ასევე სამ სეტში დამარცხდა ამერიკელ **ირინა ფალკონისთან**, რომელიც ეკვადორშია დაბადებული, მაგრამ ამ გამარჯვების შემდეგ ამერიკის დროშით დარბოდა კორტზე.

ამერიკის ღიაზე თამაშს ვერ გააგრძელებს ამ ტურნირის ორგზის ჩემპიონი **ვენუს უილიამსი**. მისი მატჩი გერმანელ **საბინ ლისიცკისთან** დღის ცენტრალური შეხვედრა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამერიკელს მორიგი ვირუსული ინფექცია შეეყარა და ტურნირიდან მოიხსნა. შეგახსენებთ, რომ ვენუსმა ანალოგიური ავადმყოფობის გამო ტორონტოსა და ცინციანატის სუპერტურნირები გამოტოვა.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ იმის, გამო, რომ ვერ ვაგრძელებ ბრძოლას მთავარი პრიზისთვის. ცოტა ხნის წინ დამისვეს ზუსტი დიაგნოზი - შეგრენის სინდრომი. ეს აუტოიმუნური დაავადებაა, რომელიც საერთო ფიზიკურ მდგომარეობაზე მოქმედებს: ძალები გეცლება, დაღლილობასა და სახსრებში ტკივილს გრძნობ... მომეწონა, როგორ ჩავატარე პირველი მატჩი და ბრძოლის გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ ვერ შევძელი ამის გაკეთება. მოხარული ვარ, რომ, როგორც იქნა, სწორი დიაგნოზი დამისვეს და ახლა ვიცი როგორ ვიმკურნალო. ვეცდები, რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნდე კორტს“, - ამბობს ვენუსი.

II წრე

მონიკა ნიკულესკუ (რუმ)-აღექსანდრა დულგერუ (რუმ) 6:3, 6:0; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 27)**-მედისონ კეისი (აშშ) 3:6, 7:5, 6:4; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 20) 6:1, 3:0 ვიკმაიერის უარი; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12) 6:3, 4:6, 6:3; **შუაი პენგი (ჩინ, 13)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:2, 6:4; **ჯულია გორჯესი (გერ, 9)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 6:3, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა, 26)**-რომინა ოპრანდი (რუმ) 6:0, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 3)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:1, 6:1; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 8) 7:6(2), 6:2; **მარია კირილენკო (რუს, 25)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:1, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 24)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:2, 6:4; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)**-კოკო ვანდეუეგე (აშშ) 6:3, 6:4; **ირინა ფალკონი (აშშ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 14) 2:6, 6:3, 7:5; **საბინ ლისიცკი (გერ, 22)**-ვენუს უილიამსი (აშშ) უილიამსის უარი; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 30)**-ლაურა რობსონი (ბრიტ) 6:2, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 7:5, 3:6, 6:3.

პედოფილი ლეგენდა

მსოფლიოს ჩოგბურთის ლეგენდა **ბობ ჰიუიტი** სექსუალურ ძალადობაშია დადანაშაულებული, მაგრამ ყოფილ ჩოგბურთელს არასრულწლოვნების გარყვნისთვის პასუხს არ მოსთხოვენ.

ბობ ჰიუიტი ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზის წევრია. კარიერაში მას „დიდი სლემის“ 15 ტიტული აქვს მოგებული წყვილებსა და მიქსტში. ის დიდი ხანი პატივისცემით სარგებლობდა ჩოგბურთის მოყვარულთა შორის.

ბობ ჰიუიტი

და მხოლოდ ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ დიადი ჩოგბურთელისა და მწვრთნელის უკან დამნაშავე იმალებოდა. ერთბაშად ოთხმა ქალმა აღიარა, რომ ჰიუიტი მათ მიმართ სექსუალური ძალადობას მიმართავდა. რაც მთავარია, იმ მომენტში ისინი 10-14 წლისანი იყვნენ.

„მან ცხოვრება დამინგრია“, - განაცხადა ერთ-ერთმა მათგანმა, თუმცა ის არ თქვა, აქამდე რატომ იყო ჩუმად და მხოლოდ ახლა რატომ გაამხილა ეს ამბავი. სავარაუდოდ, ბობ ჰიუიტის სასამართლო პროცესი არ შედგება, რადგან ეს დანაშაულები დიდი ხნის წინ მოხდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა